

ნაღვლიანი ფერწერა
A6



"ამარტა" - საერთაშორისო აღიარება ხარისხისთვის
A7



დღეს "ჯემიროქუაის" კონცერტზე მივდივარ
A7


www.24saati.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი — ხუთშაბათი, 22 ივნისი, 2006 წელი. №137 (1289) — ფასი 50 თეთრი



24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე

**www.24saati.ge**


"ოლიმპიური ვარსკვლავის" სტარტი

C2

## ამბები

ქუთაისის მერიაში ცვლილებები იგეგმება

A2

## პოლიტიკა

თეირანი მზადაა, "ექვსეულის" წინადადებებს უპასუხოს

A3


"საქართველოს ტერიტორიაზე მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას გამოსაყენებელი საკონტროლო სალარო აპარატების სახელმწიფო რეესტრში" დამატებით შეტანილია ფისკალური პრინტერის საკონტროლო სალარო აპარატების შემდეგი მოდელები:
**"SLP-01F", "კასბი-02ფ" და "მერკური-180ფ"**
(საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის 2006 წლის 2 მაისის №610-ს და 7 ივნისის №887-ს ბრძანებები).
**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო დეპარტამენტი**



საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.


## ამინდი

| | 22/06 | 23/06 |
|---|---|---|
| თბილისი | 35 | 33 |
| ბათუმი | 34 | 25 |
| სოხუმი | 32 | 27 |
| ქუთაისი | 36 | 30 |
| გორი | 30 | 28 |
| ონი | 25 | 21 |
| ზუგდიდი | 36 | 30 |
| სამტრედია | 36 | 30 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.7774 |
| ევრო | 2.2454 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2795 |
| რუბლი | 0.0658 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| პოლიტიკა | A 3 |
| სამართალი | A 4 |
| საზოგადოება | A 5 |
| რევიუ | A 6 |
| რევიუ | A 7 |
| ტენდერი | A 8 |


# გარდატეხის ნიშნები

**თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის ზონაში კრიმინოგენური ვითარების კარდინალურად შეცვლას**

დღეს ცხინვალში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მიხეილ მინძაევის შეხვედრა გაიმართება. შეხვედრაზე მხარეები ქართულ და ოს სამართალდამცავებს შორის თანამშრომლობისა და მხარეთა სამართალდამცველთა საკოორდინაციო ცენტრის შექმნის საკითხებზე იმსჯელებენ.

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრი გიორგი ხაინდრავა ვანო მერაბიშვილისა და მიხეილ მინძაევის შეხვედრას განსაკუთრებულ

გაგრძელება A3 გვერდზე



მეთიუ ბრაიზა: ჩვენ მხარს ვუჭერთ თბილისის სამშვიდობო გეგმას.

# ენერგოუსაფრთხოების ქართულ-ევროპული ერთიანი ხედვა

**ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში საქართველოც შეიტანს მნიშვნელოვან წვლილს**

*გუშინ დასრულდა სამდღიანი კონფერენცია - "ევრაზიის ენერგოუსაფრთხოება, ბაზრის მისაწვდომობა და საინვესტიციო პოლიტიკა", რომელიც თბილისში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელშეწყობით, საქართველოს მთავრობისა და საერთაშორისო ენერგეტიკის სააგენტოს ორგანიზებით გაიმართა. კონფერენციის ქართველი და დასავლელი მონაწილეების შეფასებით, საქართველო მნიშვნელოვანი სატრანზიტო ქვეყანაა და მას გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლია ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში.*

**"რეალური შანსები არსებობს, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ახალი პროექტები განხორციელდეს, მათ შორის ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი, თუმცა ამას გარკვეული მომზადება სჭირდება. მოვა დრო და ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი რეალობად იქცევა,"** - აღნიშნავს საქართველოში სტუმრად მყოფი საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს დირექტორის მოადგილე უილიამ რემსი, რომელიც ენერგეტიკულ საკითხებზე თბილისში მიმდინარე კონფერენციას დაესწრო.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გელა ბეჟუაშვილმა და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს წარმომადგენელმა სამდღიანი კონფერენციის შედეგები სპეციალური პრესკონფერენციით შეაჯამეს.

გელა ბეჟუაშვილის თქმით, საქართველოს მნიშვნელობა ევროპის მომავალ ენერგოუსაფრთხოებაში ძალიან დიდია. მისი განცხადებით, საქართველო სთავაზობს ევროპას ახალი ტრანსკასპიური გაზსადენის მშენებლობას, რომელიც ევროპას კასპიური ენერგორესურსებით მოამარაგებს. საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი აცხადებს, რომ უახლოეს მომავალში საქართველო შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის ენერგოუსაფრთხოებაში.

გაგრძელება A3 გვერდზე

# "საუნივერსიტეტო საზოგადოება ცვლილებების მიმართ მგრძნობიარეა"

ეკა ჯანაშია

თბილისის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უმაღლესი სასწავლებლის სტრატეგიული განვითარების დეტალურად გაწერილი გეგმა-პროექტი შეიმუშავა და რამდენიმე დღის წინ უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს განსახილველად წარუდგინა. პროექტი ხუთ წელზეა გაწერილი და მთლიანად მოიცავს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ასპექტს. უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს წარმოდგენილი პროექტის შესახებ საკუთარი მოსაზრებები ჯერ არ გამოუთქვამს. მათთვის გაცილებით მნიშვნელოვანი და ცხელი თემა უნივერსიტეტში მოსალოდნელი ცვლილებები - აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსებია.

გაგრძელება A5 გვერდზე



ინტერპრესნიუსი

აყალმაყალი უნივერსიტეტში.

# "ნარინჯისფერებმა" კრიზისი დაძლიეს

*"ნარინჯისფერები" კოალიციის შექმნაზე შეთანხმდნენ. გაკეთებული განცხადებების თანახმად, უკრაინას ახალი მმართველი კოალიცია უკვე პარასკევს ეყოლება.*

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამმა უკრაინულმა პარტიამ, რომელიც ბოლო საპრეზიდენტო არჩევნებში ვიქტორ იუშჩენკოს უჭერდა მხარს, მიაღწია შეთანხმებას ქვეყნის ახალი მთავრობისა და პარლამენტის ხელმძღვანელობის ფორმირების შესახებ.

შეგახსენებთ, კოალიციის შექმნაზე მოლაპარაკებები მარტიდან, უკრაინაში რადას დეპუტატთა არჩევნების შემდეგ წარმოებს. ამ ხნის განმავლობაში პროპრეზიდენტული პარტია "ნაშა უკრაინა", იულია ტიმოშენკოს ბლოკი და სოციალისტური პარტია ვერ შეთანხმდნენ კოალიციის მუშაობის პრინციპებსა და ხელმძღვანელი პოსტების გადანაწილებაზე.

ერთი კვირის წინ "ნარინჯისფერებმა" განაცხადეს, რომ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ექსპერტებმა დაიწყეს საუბარი რეგიონების პარტიასთან კოალიციის შექმნაზეც, რომელსაც ოპოზიციონერი ვიქტორ იანუკოვიჩი უდგას სათავეში.

თუმცა, სამშაბათს საღამოს სამივე "ნარინჯისფერი" პარტიის ლიდერმა ვიქტორ იუშჩენკოს მონაწილეობით სხდომა ჩაატარა. ვარაუდობენ, რომ სწორედ ამ სხდომაზე მოხერხდა შეთანხმების მიღწევა კოალიციის შექმნის შესახებ.

უკრაინული პრესის მონაცემებით, უკრაინის ახალი პრემიერ-მინისტრი, შესაძლოა, იულია ტიმოშენკო გახდეს, პარლამენტის სპიკერის პოსტს დაიკავებს "ნაშა უკრაინას" ლიდერი იური ეხანუროვი, ხოლო პირველი ვიცე-პრემიერის პოსტს სოციალისტური პარტიის წარმომადგენელი (სავარაუდოდ, იოსებ ვინსკი) დაიკავებს. თუმცა, ეს ვარაუდი ოფიციალურად არ დასტურდება.

უკრაინის უმაღლესი რადას არჩევნები 2006 წლის 26 მარტს ჩატარდა. რადას შემადგენლობაში ხუთი პარტია და ბლოკი შევიდა: რეგიონების პარტია (186 მანდატი), იულია ტიმოშენკოს ბლოკი (129), ბლოკი "ნაშა უკრაინა" (81), სოციალისტური პარტია (33) და კომუნისტური პარტია (21).

# კავშირი თქვენი ფეხბურთის სამყაროსთან

დიანა ჩაჩუა

*ტელეფონის ზარს ყოველთვის ქართველებისთვის დამახასიათებელი გაგრძელებული "ალოო"-თი, ან "ბატონო"-თი პასუხობს. ოჯახიც ქართული აქვს და ერთ-ერთ ქართულ კომპანიაში - "მაგთი"-შიც მუშაობს. თუმცა არის ერთი რამ, რაც ტიპური ქართველისგან განასხვავებს: ამ ერთი თვის განმავლობაში ფეხბურთით სულაც არ ცხოვრობს. ერთ ეროვნულ ნაკრებს მაინც გულშემატკივრობს. ეს სხვაგვარად შეუძლებელიცაა, რადგან მისი ქვეყანა - ამერიკის შეერთებული შტატები - ჩემპიონატის მონაწილეა, თავად "მაგთი" კი - 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის გენერალური სპონსორი. "მაგთის" მარკეტინგის დირექტორი გერი ქოები "24 საათს" კომპანიის ირგვლივ მიმდინარე საინტერესო საკითხებზე ესაუბრა, თუმცა სიმბოლურია, რომ საუბარი ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატით დაიწყო:*

გაგრძელება A2 გვერდზე



გერი ქოები "24 საათის" რედაქციაში.

# დამნაშავეების მფარველობაში დადანაშაულებული პოლიციის პოლკოვნიკი

უცნობი ნიღბიანების მიერ ნაცემი და ნაწამები 66 წლის ლიანა ჩანჩლიაშვილი შს ახმეტის რაიონული განყოფილების უფროსს, პოლიციის პოლკოვნიკ გელა შაშიაშვილს დამნაშავეების მფარველობაში ადანაშაულებს. ლიანა ჩანჩლიაშვილის ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაციის "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის წევრები" იცავენ. როგორც ცენტრში აცხადებენ, ლიანა ჩანჩლიაშვილი 2005 წლის მარტში საკუთარ საცხოვრებელ სახლში ექვსმა ნიღბიანმა ახალგაზრდამ, ანგარიშსწორების მიზნით, სასტიკად აწამა. თავდასხმა კი მას შემდეგ მოხდა, რაც ლიანა ჩანჩლიაშვილმა მის სახლთან მომხდარი მკვლელობის ზუსტი დეტალების შესახებ პოლიციას ჩვენება მისცა. საქმე ისაა, რომ, როგორც ირკვევა, ჩანჩლიაშვილმა 2004 წლის ოქტომბერში საკუთარ ოჯახში რამდენიმე ჩეჩენი შეიკედლა. ჩეჩნებმა ახალი წლის ღამეს მაშხალები გაისროლეს, რამაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია. ამ ნიადაგზე ჩეჩნებსა და ქართველებს შორის დაპირისპირება მოხდა. კონფლიქტის დროს მძიმედ დაიჭრა ახმეტის მცხოვრები გოჩა ონიაშვილი. იგი მიყენებული ჭრილობის შედეგად რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა.

ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა. სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით მისცა ჩვენება პოლიციას ლიანა ჩანჩლიაშვილმა. ის დარწმუნებულია, რომ პოლიციის პოლკოვნიკი მფარველობს დამნაშავეებს, რომლებმაც ის, ანგარიშსწორების მიზნით, სასტიკად აწამეს.

გაგრძელება A4 გვერდზე

# თავისუფალი სიტყვა

*ახალი მედიაპროექტი რადიო "უცნობის" ეთერში გადის ყოველი სამუშაო დღის 13 საათზე. გადაცემა მიჰყავს ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას, ხოლო სტუმარია პარტია "ახალი მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი ფიქრია ჩიხრაძე.*

**ინგა გრიგოლია:** ჩემთვის ძალიან გამაოგნებელი იყო, როდესაც უნივერსიტეტში ამდენი პოლიციელი დავინახე, მაგრამ მოდით, ნება მომეცით და თქვენთან ერთგვარი ოპონირების მცდელობა მექნება. ასეთი კითხვა მინდა დაგისვათ, რა უნდა გააკეთოს რექტორმა, როდესაც მას არ ემორჩილებიან? არის თუ არა ეს პოლიტიკური დაპირისპირება?

**ფიქრია ჩიხრაძე:** თუ ბოლო ორი დღის მანძილზე მომხდარი ფაქტებით ვიმსჯელებთ, მეცნიერებს პროტესტის ასე გამოხატვის უფლება აქვთ, მაგრამ ამ ყველაფერს აქვს ძალიან საინტერესო წინა ისტორია. რუსუდან ლორთქიფანიძის დანიშვნა, მეცნიერებმა იმიტომ გააპროტესტეს, რომ ეს კადრი გარედან იყო მოყვანილი. მინდა გითხრათ, რომ უნივერსიტეტში ნამდვილად ღირსეული კადრები არსებობს, რომელსაც აღიარება მარტო საქართველოში კი არ აქვთ, არამედ მსოფლიოშიც. შეიძლებოდა უნივერსიტეტისათვის ასეთი კადრის შეთავაზება და არა რუსუდან ლორთქიფანიძის.

**ი.გ.** მაშინ ამბობდნენ, რომ რუსუდან ლორთქიფანიძე გიული ალასანიას მეგობარიაო და ამ ფაქტორმა განაპირობა მისი რექტორად დანიშვნა. ეს ასე იყო, თუ ეს უბრალოდ მეფის კარის ჭორებია?

**ფ.ჩ.** ეს ნამდვილად ასე იყო. რუსუდან ლორთქიფანიძის კანდიდატურა, სააკაშვილის ოჯახსა და ნაცონალურ პარტიას შორის და ასევე, ლომაია-თავისუფლების ინსტიტუტის ბრძოლას შეეწირა. რაც მოდიოდა განათლების სამინისტროდან დაკვეთა, ის ბოლომდე ვერ განხორციელდა. ამიტომაც შეცვალეს ლორთქიფანიძის კანდიდატურა ხუბუათი, რომლის მიმართაც პირადად მე და ძალიან ბევრს კარგი განწყობა გვქონდა. ის იყო უნივერსიტეტელი და გვეგონა, რომ იგი ბევრად უფრო კანონიერად და ბევრად უფრო გააზრებულად დაიწყებდა რეფორმის პროცესს. მიუხედავად იმისა, რომ ის არის ლომაიას კადრი.

**ი.გ.** რა ჩაიდინა ხუბუამ უკანონო?

**ფ.ჩ.** უპირველეს ყოვლისა კანონი განათლების შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც ჩვენ ძალიან ბევრი ვიბრძოლეთ, თუმცა ის პარლამენტმა მაინც მიიღო და ძალაში შევიდა. შესაბამისად, ეს არის კანონი, რომელიც ყველამ უნდა აღასრულოს. მიუხედავად იმისა, რომ განათლების სესახებ კანონი ჩემი აზრით ცუდი, მაინც ამ კანონის მიხედვით უნდა მიმდინარეობდეს უნივერსიტეტში პროცესების მართვა. მათ გააკეთეს ისე, რომ კანონი გვერდზე გადადეს და შექმნეს რაღაც ბრძანებულებები, ნორმატიული აქტები, რომლითაც დაიწყეს უნივერსიტეტის მართვა. კანონი ისედაც ზღუდავდა უნივერსიტეტის ავტონომიას და დღეს უბრალოდ ავტონომიურობაზე აღარ არის ლაპარაკი. ექვსი ფაკულტეტი დატოვეს იმიტომ, რომ ექვსი კადრი ჰყავდათ დასანიშნი. როდესაც ბატონი ხუბუა პარლამენტში მოვიდა, მე ვკითხე რატომ ექვსი ფაკულტეტი და მეტი არა-თქო? მან თქვა, რომ აშკარად მექანიკურად მოხდა ფაკულტეტების შერწყმა.

**ი.გ.** ანუ პიროვნებებზე მოარგეს?

**ფ.ჩ.** ეს გადაწყვეტილება, აბსოლუტურად პიროვნებებზე მორგებულად იყო მიღებული.

**ი.გ.** კი მაგრამ, ექვსზე მეტი მხარდამჭერი მეცნიერი არ ჰყავდათ?

**ფ.ჩ.** ის მხარდამჭერი, რომელიც მათ მიერ ნაკარნახებ პოლიტიკას განახორციელებდა, მეტი მაშინ არ ჰყავდათ. შესაძლოა, ასეთი კადრების რიცხვი ეხლა გამრავლდა. ეს ყველაფერი იქით არის მიმართული, რომ უნივერსიტეტის აბსოლუტური პოლიტიკური კონტროლი იყოს ხელში აღებული.

**ი.გ.** ქალბატონო ფიქრია, პრობლემა ამაშია თუ იმაში, რომ ძალიან ბევრს ემუქრება სამსახურის გარეშე დარჩენა?

**ფ.ჩ.** სამსახურის გარეშე დარჩენა ბევრს ემუქრება და ბევრს სამართლიანადაც დაემუქრება, რადგან შტატები მართლაც, რომ ძალიან გაბერილია. ის ადამიანები, რომელიც ამას აპროტესტებენ, მერწმუნეთ, რომ უნივერსიტეტში წამყვანი პროფესურა არიან.

# "თბილისის წყალმა" საერთაშორისო სერტიფიკატი მიიღო

"თბილისის წყალი" პირველი სახელმწიფო კომპანიაა, რომელმაც ხარისხის მართვის სტანდარტის საერთაშორისო სერტიფიკატი - ISO 9001 - მიიღო.

სერტიფიკატი გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" "SAI Global Certification Services" -ს გენერალურმა დირექტორმა ალექს ეზრახოვიჩმა "თბილისის წყლის" გენერალურ დირექტორს გეგი ქელბაქიანს გადასცა.

"თბილისის წყალს" სერტიფიკატი უმოკლეს ვადებში განხორციელებული წარმატებული ქმედებებისა და მომსახურების მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულობისთვის გადაეცა. ცერემონიას თბილისის მერი და მთავრობის ოფიციალური პირები დაესწრნენ.

თბილისის მერის გიგი უგულავას განცხადებით, დასრულდა წყალკანალისა და საბჭოთა კანტორის ერა. "კომპანია "თბილისის წყალი"-სთვის საერთაშორისო სერტიფიკატი არის დიდი პასუხისმგებლობა. ასეთი ტიპის სადისტრიბუციო კომპანიის მართვა ნიშნავს, იყო ორიენტირებული მომხმარებელზე, მის ყოველდღიურ და ყოველწუთიერ სამსახურში", - განაცხადა უგულავამ.



"ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიკატი ადასტურებს, რომ კომპანიამ "თბილისის წყალი" გაიარა ექსპერტთა შემოწმება, აღიარებულ იქნა მენეჯმენტის სფეროში ISO 9001 სტანდარტების შესაბამისად და გააჩნია საერთაშორისო აკრედიტაცია", - აცხადებენ კომპანიაში.

"ხარისხის მართვის სერტიფიკატის შენარჩუნება კომპანიის საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს დაეფუძნება. ამისთვის, "თბილისის წყალი" გააგრძელებს დაწყებული პროექტებისა და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც საბოლოო მიზნის - თბილისის მოსახლეობის 24-საათიან და ხარისხიან წყალმომარაგება - მიღწევას გულისხმობს", აღნიშნა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გეგი ქელბაქიანმა.

*ინტერპრესნიუსი*

# ქუთაისის მერიაში ცვლილებები იგეგმება

მაია მეცხვარიშვილი
*ქუთაისიდან*

ქუთაისში შემოდგომისთვის დაგეგმილი ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო მარათონი ჯერ აქტიურად არ გაჩაღებულა, თუმცა საკრებულოს წევრობისა და შემდგომში მერობის მსურველთა ფარული ბრძოლა უკვე დაიწყო.

მომავალი კანდიდატები, ჯერჯერობით, თავის გამჟღავნებას ერიდებიან, ამიტომაც პოლიტიკური "დარტყმების" ერთადერთ ობიექტად ამ დრომდე მხოლოდ ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი გიგა ჩოგოვაძე რჩება, თუმცა ამ დროისთვის უცნობია, მიიღებს თუ არა თავად ჩოგოვაძე არჩევნებში მონაწილეობას. როგორც ჩანს, გადამწყვეტი სიტყვა მმართველ პარტიაზე იქნება.

**"ლოგიკურად, რითი უნდა იყოს გამოწვეული, "რესპუბლიკელებთან" ჩემი გადაბარგების სურვილი, უბრალოდ, არ მესმის. საიდან მოდის ასეთი ჭორები? ეს, ალბათ, ვიღაცას სჭირდება. მე არც ერთ "რესპუბლიკელს" არ ვიცნობ და ძალიან ბევრს ვიცნობ "ნაციონალურ პარტიაში", ვთანამშრომლობ ამ პარტიასთან და რეალურად ვარ ამ პარტიაში. თუ საერთოდ ვიყრი კენჭს არჩევნებში, ეს აუცილებლად "ნაციონალებიდან" იქნება, მაგრამ ეს არ არის მარტო ჩემი გადასაწყვეტი საკითხი და ასეთი სურვილი თავად პარტიას უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საერთოდ არც ერთი პარტიული სიით არ ვიყრი კენჭს. მე მიმაჩნია, რომ "ნაციონალური მოძრაობა" რეალურად ყველაფერს აკეთებს ქვეყნის აღმშენებლობისთვის. ამ ადამიანებს შეუძლიათ და უნდათ საქმის კეთება და ჩემი ადგილიც, ალბათ, მათ გვერდით იქნება,"** - აცხადებს "24 საათთან" საუბარში ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი.

ქუთაისში გიგა ჩოგოვაძის მერად მოსვლის დღიდან პერმანენტულად საუბრობენ იმის თაობაზეც, რომ ქალაქში არჩევნებამდე კიდევ ერთი მერის მოვალეობის შემსრულებელი გამოიცვლება.

**"არსად წასვლას არ ვაპირებ. ახლა ჩემი წასვლა, ამ ქალაქისა და იმ პრინციპების ღალატი იქნება, რითაც მე ვცხოვრობ. პრობლემები კი ჯანმრთელობის მხრივ ადრეც მქონდა და ახლაც მაქვს, მაგრამ ამ შემთხვევაში, თუნდაც ჩემი ჯანმრთელობის ხარჯზე, მივიყვან ამ საქმეს არჩევნებამდე,"** - აცხადებს გიგა ჩოგოვაძე.

ქუთაისის მერის მოვალეობის შემსრულებელი ამბობს, რომ სტიმულს მას პრეზიდენტისა და ცენტრალური ხელისუფლების განსაკუთრებული მხარდაჭერა აძლევს, რომელიც, მისი თქმით, დიდი რაოდენობით სპეცტრანსფერტების გამოყოფაში გამოიხატება. თავის მხრივ, ქუთაისისთვის დამატებითი სახსრების მოპოვებაში თავის ექსკლუზიურ ღვაწლზე საუბრობს ნინო ბურჯანაძე, რომელიც ქუთაისში ერთადერთ პრობლემად ნაკლებად კომპეტენტურ ადგილობრივ ხელისუფლებას მიიჩნევს. ამის თაობაზე ბურჯანაძემ ქუთაისში მისი ბოლო ვიზიტის დროს განაცხადა.

**"საყვედურის ტონი მე ქალბატონი ნინოს საუბარში არ წამიკითხავს,"** - აცხადებს გიგა ჩოგოვაძე.

გიგა ჩოგოვაძე, რვათვიანი მოღვაწეობის პერიოდში, მისი მთავრობის მთავარ წარმატებად ქუთაისში გზების მშენებლობასა და ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გადადგმულ ნაბიჯებს მიიჩნევს. მათ შორისაა, ქალაქის დასუფთავებისთვის თანამედროვე ტექნიკის შემოყვანის საკითხი, რომლის მოგვარებაც ორიოდე კვირის წინ ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ - შპს "ქალაქსერვისმა" აიღო საკუთარ თავზე. მას ბიუჯეტიდან 800 000 ლარი გამოეყო. თანამედროვე ტექნიკა და დასუფთავების დარგში გამოცდილება ამ ფირმამ პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა შეიძინოს, რომელსაც მომავალი თვიდან შეუდგება. გავრცელებული ინფორმაციით, აღნიშნული კომპანიის ხელმძღვანელს დავით კაკაბაძეს ტენდერში გამარჯვება მერთან ნათესაობამ მოუტანა.

**"არანაირი ნათესავი არ არის, თუმცა ისე ვიცნობ და ძალიან მიხარია, რომ დათო კაკაბაძემ მოკიდა ხელი ამ საქმეს, რადგან ის ძალიან უნარიანი კაცია და დარწმუნებული ვარ, თავს გაართმევს ამ საქმეს. მე ყველანაირად ვეცდები, რომ ამ კაცს და დასუფთავებას ხელი შევუწყო. სხვათაშორის, საკმაოდ მძიმე პირობები იყო ტენდერში და ძალიან დიდი საფრთხე არსებობდა იმისა, რომ ტენდერი ჩავარდნილიყო,"** - აცხადებს გიგა ჩოგოვაძე.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებამდე ჩოგოვაძე ქუთაისის მერიაში მორიგ სტრუქტურულ რეორგანიზაციას გეგმავს. კერძოდ, მის მიერვე გაერთიანებულ კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სამსახურს, ისევ დაცალკავებას უპირებს. გამოყოფილი სპორტის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კი, მმართველი პარტიის იმერეთის რეგიონული რგოლის ხელმძღვანელის აკაკი ბობოხიძის რეკომენდაციით, გულორდავას მიერ გათავისუფლებული ტარიელ ძოწენიძის დანიშვნას გეგმავს.

**"ჯერჯერობით, იდეაში საუბარი მაქვს მხოლოდ სამსახურის გაყოფაზე. კონკრეტულად ტარიელ ძოწენიძე იქნება უფროსი, თუ ვიღაც პეტრე ან პავლე, ამას აბსოლუტურად არა აქვს მნიშვნელობა. ეს კანდიდატურა აუცილებლად შეთანხმდება პარტიასთან და შეთანხმდება ყველა იმ ადამიანთან, ვისთანაც უნდა შეთანხმდეს,"** - აცხადებს გიგა ჩოგოვაძე.

მერიაში სტრუქტურული რეორგანიზაციის პირობებში, ცვლილებები იგეგმება თვითმმართველობის აპარატის შიგა სტრუქტურაშიც.

*მოკლედ*

## რუსი სამშვიდობოები მოლაპარაკებების გაგრძელების სანაცვლოდ

გუშინ აფხაზთა ლიდერი, სერგეი ბაგაფში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში რუს მშვიდობისმყოფელთა შეყვანის 12 წლისთავს ზეიმობდა.

რუსეთის სამშვიდობო კონტინგენტზე საუბრისას, ბაგაფშმა განაცხადა, რომ თუ ქართული მხარე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან რუს სამშვიდობოთა გაყვანის მოთხოვნას გააგრძელებს, აფხაზეთი მოლაპარაკებათა პროცესიდან გავა.

"ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში მდგარ რუს სამშვიდობოებს ალტერნატივა არა ჰყავთ. ისინი ჯეროვნად იცავენ სტაბილურობასა და მშვიდობას ამ რეგიონში. საქართველომ რომ მათი გაყვანის მოთხოვნა გააგრძელოს, აფხაზეთი სამშვიდობო მოლაპარაკებათა პროცესიდან გავა, რუს მშვიდობისმყოფელთა ადგილს კი აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და დნესტრისპირეთის სამშვიდობო ჯარები დაიკავებს", - განაცხადა ბაგაფშმა და საქართველოს ხელისუფლება კიდევ ერთხელ გააფრთხილა:

"გარწმუნებთ, რომ მოვლენათა ამგვარი განვითარების შემთხვევაში საზღვრისადმი დამოკიდებულება არსებულისგან განსხვავებული იქნება - ჩვენ საზღვრის მთელს პერიმეტრს 100 პროცენტით დავნაღმავთ და ყველა საერთაშორისო ნორმის შესაბამისად მოვაწყობთ", - დასძინა "პრეზიდენტმა".

მისივე თქმით, იარაღით რუსეთის მხრიდან აფხაზეთის საზღვარს არავინ გადმოკვეთს, რადგან "იარაღი ჩვენი საზღვრის დასაცავად და აფხაზ სამშვიდობოთა შესაიარაღებლად აქაც საკმარისი გვაქვს".

*ჯი-ეიჩ-ენი*

## ევროპულ-ამერიკული დიალოგი ვენაში

ვენაში, ამერიკა-ევროკავშირის სამიტზე პრეზიდენტი ჯორჯ ბუში შეეხო გუანტანამოს წინააღმდეგ მიმართულ კრიტიკას. როგორც აშშ-ს პრეზიდენტმა აღნიშნა, მისთვის გასაგებია საერთაშორისო თანამეგობრობის შეშფოთება კუბაში, გუანტანამოს ბაზაზე განთავსებული ამერიკული საპატიმროს გამო და სურს ამ საპატიმროს დახურვა.

ბუშმა აღნიშნა ასევე, რომ მიზანშეწონილად მიიჩნევს პატიმრების სამშობლოში გაშვებას, თუმცა ზოგი მათგანია, ბუშის თქმით, "ცივსისხლიანი მკვლელი", რომელიც მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარდგეს. სამიტზე აშშ-ის პრეზიდენტი შეეხო ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო დაპირისპირებასაც, აგრეთვე გამოთქვა რწმენა, რომ ერაყის ახალი მთავრობა წარმატებით იმუშავებს. ვენიდან იუწყებიან აგრეთვე, რომ ასობით სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა ბუშის ვიზიტის საწინააღმდეგო საპროტესტო სვლაში.

*რადიო თავისუფლება*

*სტუმარი*

# კავშირი თქვენი ფეხბურთის სამყაროსთან

პირველი გვერდიდან

**- ბატონო გერი, "მაგთი" 2006 წლის ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ტრანსლაციის გენერალური სპონსორია. მარკეტინგული თვალსაზრისით, რა დატვირთვა აქვს ამ გადაწყვეტილებას?**

- ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი მსოფლიო კლასია. ასე რომ, ვის შეეძლო თქვენი ამ ჩემპიონატთან დაკავშირება? რა თქმა უნდა, დროში გამოცდილ კომპანია "მაგთის".

მე ქართული ოჯახი მაქვს და მათი შემხედვარე ვიცი, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფეხბურთი ქართველი ხალხისთვის. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატი - ეს განსაკუთრებული შემთხვევაა, რაც იმის დემონსტრირების საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი მომხმარებლები და მათი ინტერესები კომპანიისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. მივესალმები ამ ნაბიჯს და მივიჩნევ, რომ ეს ძალიან ეფექტური გადაწყვეტილება იყო. წარმოიდგინეთ, ამ ჩემპიონატის ტრანსლაციების შეძენა მთლიანობაში 725 ათასი ლარი დაგვიჯდა. ეს ჩვენი კიდევ ერთი მცდელობაა, რომ ჩვენს მომხმარებლებს ცხოვრება გავულამაზოთ. თუმცა, არა მარტო ჩვენს მომხმარებლებს, რადგან საქართველოში ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატს, ჩვენი კლიენტების გარდა, უამრავი ადამიანი ადევნებს თვალს.

სპონსორობის მსგავსი ხერხები არ გვაძლევს მეტი სალაპარაკო წუთების, სიმ-ბარათების გაყიდვის საშუალებას, მაგრამ ამით ბაზარს ვუჩვენებთ, რომ მომხმარებლების წინაშე გვაქვს ვალდებულებები, რომელთაც ვასრულებთ. შემთხვევით არ იყო, როცა ივნისის დასაწყისში, ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, მომხმარებლებს ახალი ლოგო, სლოგანი, ფერები, მუსიკა და ა.შ. წარვუდგინეთ.

რაც შეეხება ჩემს სანაკრებო სიმპათიებს, ფეხბურთის "ფანი" არ ვარ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ამერიკელი ვარ, სწორედ ამ ქვეყანას ვგულშემატკივრობ.

**- მაინც, რა არის კავშირგაბმულობის ქართული ბაზრის უპირატესობა?**

- საქართველოში კავშირგაბმულობის ბიზნესის წარმართვა დიდი გამოწვევაა. ვთქვათ, გეოგრაფიული თვალსაზრისით: თქვენ მაღალი მთები, ცხელი ზონები და ა.შ. გაქვთ. ამავე დროს, ქართველი მომხმარებლები ევროპული დონის მაღალი ხარისხის კავშირს მოითხოვენ.

ჩვენ ქვეყანაში ყველაზე მსხვილი მობილური კავშირგაბმულობის კომპანია ვართ. "მაგთიკომი" დღევანდელ რეპუტაციას და ლიდერულ პოზიციებს წლების განმავლობაში აშენებდა. ჩვენი საქმიანობის ბოლო ფაზაში ჩვენ სრულიად მომხმარებელზე ორიენტირებულ კომპანიად ვიქეცით. მომხმარებლები ჩვენი კომპანიის არსებობის ნომერ პირველი მიზეზია. ყველა განხორციელებული ქმედება იმას ემსახურება, რომ ქართველი მომხმარებელი მაღალი ხარისხის მობილური კომუნიკაციის საშუალებებით იყოს უზრუნველყოფილი. ყოველივე ეს კი დიდ ინვესტიციებს მოითხოვს.

წლების განმავლობაში ხალხი "მაგთის" მისი დაფარვის მაღალი შესაძლებლობების გამო ირჩევდა. წელს მომხმარებლების რაოდენობის მილიონამდე გაზრდას ვგეგმავთ. ადამიანები, რომლებიც 20-წამიან ზარებს ახორციელებენ, ჩვენთვის ისევე მნიშვნელოვნები არიან, როგორც ისინი, ვინც ტელეფონით საშუალოდ 10 წუთს საუბრობენ.

**- დღეს მთელი მსოფლიო მესამე თაობის ტექნოლოგიებზე გადადის. რა ეტაპზეა "მაგთის" მუშაობა ამ მიმართულებით?**

- მესამე თაობის ტექნოლოგიების ქსელი დედაქალაქში და სხვა მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში უკვე აწყობილი გვაქვს. ასე რომ, მესამე თაობის ტექნოლოგიის ქსელი საქართველოში უკვე არსებობს. ივნისის დასაწყისში ჩვენ პირველი პირდაპირი ვიდეოზარი განვახორციელეთ. ზაფხულის პერიოდში მესამე თაობის ტექნოლოგიები შეთავაზებული იქნება მომხმარებელთა მცირე ნაწილისთვის, რათა უკეთ იქნას შესწავლილი ბაზრის მოთხოვნილებები ამ ტიპის სერვისებზე. გვაინტერესებს დადგენა, როგორ იყენებს ხალხი ამ ტექნოლოგიას, როგორ მიიღებს ბაზარი მას და ა.შ. ოდნავ მოგვიანებით, დაახლოებით, სექტემბერ-ოქტომბერში ამ ტექნოლოგიას კომერციულად დავნერგავთ.

**- თქვენ "მაგთის" ბრენდის ახალი სახელწოდება და სლოგანი ახსენეთ, რით იყო გამოწვეული ეს ცვლილება?**

- ჩვენ კვლავაც კავშირს ვემსახურებით, თუმცა ამჯერად კავშირს - თქვენს სამყაროსთან, ოჯახთან, კოლეგებთან, საყვარელ ინტერნეტ-საიტთან და ა.შ. როდესაც ახალი სლოგანის შექმნაზე ვმუშაობდით, ჩვენი მიზანი იყო, რომ კომპანიის მომხმარებლებზე ორიენტაცია დაგვენახებინა.

ამასთან, თუ ქუჩაში ჩვენს ათ მომხმარებელს გააჩერებთ და ჰკითხავთ, რომელი ქსელის აბონენტები არიან, ათიდან ცხრა გიპასუხებთ "მაგთის" და არა "მაგთიკომს."

წარსულში, როდესაც ფიჭური კავშირგაბმულობა ახალი ხილი იყო, ბრენდის სახელწოდებაში GSM-ის გამოყენება გარკვეულ უპირატესობას წარმოადგენდა. მაგრამ ცხრა წლის შემდეგ მობილური კომუნიკაციები ძალზე ჩვეულებრივი, ყოველდღიური ცხოვრების ნაწილი გახდა. ის აღარ წარმოადგენს ფუფუნების საგანს. ტერმინი GSM რამეზე მეტყველებს ინჟინრისთვის, მაგრამ არა მომხმარებლისთვის. ყოველივე ეს იყო, სწორედ ამ ცვლილებების მიზეზი.

**- ბოლო თვეების განმავლობაში "მაგთი" განსაკუთრებულად აქტიური მარკეტინგული კამპანიით გამოირჩევა...**

- ბოლო ექვსი თვეა, ჩვენი მარკეტინგული კამპანია მართლაც განსაკუთრებული ტემპებით მუშაობს. მაგალითად, აღსანიშნავია ზაფხულის სიახლე, რომლის თანახმადაც, თუ ხუთლარიან მონო-ბარათს შეიძენთ, წლის განმავლობაში გარანტირებული გექნებათ შემომავალი ზარები.

საინტერესოა ისიც, რომ მონო-ბარათის ყოველი გააქტიურების შემდეგ გელოდებათ სიურპრიზი. კერძოდ, 10-ლარიანი ბარათის შემთხვევაში საჩუქრად მიიღებთ - 3 უფასო წუთს, 15-ლარიანის შემთხვევაში - 5 წუთს, 30-ლარიანის შემთხვევაში - 12 წუთს, ხოლო 60-ლარიანი მონო-ბარათის შემთხვევაში - 30 წუთს. ოღონდ ეს საჩუქარი "მაგთის" ქსელის შიდა ზარებისთვის დაგერიცხებათ.

გვაქვს კიდევ ერთი სიახლე ბალის აბონენტებისთვის: ზაფხულის ბალი. მთელი ზაფხულის განმავლობაში აქ ყოველი 3 წუთის შემდეგ 7 წუთი უფასოა.

**- რაც შეეხება ბალს, ეს ხომ კომპანიისთვის "მაგთიზე" არანაკლებ ეფექტური ბრენდია?**

- ბალი სულ სხვაა. ეს გარკვეული მოდური მიმდევრობაა. ბალი შექმნილია ადამიანებისთვის, რომელთაც რაღაც განსხვავებული სურთ.

ბევრს დავობენ იმასთან დაკავშირებით, მუშაობს თუ არა მარკეტინგი საქართველოში ისევე, როგორც დასავლეთის ქვეყნებში. ბალი ამის საუკეთესო დასტურია. ბალის ბიჭის სარეკლამო კამპანიის დაწყებიდან შვიდ თვეში ჩვენ უდიდეს წარმატებას მივაღწიეთ. ბალი ყოველდღიური საუბრის თემადაც კი იქცა. ძალიან ბევრი ბავშვი მეკითხება, თუ სად შეუძლიათ ბალის ბიჭთან შეხვედრა. მომავალში ამასთან დაკავშირებით დიდი სიურპრიზები გვაქვს დაგეგმილი.






**24 საათი:** მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი). რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (Weekend), ნიკა თარაშვილი (პოლიტიკა), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ბიძინა მაყაშვილი (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი).
რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი ირაკლი ლეჟავა . კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი

# ენერგოუსაფრთხოების ქართულ-ევროპული ერთიანი ხედვა

პირველი გვერდიდან



ბესო გულაშვილის ფოტო

უილიამ რემსმა აღნიშნა, რომ კონფერენციის მონაწილეებმა ძალიან ბევრი ისაუბრეს სხვადასხვა მილსადენების მშენებლობის პერსპექტივებზე, რომელთა ამოქმედების შედეგად კასპიის აუზი ევროპას დაუკავშირდება.

ჯერჯერობით არც ბეჟუაშვილი და არც რემსი არაფერს ამბობენ ახალი პროექტების ამუშავების კონკრეტულ ვადებზე.

გელა ბეჟუაშვილის განცხადებით, აზერბაიჯანი-საქართველო-უკრაინა-მოლდოვას რეგიონი ძალიან ხელსაყრელია ევროპისთვის, რომ განახორციელოს ენერგეტიკული უზრუნველყოფა. **"არსებობს ერთიანი მიზანი, რომ ევროპა უსაფრთხო უნდა იყოს და არ უნდა იყოს დამოკიდებული ერთ ენერგომიმწოდებელზე. ამ მიზნით ჩვენ მჭიდროდ ვთანამშრომლობთ სუამის ფარგლებში, რომელიც საკმაოდ საინტერესო რეგიონია ელექტროენერგიის წარმოების, ტრანზიტისა და მოხმარების თვალსაზრისით. ენერგოუსაფრთხოების საკითხებში ერთიანი ხედვა საშუალებას მოგვცემს, შევამციროთ მონოპოლიზაცია აღნიშნულ სექტორში. ეს მხოლოდ ჩვენი პოლიტიკა არ არის, ეს არის ევროატლანტიკური ენერგეტიკული პოლიტიკის ნაწილიც,"** - აღნიშნა ბეჟუაშვილმა.

მისი თქმით, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მუშაობა ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების ერთიანი სტრატეგიის ჩამოსაყალიბებლად, რათა უზრუნველყოფილი იყოს ენერგომატარებლების დივერსიფიკაცია და ენერგეტიკულ ბაზარზე არსებული მონოპოლიის გაუქმება.

როგორც უილიამ რემსმა აღნიშნა, ევროპა შაჰდენიზის პროექტის განხორციელებას ელოდება, რაც ევროპისთვის დამატებით გაზს ნიშნავს და ასევე ევროპელებს იმედი აქვთ, რომ ყაზახური გაზის ტრანსპორტირებასაც შეძლებენ.

კონფერენცია თბილისში 19-21 ივნისს საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და პრეზიდენტ სააკაშვილისა და საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტოს ეგიდით ჩატარდა. ფორუმში სხვადასხვა ქვეყნის მსხვილი ენერგოკომპანიების წარმომადგენლებმა და სხვა მაღალი რანგის სტუმრებმა მიიღეს მონაწილეობა.

*24 საათი*

# გარდატეხის ნიშნები

პირველი გვერდიდან

მნიშვნელობას ანიჭებს და იმედოვნებს, რომ საქართველოსა და ოსური მხარის სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელთა შეხვედრა და თანამშრომლობა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს კონფლიქტის ზონაში კრიმინოგენური ვითარების კარდინალურად შეცვლას, რაც თავის მხრივ დააჩქარებს კონფლიქტის მოგვარების პროცესს. **"კონფლიქტის ზონაში ვითარებაზე ორმხრივი კონტროლის დამყარება გარდამტეხი და საკვანძო წერტილი აღმოჩნდება მხარეებს შორის ნდობის აღსადგენად და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების გზაზე,"** - აღნიშნა ხაინდრავამ, რომელიც იმედოვნებს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და მისი ოსი კოლეგა შეთანხმდებიან ისეთ საკითხებში თანამშრომლობაზე, როგორიცაა კრიმინალთან, ბანდიტიზმთან, ტერორიზმთან და კონტრაბანდასთან ერთობლივი ბრძოლა.

ხაინდრავას განმარტებით, ცხინვალში დღეისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე ვანო მერაბიშვილი და მიხეილ მინძაევი მხარეთა სამართალდამცავი ორგანოების საკოორდინაციო ცენტრის შექმნაზე იმსჯელებენ, რომლის მუშაობის საქმიანობის დაფინანსებას თბილისსა და ცხინვალს მეგობარი ქვეყნები დიდი ხანია სთავაზობენ. **"მთავარია, რომ ამ ცენტრის შექმნის ფუნქციონირებისათვის ორივე მხარემ პოლიტიკური ნება უკვე გამოხატა, ახლა საჭიროა კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა და ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება,"** - დასძინა გიორგი ხაინდრავამ.

გუშინვე გიორგი ხაინდრავა აშშ სახელმწიფო მდივნის თანაშემწეს მეთიუ ბრაიზას და საქართველოში აშშ-ს სრულუფლებიან და საგანგებო ელჩს ჯონ ტეფტს შეხვდა. შეხვედრაზე საუბარი კონფლიქტების მოგვარების საკითხებს შეეხო.

**"მხარეები ქართულ-ოსურ კონფლიქტში უფრო კონსტრუქციულები, რაციონალურები და რაც შეიძლება ნაკლებად ემოციურები უნდა იყვნენ, და ეს წარმატების საფუძველი გახდება,"** - განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ მეთიუ ბრაიზამ. მან აღნიშნა, რომ ბრიუსელში გამართულ დონორთა კონფერენციაზე ქართული მხარე **"კონსტრუქციულად და დასაბუთებულად"** გამოვიდა, და კონფერენციაზე წარმოდგენილმა ყველა სახელმწიფომ კიდევ ერთხელ დაუჭირა მხარი კონფლიქტის მოწესრიგებას საქართველოს საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში. აფხაზეთის კონფლიქტზე საუბრისას, მეთიუ ბრაიზამ აღნიშნა, რომ მთავარი აქცენტი ამ შემთხვევაში რეგიონის მთელ ტერიტორიაზე დევნილთა დაბრუნებაზე უნდა გაკეთდეს.

საქართველოს პარლამენტის ინიციატივის კომენტირებისას რუსეთის სამშვიდობო ძალების საერთაშორისო კონტინგენტით ჩანაცვლების თაობაზე ბრაიზამ აღნიშნა, რომ ეს **"პარლამენტის სუვერენული უფლებაა, რომელიც ქართველი ხალხის ნებას გამოხატავს"**, და პარლამენტს ურჩია, საერთაშორისო პოლიციური ძალების შექმნაზე იფიქროს. **"კონფლიქტების მოგვარება აუცილებლად უნდა მოხდეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვით. ჩვენ მხარს ვუჭერთ თბილისის სამშვიდობო გეგმას,"** - განაცხადა მეთიუ ბრაიზამ.

**"ბრიუსელის კონფერენციამ ცალსახად განსაზღვრა საერთაშორისო თანამეგობრობის ხედვა, თუ როგორ უნდა იქნეს ეს კონფლიქტები მოგვარებული. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ დგება ეჭვის ქვეშ. ეს მნიშვნელოვანი და პრინციპული საკითხია,"** - განაცხადა გიორგი ხაინდრავამ.

*24 საათი*

# თეირანი მზადაა, "ექვსეულის" წინადადებებს უპასუხოს

ხათუნა ბაბიევი

ირანის ისლამურ რესპუბლიკას "ექვსეულმა" დიდი ხანია უკვე წარუდგინა წინადადებათა პაკეტი, მაგრამ ოფიციალური თეირანი სხვადასხვა მიზეზის დასახელებით თავს იკავებდა ამ წინადადებებზე პასუხის გაცემის ვადის განსაზღვრისაგან. თუმცა, როგორც ირკვევა, ზეწოლამ შედეგი მაინც მოიტანა და ირანის პრეზიდენტმა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა დაასახელა კიდეც ეს თარიღი. აჰმადინეჯადის თქმით, ბირთვულ პრობლემაზე მომუშავე "ექვსეული" პასუხს 22 აგვისტოს მიიღებს.

**"ჩვენ წინადადებების განხილვას ირანული კალენდრის მორდადის (22 ივლისი-21 აგვისტო) თვეში დავასრულებთ და უზენაესის ნებით გამოვაცხადებთ კიდეც ჩვენს გადაწყვეტილებას"**, - აღნიშნა მაჰმუდ აჰმადინეჯადმა სახელმწიფო ტელევიზიით გამოსვლისას.

რუსეთის, აშშ-ს, ჩინეთის, დიდი ბრიტანეთის, გერმანიისა და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა 1 ივნისს ვენაში შეხვედრაზე მიიღეს წინადადებათა პაკეტი, რომლის დეტალური შინაარსიც, მართალია, ჯერ საზოგადოებისთვის ცნობილი არაა, მაგრამ ზოგადად ირანის იძულებას გულისხმობას - დათანხმდეს ურანის გამდიდრების პროგრამაზე მუშაობის შეწყვეტას. ცნობილია წინადადებათა ძირითადი ასპექტები, კერძოდ, პაკეტი მოიცავს 3 სფეროს - ირანის ბირთვულ პროგრამას, თეირანთან ეკონომიკურ და სავაჭრო სფეროში თანამშრომლობას და უსაფრთხოების გარანტიებს.

თუ ჯერ კიდევ უახლეს წარსულში, კერძოდ, 31 მაისს აშშ თანახმა იყო უშუალოდ ეწარმოებინა ირანთან მოლაპარაკებები ბირთვული საფრთხის თავიდან აცილებისთვის, ორიოდე დღის წინ თეთრმა სახლმა მოთმინება დაკარგა და კეთილგანწყობის გამოვლენას ისევ მუქარა ამჯობინა. დამოკიდებულების ასეთი ხშირი ცვლის გამო კი რუსეთი "მათრახისა და თაფლაკვერის" პოლიტიკაზე ალაპარაკდა აშშ-ს მხრიდან. თუმცა, ორმაგი სტანდარტებით მოქმედებაზე საუბრის უფლება თუ რამდენად აქვს რუსეთს, ამას ჯერ მარტო ირანის ბირთვული პროგრამისადმი დამოკიდებულებაც მოწმობს. ირანს თავის მოქმედებებში ზურგს ჩინეთთან ერთად რუსეთიც რომ უმაგრებს, შანხაის ორგანიზაციის სამიტზე მაჰმუდ აჰმადინეჯადის მიერ გაკეთებული განცხადებაც მოწმობს - **"რომ არა რუსეთისა და ირანის ორმხრივი თანამშრომლობა, რეგიონში დიდი ხანია ვითარება ატომური ბომბის ამოქმედებას დაემსგავსებოდა"**.

რამდენიმე დღის წინ, როდესაც ირანი ჯერ კიდევ უარობდა კონკრეტული ვადის დასახელებას, საერთაშორისო საზოგადოების მხრიდან ზეწოლას აშშ-ს პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის საკმაოდ ხისტი განცხადებაც დაერთო. ჯორჯ ბუშის თქმით, ირანისთვის უმჯობესი იქნება, თუკი საერთაშორისო თანამეგობრობის მოთმინებას ბოროტად არ გამოიყენებს და კიდევ უფრო არ გადაავადებს წინადადებებზე პასუხის დასახელების თარიღს.

**"ირანელებს ამ გონივრული გარიგებისთვის ამდენი ფიქრი არ სჭირდებათ"**, - აღნიშნა აშშ-ს პრეზიდენტმა ვენაში ჰაბსბურგის სასახლეში გამართული ევროკავშირისა და აშშ-ს სამიტის დასრულების შემდეგ მოწყობილ პრესკონფერენციაზე.

მისი თქმით, ოფიციალური თეირანისგან თარიღის დასახელებას ერთი კვირის მანძილზე ელიან და არა ერთი თვის შემდეგ.

თუმცა, თუ სააგენტო "ფრანს პრეს"-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას დავეყრდნობით, მაჰმუდ აჰმადინეჯადს გადაწყვეტილების მიღებაში ხავიერ სოლანას წერილიც დაეხმარა, რომელმაც აცნობა ოფიციალურ თეირანს, რომ თარიღი "ექვსეულმა" არაუგვიანეს 29 ივნისისა უნდა იცოდეს, როდესაც მოსკოვში "დიდი რვიანის" საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრა დაიწყება.

გარდა ამისა, ჯორჯ ბუშმა ისიც აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ირანთან მოლაპარაკებებს მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება, როდესაც თეირანი ურანის გამდიდრებაზე მუშაობის შეწყვეტის დამადასტურებელ საბუთებს წარმოადგენს.

**"ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ირანელები მიიღებენ ჩვენს წინადადებებს და საკუთარი ნებით შეწყვეტენ ურანის გამდიდრებას. ამ შემთხვევაში ჩვენ შევძლებთ შეთანხმების მიღწევას, რომელიც ირანისთვის სასარგებლო იქნება, ხოლო თუ ირანელი ლიდერები ჩვენს წინადადებებს უარყოფენ, ეს მხოლოდ უშიშროების საბჭოს მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ ქმედებებამდე მიგვიყვანს, ესენია - საერთაშორისო იზოლაცია და პოლიტიკური და ეკონომიკური სანქციების ძლიერ გამკაცრება მომავალში,"** - განაცხადა აშშ-ს პრეზიდენტმა.

# პროვოკაციები და "ამოუწურავი დარდი" დაკარგულ გავლენაზე

15-17 ივნისსს სანკტ-პეტერბურგში დაგეგმილი "დიდი რვიანის" შეხვედრის მოახლოებასთან დაკავშირებით საერთაშორისო პრესა შეხვედრის დროს შესაძლო განსახილველ თემებზე აქტიურად საუბრობს. "აშშ-ისა და ევროკავშირისთვის მაპროვოცირებელია რუსეთის კეთილგანწყობითი ურთიერთობა ირანთან და მუქარა უკრაინის მისამართით. სანკტ-პეტერბურგის შეხვედრამ, შესაძლოა, უფრო გაამწვავოს რუსეთის ურთიერთობები დიდი რვიანის შვიდ დანარჩენ ქვეყანასთან", - მიიჩნევს გაზეთი "The Times".

ამავე გამოცემის მიხედვით, რუსეთისა და დასავლეთის ურთიერთობების მხრივ მიმდინარე წელი წარმატებული არ ყოფილა. არის ერთი ფაქტორი, რომელიც აშშ-მ ბოლომდე არ გაითვალისწინა. ეს არის რუსეთის ამოუწურავი "დარდი" დაკარგულ გავლენაზე. კერძოდ, უკრაინაზე. "უკრაინას შეუძლია ჯერჯერობით მოდუნდეს და არ იზრუნოს ბუნებრივი აირის პრობლემის გამო, რადგან ახლა ზაფხულია, მაგრამ მათ უნდა იფიქრონ იმაზე, რომ როგორმე ბანკში ფული მოიმარაგონ. ზამთარი ხომ ადრე თუ გვიან დადგება", - აცხადებს უკრაინის მისამართით ერთ-ერთი ჩინოვნიკი. "The Times"-ში გამოთქმულია მოსაზრება, რომ მომავალ შეხვედრაზე აშშ-ევროკავშირი შეეცდება, რუსეთზე ენერგეტიკული თვალსაზრისით ზეწოლა განახორციელოს.

"The Wall Street Journal"-ის ინფორმაციით, ამერიკისა და ევროკავშირის დეკლარაციის პროექტში, რომელიც სამიტებზე უნდა იქნეს წარმოდგენილი, შეშფოთებაა გამოთქმული რუსეთის ენერგეტიკული პოლიტიკის გამო. გამოცემის აზრით, ამ პროექტში ჩადებულია სამიტზე ენერგეტიკული ომის დაწყების საფუძველი. რუსეთმა დღის წესრიგის მთავარ თემად სამიტზე ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხი დასახა. ბუშის ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ რუსეთის ენერგეტიკულ რესურსებს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში პოლიტიკურ იარაღად იყენებს.

ენერგეტიკასთან დაკავშირებით აშშ-ევროკავშირის მიერ წარმოდგენილ პროექტში ხაზგასმულია ენერგეტიკული წყაროების მიწოდებისა და სატრანზიტო ტრასების გამსხვილების აუცილებლობა. გამოთქმულია შეშფოთება იმის გამო, რომ რუსეთს დიდი კონტროლი აქვს ნავთობისა და გაზის მიწოდებაზე ევროპაში.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# პარლამენტში ბადრი ნანეტაშვილის "საქმე დაიხურა"

## გაგრძელება, ალბათ, იქნება

*გუშინ პარლამენტმა ბადრი ნანეტაშვილს ვადაზე ადრე შეუწყვიტა სადეპუტატო უფლებამოსილება. ტელეკომპანია "თრიალეთის" დამფუძნებელს საკანონმდებლო ორგანოში არავინ გამოუჩნდა დამცველი და გულშემატკივარი: პარლამენტიდან მისი გაძევების გადაწყვეტილებას 121-მა დეპუტატმა ერთხმად დაუჭირა მხარი. მართალია, ბადრი ნანეტაშვილის საქმე დახურულად გამოცხადდა, მაგრამ გამორიცხული არ არის, მას ისევ ჰქონდეს გაგრძელება. ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ პარლამენტის გუშინდელი დადგენილება საკონსტიტუციო სასამართლოში გასაჩივრდება.*

გიორგი ასანიშვილი

მოვლენების ასეთი განვითარებისთვის საპარლამენტო უმრავლესობას თადარიგი დაჭერილი აქვს. სახელისუფლებო ფრაქციის წამყვანი სახეები გუშინ ბევრს ეცადნენ, რომ სამეწარმეო საქმიანობაში ნანეტაშვილის მამხილებელი დოკუმენტი სამართლებრივად გამართული და მაღალკვალიფიციური გამოსულიყო.

**"ერთი არადამაჯერებელი არგუმენტიც კი შეიძლება ჩვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული"**, - მომეტებულად ფრთხილობდა ნიკა გვარამია. მისი ასეთი წინდახედულობა გასაგებია: კულუარული ინფორმაციით, საკმაოდ დიდია იმის ალბათობა, რომ ნანეტაშვილზე სამი თვით ადრე ანალოგიური ბრალდებით პარლამენტიდან გაძევებულ ვალერი გელაშვილს საკონსტიტუციო სასამართლომ სადეპუტატო უფლებამოსილება აღუდგინოს. უფრო ზუსტად კი, პარლამენტის გადაწყვეტილება უკანონოდ ცნოს და ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოსგან ოპოზიციონერი დეპუტატის "რეაბილიტაცია" მოითხოვოს.

ამიტომაც იყო, რომ გუშინ, ვიდრე ბადრი ნანეტაშვილის საკითხი კენჭისყრაზე დადგებოდა, პარლამენტში "საგანგებო მდგომარეობა" გამოცხადდა: პლენარული სხდომა რამდენჯერმე შეწყდა, იურისტი-დეპუტატები გამალებით მართავდნენ კონსულტაციებს და დადგენილების პროექტში ჩაწერილ თითოეულ სიტყვას გულდასმით წონიდნენ. თუმცა, ისინი, გარკვეულწილად, მაინც შეზღუდულები იყვნენ: საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დასკვნაში, რომელიც ნანეტაშვილის "იმპიჩმენტის" საფუძველია, ცვლილებების შეტანა უკვე აღარ შეიძლებოდა და ახალი არგუმენტებით მისი გამაგრება შეუძლებელი იყო.

არადა, ამ დასკვნის კომპეტენტურობაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა მიერ ხმამაღლა გამოითქვა ეჭვები. მეტიც: იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა "პირადად დაანგრია" დასკვნის მთავარი არგუმენტი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ბადრი ნანეტაშვილის წილების გადაცემის ხელშეკრულება ნოტარიუსის მიერ არ არის დამოწმებული.

**"კანონით ამის ვალდებულება არ არსებობს"**, - ამტკიცებდა ბეჟაშვილი, რომლის პოზიციამაც საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ხათუნა გოგორიშვილი გუშინ ძალიან გააღიზიანა. ამ უკანასკნელის პროფესიული თავმოყვარეობა ფრაქცია "დამოუკიდებელი მაჟორიტარების" თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი გელბახიანმაც შელახა.

**"საპროცედურო საკითხთა კომიტეტის დასკვნაში ბევრი რიტორიკა და საეჭვო პუნქტია"**, - გარჯა დაუწუნა გელბახიანმა გოგორიშვილს.

საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის კატეგორიული წინააღმდეგობის მიუხედავად, დადგენილების ახალი პროექტი მაინც დაიწერა.

**"მასში აქცენტი იმ დებულებებზეა გადატანილი, რომლებიც ნანეტაშვილის ბრალეულობას გარდაუვლად ადასტურებენ"**, - შიდაფრაქციულ ბრძოლაში გამარჯვებული ლევან ბეჟაშვილი თავის სიმართლეში ღრმად არის დარწმუნებული.

სახელისუფლებო ფრაქციის წევრთა ასეთი ხაზგასმული პედანტობა და "დასაღუპად განწირული" ერთი-ერთი რიგითი დეპუტატისთვის ამდენი ენერგიისა და ნერვების ხარჯვა საკმაოდ უჩვეულოა. თუმცა, უმრავლესობის მიერ პრევენციული ზომების მიღება მაინც ლოგიკურია. მართალია, ეჭვი ოდნავაც არავის ეპარება იმაში, რომ ბადრი ნანეტაშვილი სამეწარმეო საქმიანობას ნამდვილად ეწეოდა და ამით კანონს არღვევდა, მაგრამ სიმართლის ცოდნა ერთია, მისი სამართლებრივად დასაბუთება - მეორე.

Georgian National airlines

CLUB Class - როცა კომფორტი მნიშვნელოვანია

საქართველოს ნაციონალური ავიახაზები

ავიაკომპანია "საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" გთავაზობთ ახალ, დღემდე საქართველოში უპრეცენდენტო CLUB Class სერვისს.

რას ნიშნავს იფრინოთ CLUB Class-ით ეს არის, საუკეთესო მომსახურება, გაფრენამდე, ფრენისას და ფრენის შემდგომ, კომფორტაბელური ტყავის სავარძლები და მომსახურების მაღალი ხარისხი, რომელიც უტოლდება ბიზნეს კლასის სერვისს და ყველაფერი ეს მხოლოდ ეკონომ კლასის ფასად.

ავიაკომპანია ,,საქართველოს ნაციონალური ავიახაზების,, ყველა რეგულარული რეისი შესრულდება ახალი, Bombardier CRJ 200 LR -ის ტიპის თვითმფრინავებით, რომელიც აღჭურვილია XXI საუკუნის თანამედროვე ტექნოლოგიებით, რაც უსაფრთხოების მაქსიმალურ გარანტიას იძლევა.

ავიაბილეთების დაჯავშნისთვის და დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:
- შ. რუსთაველის პრ. № 5 ; ტელ.: 92 20 20 ; 93 65 93
- კეკელიძის ქ. № 1 ; ტელ.: 22 18 07
- აეროპორტის სალარო; ტელ.: 43 32 23

ფრენების განრიგი
საზაფხულო სანავიგაციო სეზონი
(ადგილობრივი დრო)

| | ფრენა თბილისიდან | | გაფრენა | დაფრენა | გამოფრენა | დაფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| ორშაბათი | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:05 | 16:35 |
| | დნეპროპეტროვსკი | QB 525/526 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| ოთხშაბათი | ალმა - ატა | QB 577/578 | 12:50 | 18:30 | 21:20 | 23:10 |
| | პრაღა * | QB 595/596 | 6:30 | 8:20 | 11:20 | 15:50 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| ხუთშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 777/778 | 8:30 | 10:55 | 11:50 | 14:10 |
| | კიევი | QB 595/596 | 17:30 | 18:50 | 11:05 | 16:35 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | მოსკოვი (ვნუკოვო) **** | QB 777/778 | 17:30 | 19:50 | 21:00 | 23:20 |
| პარასკევი | სანქტ-პეტერბურგი | QB 555/556 | 8:30 | 11:55 | 13:00 | 16:20 |
| | ოდესა | QB 541/542 | 17:50 | 18:50 | 20:10 | 23:10 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 771/772 | 8:30 | 10:55 | 20:50 | 23:10 |
| კვირა | კიევი | QB 543/544 | 17:30 | 18:50 | 20:00 | 23:20 |
| | კიევი *** | QB 543/544 | 8:55 | 10:15 | 12:45 | 16:05 |
| | ალმა - ატა ** | QB 577/578 | 17:55 | 23:50 | 2:20 | 4:10 |
| | მინერალნიე ვოდი | QB 523/524 | 17:50 | 19:10 | 22:00 | 23:10 |

* ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 02.08.2006 -დან
*** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან
**** ფრენები მოქმედი განრიგით შესრულდება 03.08.2006 -დან

| | ფრენა ქუთაისიდან | | გაფრენა | დაფრენა | გამოფრენა | დაფრენა |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამშაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |
| შაბათი | მოსკოვი (ვნუკოვო) | QB 567/568 | 17:00 | 19:20 | 12:05 | 14:25 |

მოკლედ

### ძარცვაში ეჭვმიტანილი ნარკოტიკების მომხმარებელი აღმოჩნდა

გუშინ დილიდან ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ სამეგრელო-ზემო სვანეთისა და სენაკის პოლიციის თანამშრომლებმა "სახალხო ბანკის" სენაკის ფილიალის ძარცვაში ეჭვმიტანილი ზაზა ტყებუჩავა დააკავეს. ამავე ინფორმაციის მიხედვით, ზაზა ტყებუჩავამ სენაკის ერთ-ერთ ვალუტის გადამცვლელ პუნქტში რამდენიმე ასდოლარიანი კუპიურა ლარზე გადაცვალა. ასდოლარიანი კუპიურების საინდენტიფიკაციო ნომრები ბანკის ფილიალიდან გატაცებული თანხის ნომრებს დაემთხვა. ტყებუჩავა პოლიციამ მაშინ დააკავა, როცა იგი საკუთარი ავტომანქანით ქალაქიდან გასვლას თბილისის მიმართულებით ცდილობდა. ჩხრეკის დროს ზაზა ტყებუჩავას 1 800 დოლარი აღმოუჩინეს; ნომრები ბანკიდან ძარცვის შედეგად წაღებულს დაემთხვა. გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, დაკავებისას ტყებუჩავა ირწმუნებოდა, რომ უცხოური ვალუტა სენაკის ბაზრის შესასვლელში შეიძინა ვალუტის უცნობი გადამცვლელისგან. პოლიციის ინფორმაციით, დაკავების დროს ტყებუჩავა ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინის" ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ტყებუჩავას უტყუარი ალიბი აღმოაჩნდა. ის ბანკის ძარცვის დღეს სახლიდან საერთოდ არ გასულა და იმ დროს, როცა ბანკი გაიძარცვა, ის ფეხბურთს უყურებდა.

სენაკის რაიონულმა სასამართლომ ტყებუჩავას ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის ათდღიანი პატიმრობა მიუსაჯა. პოლიციასა და პროკურატურაში ზაზა ტყებუჩავას დაკავების ფაქტთან დაკავშირებით თავდაპირველად კომენტარს არ აკეთებდნენ. თუმცა, მოგვიანებით სენაკის პოლიციის ხელმძღვანელობამ ბანკის ძარცვაში ზაზა ტყებუჩავას მონაწილეობა უარყო. "ინფორმაცია, რომ ტყებუჩავას ბანკიდან გატანილი კუპიურები აღმოაჩნდა, სიმართლეს არ შეეფერება", - განმარტეს სამართალდამცველებმა. სხვათა შორის, "სახალხო ბანკის" სენაკის ფილიალის შენობასთან ორი დღის განმავლობაში ბანკის კლიენტების საპროტესტო აქცია მიმდინარეობდა. აქციის ასამდე მონაწილეს სხვადასხვა დროს ლომბარდში ძვირფასი ნივთები ჰქონდა ჩაბარებული. ისინი ძვირფასი ნივთების შესაბამისი ანაზღაურების გადახდაზე არ თანხმდებიან და საკუთარი ნივთების დაბრუნებას ან ბანკის ფილიალის მმართველის ავთანდილ მიქავას დაკავებას მოითხოვდნენ.

"ბანკში ამდენი ქონება ინახებოდა, ხელმძღვანელობა კი შენობას 65 წლის კაცისა და ერთი თოფის ამარა ტოვებდა. ეს ხალხის მასხრად აგდებაა. ეჭვი არ გვეპარება, რომ ძარცვაში ბანკის თანამშრომელთა ხელი ურევია", - ირწმუნებოდნენ გუშინ აქციის მონაწილეები.

*24 საათი*

### "არა! - ადამიანებით ტრეფიკინგს"!

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ" მუშაობა დაასრულა პროექტზე "საქართველოს კანონმდებლობის სრულყოფა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) კანონთან მიმართებაში". პროექტი ხორციელდებოდა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ფინანსური მხარდაჭერით 9 თვის განმავლობაში. მასში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები. როგორც ასოციაციაში განმარტავენ, პროექტის მიზანია, "ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, მოქმედ კანონმდებლობაში შესატან ცვლილებათა პაკეტის მომზადება. ეს ცვლილებები მიმართულია ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე არსებული საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის, ეფექტური სამართლებრივი მექანიზმების შექმნა-დანერგვასა და პრაქტიკაში რეალიზებისაკენ.

ახალი პროექტი ფარგლებში მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტს იურისტთა ასოციაციაში გამართულ მრგვალი მაგიდის შეხვედრებსა და გასვლით სამუშაო შეხვედრებზე განიხილავდნენ. შეხვედრებში მონაწილეობას იღებდნენ პარლამენტის, იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, გენერალური პროკურატურის, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენლები, ასევე - უზენაესი და სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეები, საქართველოში მოქმედი საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები და **OSCE**-სა და **ODHIR**-ის საერთაშორისო ექსპერტი მარტა აშლერ შეზლერბაუმი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია კვლავ აგრძელებს მუშაობას ტრეფიკინგის თემაზე და ახორციელებს პროექტს "არა! - ადამიანებით ტრეფიკინგს!"

*24 საათი*

### სტრასბურგის სასამართლომ მოლაშვილის მოთხოვნა არ გაითვალისწინა

უახლოეს დღეებში ქართული მართლმსაჯულების ბოლო ინსტანცია - უზენაესი სასამართლო კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს განაჩენს გამოუტანს. ეს განაჩენი საბოლოო იქნება და აღარ გასაჩივრდება. იმ შემთხვევაში, თუკი უზენაესი სასამართლო ქვედა ინსტანციის სასამართლოს განაჩენს ძალაში დატოვებს, ან მოლაშვილისთვის მისჯილ რვაწლიან პატიმრობას ერთ ან ორ წელს მოაკლებს, მსჯავრდებულის ადვოკატები კვლავ ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს მიმართავენ. მოლაშვილის საბოლოო განაჩენის სტრასბურგში გასაჩივრებამდე ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოდან მსჯავრდებულის საქმესთან დაკავშირებით უკვე მეორე შეტყობინება მოვიდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ სულხან მოლაშვილის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. მოლაშვილი, მისი მკურნალობის ოპტიმალური გეგმის შერჩევის მიზნით, დამატებით სისხლის ანალიზის ჩატარებას მოითხოვდა, რაზეც უარი მიიღო. როგორც იუსტიციის სამინისტროში აცხადებენ, ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო საქართველოს მთავრობის მზადყოფნა სულხან მოლაშვილისათვის შესაბამისი მკურნალობის უზრუნველყოფის შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ამაზე პაციენტი თანახმა იქნება. სასამართლოს გადაწყვეტილებით, გაუქმდა 2005 წლის 26 ივლისს საქართველოს მთავრობისათვის მითითებული დროებითი ღონისძიებები, რომელთა თანახმად, მთავრობა მოლაშვილისთვის შესაბამისი მკურნალობის ჩატარებას უზრუნველყოფდა.

*24 საათი*

### მამა-შვილის გატაცება

გალის რაიონის სოფელ ზემო ბარღებიდან ჯერჯერობით დაუდგენელმა, შეიარაღებულმა პირებმა მამა-შვილი გურამ და პაატა ხარჩილავები გაიტაცეს. ხარჩილავების მეზობლების თქმით, ავტომატებით შეიარაღებული სამი პირი საცხოვრებელ სახლში შეიჭრა და მამა-შვილი ავტომანქანაში იძულებით ჩასვა. გამტაცებლები გალის მიმართულებით მიიმალნენ. გატაცებულთა მეზობლების ჩვენებებით, ნიღბიანი თავდამსხმელები რუსულ ენაზე საუბრობდნენ. გატაცებიდან ორი საათის შემდეგ ხარჩილავების ოჯახში შეტყობინება მივიდა - მამა-შვილის გათავისუფლების სანაცვლოდ, გამტაცებლები 40 ათას აშშ დოლარს ითხოვენ. ბოლო სამი თვის განმავლობაში გალის რაიონიდან ადამიანთა გატაცების არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა. გუშინ მომხდარი გატაცების ფაქტს ქართული მხარე, სავარაუდოდ, დღევანდელ ჭუბურხინჯის შეხვედრაზე განიხილავს.

*ინტერპრესნიუსი*

### ორმხრივი სროლა კონტრაბანდის დაკავებისას

ფინანსური პოლიციის სამეგრელოს სამმართველომ ორმხრივი სროლის შედეგად აფხაზეთის ადმინისტრაციულ საზღვართან დიდი რაოდენობით უაქციზო სიგარეტი დააკავა. პოლიციის ინფორმაციით, სიგარეტი მდინარე ენგურზე ნავებისა და თოკების საშუალებით გადმოჰქონდათ. ჩასაფრებულმა ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ფარცვანიას და მის აფხაზ თანამზრახველებს პირველი პარტიის გადმოტანა და ნაპირთან დასაწყობება აცალეს. მეორე პარტიის - 4 500 კოლოფი უაქციზო სიგარეტის გადმოტანის შემდეგ კი პაატა ფარცვანიას დაკავების ოპერაცია დაიწყო. დაკავებისას აფხაზეთის მხრიდან ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს დაუდგენელმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს. ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ფარცვანია დააკავეს და შემთხვევის ადგილიდან გაიყვანეს. ფინანსურმა პოლიციამ შეძლო ენგურის პირას დასაწყობებული უაქციზო სიგარეტის ავტომანქანებში ჩატვირთვა და ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე გადმოტანა. უცნობი პირები აფხაზეთის ტერიტორიის მხრიდან ცეცხლს არ წყვეტდნენ და ფინანსური პოლიციის თანამშრომლებს საშუალებას არ აძლევდნენ, უაქციზო სიგარეტი ცეცხლის ზონიდან გაეტანათ. ამის მიუხედავად, ოპერაცია წარმატებით დასრულდა. ფინანსური პოლიციის მხრიდან სერიოზულად არავინ დაზარალებულა.

*მედიანიუსი*

# დამნაშავეების მფარველობაში დადანაშაულებული პოლიციის პოლკოვნიკი

პირველი გვერდიდან

დაზარალებული ირწმუნება, რომ ინციდენტის მონაწილეები - ირაკლი ქინქლაძე, შოთა ანდრიაშვილი, ზაზა ონიაშვილი და სხვები მას პოლიციაში შეტანილი განცხადების უკან გამოტანას სთხოვდნენ და სწორედ ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო გაუსწორდნენ მას ასე სასტიკად.

ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ ნაწამებ ლიანა ჩანჩლიაშვილს ჰქონდა მენჯის ძვლების მოტეხილობა, მძიმე ფორმის დაჟეჟილობები, ტრავმული დაზიანებები და ტვინის შერყევა. მოგვიანებით მისი მდგომარეობა გაუარესდა და სიმსივნე განუვითარდა.

დაზარალებული სახლიდან გამოიქცა და მოსალოდნელი შურისძიების შიშით თბილისში იმალება. იგი დახმარებას ადამიანის უფლებების დამცველებს სთხოვს.

**"რამდენ ხანს გავუძლებ კიდევ წიხლებით ცემისა და წამების შედეგად გაჩენილ ტკივილებსა და დაავადებებს, ვერ გეტყვით, მაგრამ გთხოვთ, თქვენ მაინც მოგვაქციოთ ყურადღება და ხელი შეუშალოთ იმ განუკითხაობას, რომელიც ახმეტაშია გამეფებული",** - ნათქვამია ლიანა ჩანჩლიაშვილის წერილში, რომლითაც მან არასამთავრობო ორგანიზაციას დახმარებისთვის მიმართა.

როგორც "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში" განმარტავენ, ახმეტის პოლიციის უფროსი ლევან შაშიაშვილი მომხდარზე არ რეაგირებს, ცემის ფაქტზე არავინ დასჯილა და გამოძიების პროცესში დასახელებული ეჭვმიტანილები არ დაუკავებიათ. ცენტრის წევრები გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციას მიმართავენ და პოლიციის პოლკოვნიკის გელა შაშიაშვილის საქმიანობის სასწრაფოდ შესწავლას მოითხოვენ.

*24 საათი*

# სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიება დასრულდა

*მას შემდეგ, რაც თბილისის პროკურატურამ სანდრო გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით, გარდაცვლილის ოჯახის მოთხოვნით, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები მესამედ დაკითხა, ოფიციალურად გამოცხადდა, რომ საქმის გამოძიება დასრულდა და იგი არსებითი განხილვისთვის უახლოეს ხანში თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეცემა.*

სანდრო გიგრვლიანის მკვლელობიდან ერთი თვის შემდეგ დაპატიმრებული შს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის პირველი სამმართველოს უფროსის გია ალანიას, ამავე დეპარტამენტის ოფიცრების ავთანდილ აფციაურის, ალექსანდრე ლაჭავას და მიხეილ ბიბილურის ბედი გამოძიებას გარკვეული აქვს. მათ პიროვნებისთვის ჯანმრთელობის დაზიანების (რამაც სიკვდილი გამოიწვია) მუხლით აქვთ ბრალი წარდგენილი. თითქმის, ოთხთვიანი წინასწარი პატიმრობის შემდეგ პოლიციელთა ბრალდებას კიდევ რამდენიმე მუხლი დაემატა - სხვისი ქონების განზრახ განადგურება და სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება. თუმცა, აღნიშნული მუხლები შედარებით დაბალ სასჯელს ითვალისწინებს და, იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო გამოძიების ვერსიას დადასტურებულად მიიჩნევს, ახალი ბრალდებები გია ალანიას, ავთანდილ აფციაურის, ალექსანდრე ლაჭავას და მიხეილ ბიბილურის პატიმრობის ვადაზე ვერანაირად ვერ იმოქმედებს. კანონმდებლობით, ზემოთ ხსენებული ბრალდება სამიდან, მაქსიმუმ, ათ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

მიუხედავად, გირგვლიანის მკვლელობისთვის დაპატიმრებულთა ბრალდებებისა, დაზარალებულის ოჯახის პრეტენზია წინასწარი გამოძიების ეტაპზე პრეტენზიად დარჩა.

**"პასუხი აგონ გირგვლიანის მკვლელობის შემკვეთებმა",** - ამ მოთხოვნას უკვე არა მარტო მისი ოჯახის, არამედ საზოგადოების წარმომადგენლებიც აყენებენ, თუმცა გამოძიებას არც ერთი შემკვეთი არ გამოუვლენია. ეს მაშინ, როცა მკვლელობიდან რამდენიმე დღეში გირგვლიანის ოჯახმა შს სამინისტროს ოთხი მაღალჩინოსანი პოლიციელის პასუხისმგებლობის საკითხი დასვა.

შინაგან საქმეთა გენერალური ინსპექციის ყოფილი ხელმძღვანელი ვასილ სანოძე, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი დათა ახალაია, შსს-ს საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობის სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი გურამ დონაძე, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილი მაღალჩინოსანი ოლეგ მელნიკოვი და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლე თაკო სალაყაია - აღნიშნული პიროვნებები, მართალია, გამოძიებამ გირგვლიანის საქმესთან დაკავშირებით იმთავითვე დაკითხა, მაგრამ მათ ჩვენებებში საეჭვო არაფერი აღმოუჩენია. დაკითხვებიდან ცოტა ხანში საეჭვოდ დაემთხვა ოთხივე მათგანის პოლიციის რიგებიდან საკუთარი სურვილით წასვლა, რაც "უდანაშაულო" სამართალდამცველებმა მორალური პასუხისმგებლობით ახსნეს.

სანდრო გირგვლიანის საქმის გამოძიების დასრულებიდან ერთი დღით ადრე პოლიციის ყოფილი მაღალჩინოსნები კიდევ ერთხელ დაიკითხნენ, თუმცა შედეგი განსხვავებული არ ყოფილა. დაკითხვას, რომელსაც საფუძვლად გირგვლიანის ადვოკატების შუამდგომლობა დაედო, დაზარალებულების დაცვის მხარე არ დასწრებია. სამაგიეროდ, თბილისის პროკურატურამ საქმის გასაცნობად გირგვლიანის დედა და ადვოკატი გუშინ დაიბარა.

დაზარალებულ მხარეს გამოძიების მსვლელობისას შეკრებილ მასალებთან ერთად ოთხი ყოფილი მაღალჩინოსნის დაკითხვის ოქმებიც გადაეცა.

სანდრო გირგვლიანის დედა ირინა ენუქიძე კვლავ უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ გამოძიების ეტაპზე მკვლელობის შემკვეთი არ დასახელდა. გარდა ამისა, დაზარალებულები აცხადებენ, რომ მათ საქმის მთლიანი მასალები არ გადაეცათ.

შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსნების - ვასილ სანოძის, გურამ დონაძის, დათა ახალაიას და შინაგან საქმეთა მინისტრის მეუღლის თაკო სალაყაიას ადვოკატის დასწრების გარეშე, დაკითხვას აპროტესტებს დაცვის მხარეც.

**"ვინაიდან პროკურატურამ მოწმეები დაზარალებულის ოჯახის ადვოკატის გარეშე დაკითხა, ეს იმას ნიშნავს, რომ პროკურატურას ამ საქმესთან დაკავშირებით, ობიექტურობის დადგენის ნაცვლად, სიმართლის დამალვა სურს",** - აცხადებს ადვოკატი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა თბილისის პროკურორმა გიორგი ღვინიაშვილმაც. მისი თქმით, ბრალდების მხარეს კანონი არ ავალდებულებს ადვოკატისთვის საქმის ყველა მასალის გადაცემას. რაც შეეხება იმ ფაქტს, რატომ არ ესწრებოდა შს სამინისტროს ყოფილი მაღალჩონოსნების დაკითხვას ადვოკატი, ამაზე პროკურორი განმარტავს, რომ ყველა მოწმე საჯაროდ სასამართლოზე დაიკითხება და პროცესის მონაწილე ნებისმიერ პირს, მათ შორის, ადვოკატებს უფლება მიეცემათ, მოწმეებს შეკითხვები დაუსვან.

*24 საათი*

უცხოეთი

# იტალია მაფიოზთა დიდ ომს გადაურჩა

იტალიის პოლიციის მაფიასთან ბრძოლის განყოფილებამ პალერმოში ფართომასშტაბიანი სპეცოპერაცია ჩაატარა. სპეცოპერაციაში, დაახლოებით, 500 პოლიციელი მონაწილეობდა და დაკავებულია 45 ადამიანი - "სიცილიის მაფიის" ლიდერები.

ოპერაცია კრიმინალური "ომის" აღკვეთის მიზნით ჩატარდა. იტალიის პროკურატურის ინფორმაციით, მაფიოზური კლანები მოწინააღმდეგეთა განადგურებას გეგმავდნენ. ამის მიზეზი იტალიური მაფიის "ნათლიმამის" ბერნარდო პროვენცანოს დაკავების შედეგად შექმნილი ვაკუუმის ამოვსება იყო. ბერნარდო პროვენცანო 40 წელზე მეტ ხანს ემალებოდა სასამართლოს და ის 2006 წლის აპრილში დააკავეს.

ყოველდღიურმა, პოპულარულმა იტალიურმა გაზეთმა LA Repubblica-მ მაფიის ლიდერთა წინააღმდეგ ჩატარებული სპეცოპერაციის თაობაზე გამოაქვეყნა სტატია სათაურით "გახსნილია მაფიის "ახალ" ბოსთა ვინაობა". გაზეთის ინფორმაციით, 11 აპრილს, პალერმოში ჩატარებული ფართომასშტაბიანი ოპერაციის შემდეგ, რომლის დროსაც დააპატიმრეს სიცილიური მაფიის თავკაცი ბერნარდო პროვენცანო, იტალიელმა სამართალდამცველებმა გაშიფრეს მაფიის "ნათლიმამის" სახლიდან ამოღებული დოკუმენტები და აღმოჩნდა, რომ იტალიურ მაფიას მართავენ ისევ ის ბოსები, რომლებიც 25 წლის წინათ ჩაუდგნენ "სიცილიურ კლანს" სათავეში.

სამართალდამცველთა მიერ გამოკვლეული მასალებით დადგინდა მაფიოზთა "სიცილიური ოჯახის" 45 თავკაცის ვინაობა და აღმოჩნდა, რომ მათი დიდი უმრავლესობა არაერთხელ იყო განსასჯელი, მაგრამ ყოველთვის ახერხებდნენ მართლმსაჯულებისგან თავის დაძვრენას.

რამდენიმე დღის წინათ ჩატარებული სპეცოპერაციისას იტალიის პოლიციამ დააკავა ისეთი ცნობილი და აქამდე ხელშეუხებელი მაფიოზები, როგორიცაა: ნინო როტოლო, ლუჩანო ლიჯიო, ანტონიო ჩინა, სალვატორე რიინი, ფრანჩესკო ბონური, 79 წლის ჯერალდო ალბერტი - ჰეროინის მწარმოებელი ლაბორატორიის შექმნის პიონერი.

LA Repubblica-სთვის მიცემულ ინტერვიუში ოპერაცია "გოტას" ხელმძღვანელმა, პროკურორმა პიერო გრასომ განაცხადა, რომ **"იტალია გადაურჩა კიდევ ერთ დიდ ომს, პალერმოს ქუჩები კი მრავალრიცხოვან მკვლელობებს, რომელსაც მაფიოზური კლანები გეგმავდნენ".**

LA Repubblica-ს ინფორმაციით, დაპირისპირება ორ უძლიერეს კლანს - როტოლოს კლანსა და სალვატორე ლო პიკოლოს (რომლის დაპატიმრება იტალიის პოლიციამ ვერ მოახერხა) კლანს შორის მიმდინარეობდა. მაფიოზურ "ოჯახებს" შორის კრიზისის პროვოცირება მაფიოზური კლანის ერთ-ერთმა დაჯგუფებამ - ინზერილოს ოჯახმა მოახდინა. ინზერილოს ოჯახი, რომლის პარტნიორიც გამბინოს კლანია, 25 წელია, ამერიკაშია გადახვეწილი და იტალიაში დაბრუნებას ცდილობს. ამის წინააღმდეგი იყო როტოლოს კლანი და ამის გამო, მას მაფიოზთა ვენდეტა დაემუქრა. მაფიოზებმა ბერნარდო პროვენცანოს მიმართეს და ერთმანეთისადმი გამოცხადებული ომის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდეს.

პროვენცანოს დღიურში ნანახი ეს ღირებული ინფორმაცია გახდა ცნობილი სამართალდამცველებისთვის, რის შემდეგაც ჩატარდა სპეცოპერაცია "ორიენტაცია დაკარგული მაფიის წინააღმდეგ და "კოზა ნოსტრა" ახლა დაჩოქებულია", - განაცხადა პროკურორმა გრასსომ.

პროკურორის ინფორმაციით, დაკავებულ მაფიოზებს გავლენიანი მეგობრები ჰყავთ. LA Repubblica-ს ინფორმაციით, უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა რეგიონული დეპუტატი პარტია "წინ იტალიიდან" ჯოვანი მერკანდანტე. გამოძიების ხელთ აღმოჩნდა სატელეფონო საუბრები, რომელთა საფუძველზეც დადასტურდა დეპუტატის მჭიდრო კავშირები მაფიოზურ დაჯგუფებებთან.

პროკურორის თქმით, არსებობს სერიოზული დოკუმენტები, რომლებიც ბიზნესსა და პოლიტიკასთან მაფიის კავშირს მოწმობს. ცნობილი გახდა ისიც, რომ მაფიოზებს გადაწყვეტილი ჰქონდათ სახელისუფლებო სტრუქტურებში შეღწევა. ამ მიზნით, "სიცილიის მაფია" გეგმავდა პალერმოს მერად გაეყვანა სასურველი კანდიდატურა - მარჩელო პარიზი. მარჩელო პარიზი ერთ-ერთია 45 დაპატიმრებული მაფიოზიდან. იგი შვილია, ასევე, დაპატიმრებული ანჯელო პოზარიო პარიზისა, რომელიც "სიცილიური მაფიის" ხანდაზმული ლიდერთაგანია.

გამოძიების ინფორმაციით, მაფიასთან კავშირში მხილებულები არიან იტალიაში საკმაოდ გავლენიანი პოლიტიკოსები და ხელისუფლების უმაღლესი ეშელონების წარმომადგენლები. თუმცა, როგორც გაზეთი LA Repubblica წერს, მათი ვინაობა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ჯერჯერობით არ ხმაურდება.

*24 საათი*



# "საუნივერსიტეტო საზოგადოება ცვლილებების მიმართ მგრძნობიარეა"

პირველი გვერდიდან

აკადემიური თანამდებობების რაოდენობა უნივერსიტეტში მკვეთრად მცირდება, სწორედ ეს იწვევს თანამშრომელთა აღშფოთებას. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოცხადებულია საბუნებისმეტყველო და ზუსტ, ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ და სამედიცინო ფაკულტეტებზე. კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად განაცხადების შეტანის ვადა 23 ივნისს იწურება.

ორიოდე დღის წინათ, რექტორატისა და პროფესურის ერთი ნაწილის დასპირისპირება უკიდურესად გამწვავდა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სააქტო დარბაზში დიდი საბჭოს სხდომის ჩასატარებლად ძალით შეჭრილ პროფესორ-მასწავლებლებს რექტორატმა პატრული დაუპირისპირა. უნივერსიტეტში შესულმა პატრულმა შენობიდან ძალის გამოყენებით გამოიყვანა დიდი საბჭოს წევრი და მათი მხარდამჭერი აკადემიური პერსონალი. მსგავსი პრეცედენტი უნივესიტეტში არასოდეს მომხდარა. საკითხების მოსაგვარებლად პოლიცია არც ერთ ადმინისტრაციას არ დასჭირვებია. ამ ინციდენტიდან მეორე დღეს, დაპირისპირებული მხარეების შეხვედრა უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გია ხუბუას კაბინეტში უშედეგოდ დამთავრდა. უნივესიტეტის აბუნტებულმა აკადემიურმა პერსონალმა დიალოგის გაგრძელების ერთადერთ პირობად კონკურსების შეჩერება დაასახელა. ეს პირობა ადმინისტრაციამ არ მიიღო. შესაბამისად, გრძელდება კონკურსებზე განაცხადების მიღება და გრძელდება დაპირისპირებაც. დიდი საბჭოს წევრები უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში "გამაგრდნენ" და დაშლას მანამდე არ აპირებდნენ, ვიდრე მათი მოთხოვნა კონკურსის შეჩერებასთან დაკავშირებით გაზიარებული არ იქნებოდა. გვიან ღამით უნივერსიტეტში პოლიცია შევიდა და სააქტო დარბაზში შეკრებილი პროფესორ-მასწავლებლები უნივერსიტეტიდან მეორედ გამოყარა. ინტერვიუ რექტორის მოვალეობის შემსრულებელ პროფესორ გია ხუბუასთან სწორედ ასეთი დაძაბული ვითარების და ვნებათაღელვის ფონზე შედგა.

**- ბ-ნ გია, რაც უნივერსიტეტში ხდება, ხომ არ არის იმის ბრალი, რომ რეფორმების პროცესი უნივერსიტეტში მიმდინარეობს დიალოგის გარეშე. არ ხდება კრიტიკულად განწყობილი ადამიანების აზრის მოსმენა და გათვალისწინება?**

- დიალოგის და ურთიერთობის პრობლემა უნივერსიტეტის პროფესურასთან ნამდვილად არ არსებობს. ჩვენ შევხვდით ყველა ფაკულტეტს, საკმაოდ რთულ აუდიტორიას. ეს არ იყო ადვილი შეხვედრები. ჩვენ არ მოვრიდებივართ ყველაზე მწვავე საკითხებზე საუბარს. წარვუდგინეთ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებების გეგმა. ამ დოკუმენტის გაცნობის შემდეგ, გვსურდა, მათგან მოგვესმინა კრიტიკული შენიშვნები. ჩვენ მიერ წარმოდგენილი გეგმა მხოლოდ პროექტია და იგი დიალოგების, კონსულტაციების და კამათის პროცესში უნდა დაიხვეწოს. თუმცა, საუბრის ძირითად თემად იქცა არა ჩვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი, არამედ - უნივერსიტეტში მიმდინარე ცვლილებები. ყველაზე მტკივნეული საკითხი გახლდათ აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის წესით შერჩევის პროცედურა.

ჩვენი სურვილია, ღიად, გამჭირვალედ, კონკურსის პირობებში შეირჩეს სათანადო კვალიფიკაციის აკადემიური პერსონალი.

მე პირადად მეცნიერი ვარ და ვიცი, რომ ელემენტარული დიალექტიკაა - სადაც არ არის წინააღმდეგობა, არ არის განვითარება. აქედან გამომდინარე, განსხვავებული აზრის მიმართ შეურიგებლობა ან მიუღებლობა არ გვაქვს. სასურველია, რომ მოვისმინოთ რაციონალური არგუმენტები, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, ფაკულტეტებთან შეხვედრის დროს, დიალოგი გადადიოდა ემოციურ სიბრტყეში. თავი რომ გავანებოთ სხვადასხვა არასასიამოვნო ეპითეტებით ჩვენს შემკობას, აშკარად იგრძნობოდა არგუმენტების დეფიციტი. მესმის, რომ აკადემიურ პერსონალს კონკურსების სახით არსებითად პირველად ექმნება დისკომფორტი. ვგულისხმობ იმას, რომ მათ პირველად უწევთ საკუთარი პროფესიული კვალიფიკაცია გამჭვირვალე კონკურენტუნარიან გარემოში ღიად დაადასტურონ...

**- ფიქრობთ, რომ ვნებათაღელვის მიზეზი მხოლოდ ეს არის?**

- მთავარი მიზეზია ის, რომ არ უნდათ კონკურსები. ვფიქრობ, უნივერსიტეტის თანამშრომელთა მცირე, მაგრამ გარკვეულ ჯგუფს აქვს კონკურსების, კონკურენტული გარემოს შიში. მათ შიშებს ჩვენ ვერ გავიზიარებთ. პროფესორის თანამდებობა ასოცირდება უმაღლეს კვალიფიკაციასთან. პროფესორს არ უნდა ჰქონდეს კონკურენციის შიში.

**- ამბობენ, რომ კონკურსი გამოცხადდა მაშინ, როცა არ არსებობდა კონკურსის ერთიანი კრიტერიუმები. სხვათა შორის, ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე გამოცხადებული კონკურსი სასამართლომ გააუქმა...**

- იქ გასაჩივრდა წინა რექტორის მიერ გამოცემული აქტი, ვინაიდან დარღვეული იყო პროცედურა, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი აქტის მოსამზადებლად და გამოსაქვეყნებლად. შინაარსის განხილვაში სასამართლო არ შესულა, ანუ არ შეხებია აკადემიური თანამდებობის დაკავების წესს. სასამართლომ მიუთითა რექტორატს, რომ გამოესწორებინა დაშვებული ხარვეზები. ჩვენ ეს შეცდომები გამოვასწორეთ და გამოვეცით ახალი აქტი, რომელიც ითვალისწინებს კონკურსის წესით აკადემიური თანამდებობების დაკავებას. რაც შეეხება კრიტერიუმებს, ის არსებობს და დადგენილია რექტორის ბრძანებით, რომელიც ფაკულტეტის დეკანთა რეკომენდაციის საფუძველზე გამოიცა. ფაკულტეტები აქტიურად მონაწილეობდნენ კრიტერიუმების შემუშავების პროცესში, აკადემიური თანამდებობების რიცხოვნობის დადგენაში და საკონკურსო კომისიის წევრთა შემადგენლობის შერჩევაში.

კონკურსის მთავარი კრიტერიუმებია: უნივერსიტეტის მოთხოვნასთან საკონკურსო პირის აკადემიური კვალიფიკაციის შესაბამისობის დადგენა. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს ბიოგრაფია (სამეცნიერო, სასწავლო გამოცდილება), მეცნიერული ნაშრომები და კვლევები, ასევე უნდა წარმოადგინოს სილაბუსი (სასწავლო დისციპლინის როგორც თემატიკა, ასევე სწავლებისა და გამოცდის მიღების დეტალურად გაწერილი მეთოდები). ამ დოკუმენტაციის საფუძველზე, საკონკურსო


ინტერპრესნიუსი

კომისია ღებულობს გადაწყვეტილებას, შეესაბამება თუ არა კანდიდატის კვალიფიკაცია დადგენილ მოთხოვნებს.

**- საინტერესოა, ვინ შეამოწმებს მეცნიერების მიერ აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად წარმოდგენილ კვლევებს, სილაბუსებს, ვინ არიან საკონკურსო კომისიის წევრები?**

- კომისიის შემადგენლობის დადგენა არის ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვანი. არსებითად სწორედ საკონკურსო კომისია გადაწყვეტს, უნივერსიტეტში სამომავლო გავითარების პერსპექტივებს. ჩვენ გავდივართ აქტიურ კონსულტაციებს ფაკულტეტებთან. ცხადია, კომისიის წევრები უნდა იყვნენ ადამიანები, რომელთაც აქვთ სათანადო აკადემიური კვალიფიკაცია და გამოცდილება, სარგებლობენ საზოგადოებაში კარგი რეპუტაციით, გამოირჩევიან აკადემიური კეთილსინდისიერებით, პრინციპულობით და მიუკერძოებლობით. დარწმუნებული ვარ, კომისია დაკომპლექტდება ისეთი წევრებით, რომელთა ობიექტურობასა და სამართლიანობაში არც კონკურსში მონაწილე პირებს და არც საზოგადოებას ეჭვი არ შეეპარება. საკონკურსო კომისიის [illegible]

**- ნიშნავს თუ არა ის ბოლო განცხადება, რომ რექტორატს შეუძლია, გადახედოს კომისიის გადაწყვეტილებას?**

- ასეთი პროცედურაა - კომისია თავის რეკომენდაციებს წარუდგენს დეკანს, დეკანი წარგინებას აკეთებს რექტორთან. შესაბამისად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია უფლებამოსილია, თუ ამის აუცილებლობა არსებობს, კომისიას მოსთხოვოს განმარტება, რის საფუძველზე მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება.

**- იურიდიულ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე უკვე ჩატარდა კონკურსი აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად. თუ გქონიათ ასეთი პრეცედენტი, როდესაც გადაიხედა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები?**

- დიახ, ეს მოხდა იურიდიულ ფაკულტეტზე. იქ შეიქმნა ალტერნატიული კომისია, რომელსაც გარკვეული საქმეები გადაეცა.

**- საკონკურსო კომისიის რეკომენდაცია დეკანატმა არ გაიზიარა თუ რექტორატმა?**

- ვინაიდან საკონკურსო კომისიის უმრავლესობა თავადაც მონაწილეობდა აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, დეკანატმა სასურველად მიიჩნია, რომ შედეგების კიდევ ერთხელ გადამოწმება სხვა კომისიისთვის ეთხოვა. ახალი წესით უკვე აღარ შეიძლება კონკურსში მონაწილე პირი იყოს კომისიის წევრი.

**- სერიოზულ პრობლემას ქმნის ის ფაქტი, რომ წელს მაგისტრატურების და დოქტორანტურების დაფინანსება არ ხდება. როდისთვის იქნება შესაძლებელი მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელება?**

- კანონი მოითხოვს, რომ უნივერსიტეტში სწავლება ხორციელდებოდეს სამივე დონეზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა). შესაბამისად, ეს არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ექვემდებარება რევიზიას. იგი აუცილებლად გადაწყდება.

**- როდის?**

- ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის ეს საკითხი მოგვარებული იქნება.

**- თქვენ წარმოადგინეთ უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების ძირითადი მიმართულებები, რომელიც ხუთ წელზეა გათვლილი. როგორი იქნება უნივერსიტეტი ხუთი წლის შემდეგ?**

- ჩვენი მიზანია, უნივერსიტეტი ქართული ინტელექტუალური ელიტის ცენტრად ვაქციოთ. ის მაგნიტივით უნდა იზიდავდეს ინტელექტუალურ ელიტას, რომელიც გაბნეულია სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორში, უნივერსიტეტის გარეთ არსებულ სხვადასხვა აკადემიურ წრეებში. უნივერსიტეტმა ინტელექტუალურ ელიტას უნდა შეუქმნას სკუთარი შესაძლებლობების რეალიზების მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობები. ჩვენ უკვე გავხადეთ უნივერსიტეტის პროფესორის თანამდებობა ელიტარული იმ თვალსაზრისით, რომ ანაზღაურება არის საკმაოდ ღირსეული. მომავალში ჩვენ მათ შევთავაზებთ კვლევისა და სწავლების სათანადო პირობებს, ასევე - პროფესიული ზრდის პერსპექტივებს.

თანამედროვე მსოფლიოში ყველაზე ცნობილი, წარმატებული უნივესიტეტი სწორედ კვლევის სფეროში წარმატებული უნივერსიტეტია. ჩვენ გვაწუხებს, რომ უნივერსიტეტი გახდა მხოლოდ უმაღლესი სკოლა, სადაც სწავლება მიმდინარეობს უფრო მაღალი სტანდარტებით, მაგრამ მაინც სწავლებაზეა გადატანილი მთელი აქცენტი. არადა, უნივერსიტეტს ორი უმთავრესი ფუნქცია აქვს - სამეცნიერო კვლევები და სწავლება.

**- უნივერსიტეტების მაღალ საერთაშორისო რეიტინგებს საბუნებისმეტყველო საგნებში წარმატებული კვლევები განსაზღვრავს. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ამ მეცნიერებებში, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სკოლა აქვს, როგორც სწავლების, ისე კვლევების მხრივ. სწორედ ამის გამო უნივერსიტეტს უკვე აქვს საერთაშორისო რეიტინგი. თუ არის გათვალისწინებული ამ ფაკულტეტების ხელშეწყობა და დახმარება, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ფაკულტეტს აღარ გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ლაბორატორიები ცუდ მდგომარეობაშია.**

- ჩვენ გვესმის, რომ უნივერსიტეტის სახეს განსაზღვრავს ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ამიტომ ამ სფეროზე განსაკუთრებული აქცენტი გვაქვს გაკეთებული. ჩვენ ხელს შევუწყობთ იმ კერებს, რომელიც უნივერსიტეტში, მიუხედავად ყველაფრისა, მაღალ აკადემიურ დონეზე დარჩა. ვაპირებთ შიდა საუნივერსიტეტო კვლევებისა და განვითარების ფონდის ჩამოყალიბებას, რომელიც დააფინანსებს სხვადასხვა სახის პროექტებს. ასევე ჩამოყალიბდება უნივერსიტეტის განვითარების ფონდი. სტუდენტები უნდა გახდნენ სწავლების და კვლევის სუბიექტები, ისინი საწყისი ეტაპიდანვე უნდა ჩაერთონ სამეცნიერო კვლევებში.

**- უნივერსიტეტის ყოფილ მმართველ ორგანოსთან თქვენმა დაპირისპირებამ მეტად არასასიამოვნო, კონფრონტაციული ხასიათი მიიღო. საქმე პოლიციის გამოძახებამდეც მივიდა. ასეთი რამ უნივერსიტეტში არასოდეს მომხდარა...**

- ისინი აცხადებენ, რომ უნივერსიტეტს ეს ორგანო მართავს და ყველა გადაწყვეტილება, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ მიიღება, მათ უნდა შევუთანხმოთ. ეს სრული აბსურდია. დიდი საბჭო გაუქმდა მაშინ, როცა პრეზიდენტმა ბრძანებულებით გააუქმა უნივერსიტეტის წესდება. სწორედ იმის გამო, რომ არ არსებობს უნივერსიტეტის მართვის ლეგიტიმური ორგანო, გამოცხადებულია ორწლიანი დროებითი მმართველობა. ამ წლის ბოლომდე ჩამოყალიბდება აკადემიური საბჭო, რომელიც აირჩევს რექტორს და შესაბამისად იგი იქნება უფლებამოსილი, მიიღოს ლეგიტიმური გადაწყვეტილებები ადგილზე. რაც შეეხება დიდ საბჭოს, კიდევ ერთს დავამატებდი, სწორედ ეს ორგანო არის პასუხისმგებელი ყველა იმ მახინჯ მოვლენაზე, რომელიც უნივერსიტეტში ხდებოდა წლების მანძილზე

**- რატომ ვერ მოხერხდა საერთო ენის გამონახვა პროფესურის იმ ნაწილთან, რომელიც პატიოსნებით, მაღალი აკადემიური დონითა და კეთილსინდისიერებით გამოირჩევა. რით ახსნით იმას, რომ ეს კარგი მეცნიერები და ღირსეული ადამიანები თქვენთან დაპირისპირებულ ბანაკში აღმოჩნდნენ და არა თქვენ გვერდით?**

- ძნელია ცალსახა პასუხის გაცემა. ვფიქრობ, ამის ახსნა შეიძლება მხოლოდ ინერციის ძალით, კოლეგიალური სოლიდარობის გამოვლინებითაც. არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ყველგან, საუნივერსიტეტო საზოგადოება ცვლილებების მიმართ ძალიან მგრძნობიარეა.

მე მხოლოდ ამით შემიძლია ავხსნა ზოგიერთი ჩემი კოლეგის ყოფნა, პირობითად დავარქვათ, ჩვენს მოწინააღმდეგეთა ბანაკში, რეფორმის მოწინააღმდეგეთა ბანაკში. მით უფრო, რომ კონკურსით არაფერი მთავრდება. კონკურსი რეფორმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. საუნივერსიტეტო განათლების სისტემა რთული სფეროა. აქ აუცილებლად უნდა გატარდეს სხვა თანმდევი ღონისძიებები. კონკურსით ჩვენ მხოლოდ ვიწყებთ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებას, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ პირველი ქართული უნივერსიტეტი გახდეს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი.

უნივერსიტეტში სიტუაცია არ შეიძლება შეფასდეს პერსონიფიცირებულად. ჩვენ შეგვიძლია, აქ არსებული ვითარება შევაფასოთ ზოგადად. უნივერსიტეტში სიტუაცია შესაცვლელია, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენს დიდ მეცნიერებსა და პროფესორებს ვინმე რამეში ადანაშაულებს ან მათ მოღვაწეობას არ აფასებს. პირიქით, ჩვენ ვგრძნობთ, რომ უნივერსიტეტში არის დასაყრდენი ძალა, რომელსაც შეუძლია ამ სიტუაციის შეცვლა. ღმერთმა ნუ ქნას, რომ უნივერსიტეტში არ გვეგულებოდეს ხალხი, ვისზე დაყრდნობითაც ვერ შევძლებთ სიტუაციის გამოსწორებას. რეფორმა მხარდამჭერების გარეშე წარმოუდგენელია. ჩვენ ავანტურისტები კი არ ვართ, ვიცით, რომ აქ არის ხალხი, ვისზე დაყრდნობითაც შეგვიძლია, წარმატებით განვახორციელოთ ეს ცვლილება. მაგრამ საჭიროა, ბევრი რამ ითქვას გარკვევით, მკაფიოდ და მკაცრად - უფსკრულს ვერ გადააბიჯებ, მას უნდა გადაახტე. შეიძლება ეს ალიქმებოდეს რადიკალურად, მაგრამ განათლება ისეთი სფეროა, რომელიც სხვა ალტერნატიული ღონისძიების განხორციელების საშუალებას არ იძლევა. ჩვენი ქვეყნის განვითარება, უბრალოდ, წარმოუდგენელია, თუ განათლების სფეროში არსებული სიტუაცია, რომელიც კვებავს არაპროფესიონალიზმს, დილეტანტიზმს, ზოგადად - უმეცრებას, არ გადაიჭრა.

### უნივერსიტეტის პროფესორები დასჯის მოლოდინში

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში ხმაური და პროტესტის ტალღა გრძელდება. სასწავლებლის მეცნიერ-თანამშრომლები და "დიდი სამეცნიერო საბჭოს" წევრები ისევ კონკურსების შეჩერებასა და რექტორის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ხუბუას გადადგომას მოითხოვენ.

მათი უკიდურესი შეშფოთება კი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის კახა ლომაიას შეფასებამ გამოიწვია. გუშინ გამართულ მთავრობის სხდომაზე მინისტრმა სამეცნიერო საბჭოს წევრებისა და სხვა მეცნიერ-თანამშრომლების მიერ 19 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სააქტო დარბაზში შეჭრის ფაქტი ხულიგნობად შეაფასა.

მინისტრის განცხადებას "სამეცნიერო საბჭოს" წევრებმა პრესკონფერენციაზე უპასუხეს და ე.წ "შავი სიის" არსებობაზე ალაპარაკდნენ. **"ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ პროკურატურა "კერავს" საქმეებს ჩვენს წინააღმდეგ. არსებობს გრძელი სიაც, რომელსაც სათავეში ყველაზე აქტიური თანამშრომლები უდგანან. მათ შორის მეც გახლავართ,"** - აცხადებს "სამეცნიერო საბჭოს" წევრი, პროფესორი გოგი გოგოლაშვილი. მისი თქმით, "სიაში" ასევე შევიდნენ ჯემალ მებონია, ნესტან კირთაძე, ავთანდილ არაბული და სხვები. **"მაგრამ არ გვეშინია და ვაფრთხილებთ ხელისუფლებას, რომ ლომაია-ხუბუას ცალსახა მმართველობას არ დავუშვებთ უნივერსიტეტში,"** - განაცხადა გოგოლაშვილმა. მისივე თქმით, **"თავიდან სიაში იმყოფებოდა პროფესორი შოთა ვაშაკიძეც, რომელიც შემდეგ ამოიღეს იქიდან, რადგან ის ამერიკის მოქალაქეა და არა საქართველოსი"**.

"დიდი სამეცნიერო საბჭოს" წევრები თავიანთი სარჩელის დაკმაყოფილებას დაელოდებიან, რომელსაც საკონსტიტუციო სასამართლო დღეს განიხილავს. სარჩელში, რომელიც მეცნიერ-თანამშრომლებმა სასამართლოში საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის წინააღმდეგ შეიტანეს, ისინი პრეზიდენტის ბრძანებულების გაუქმებას მოითხოვენ, რომლის თანახმადაც უნივერსიტეტში დიდი სამეცნიერო საბჭო გაუქმდა. თუმცა, სასამართლოს გადაწყვეტილების ობიექტურობაში მათ ეჭვი ეპარებათ.

უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ხუბუამ, დიალოგის გასაგრძელებლად "სამეცნიერო საბჭოს" წევრები ისევ მიიწვია. მასთან პროფესორები გრიგერ ფარულავა და დავით ქარქაშაძე იმყოფებოდნენ. მათი მოთხოვნა უცვლელია - გამოცხადებული კონკურსების დროებით შეჩერება, რაზედაც კატეგორიული უარი მიიღეს. **"კონკურსები ჩატარდება ისე, როგორც დაგეგმილია და მეც დავრჩები თანამდებობაზე,"** - განაცხადა გიორგი ხუბუამ. მან დელეგაციის წარმომადგენლები გააფრთხილა, რომ ამ საკითხზე საუბარს მათთან აღარ გააგრძელებს და სხვა კითხვებზე კი მზად არის, უპასუხოს. გიორგი ხუბუამ ასევე უარყო იფორმაცია პროფესორ-მასწავლებელთა დაპატიმრების შესახებ და მას გულუბრყვილო უწოდა.

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დაკავების მსურველთა განცხადებების მიღება 23 ივნისს შეწყდება.

**ნინო ბერელიძე**

# კომპანია UGT-ის და შინაგან საქმეთა სამინისტროს უპრეცედენტო პროექტი

სალომე ძაძამია

საინფორმაციო ტექნოლოგიების ლიდერი კომპანია იუ-ჯი-თის ინიციატივით, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან თანამშრომლობით და დონორი ორგანიზაციების დახმარებით, განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე რთული, კომპლექსური და წარმატებული პილოტური პროექტი, რომლის ფარგლებშიც საპატრულო პოლიციის სამსახური საინფორმაციო-საკომუნიკაციო სისტემებით და გამოთვლითი ცენტრით აღიჭურვა. პროექტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვით (PMI, PRINCE2) განხორციელება და სისტემების აგება კომპანია იუ-ჯი-თიმ უზრუნველყო. სისტემის დანერგვისთვის საჭირო ფინანსები ამერიკის მთავრობამ გამოყო. პროექტის შედეგად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო თანამედროვე და მაღალმდგრადი გამოთვლითი ცენტრი, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია.

საპატრულო პოლიციის მობილური ჯგუფებისათვის უკვე ხელმისაწვდომია კომპლექსური საინფორმაციო-საძიებო სისტემა. ამჟამად 15 საპატრულო პოლიციის მანქანაში დამონტაჟებულია სპეციალური საბორტე კომპიუტერი და პროგრამული უზრუნველყოფა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ძიება მონაცემთა ბაზაში. სისტემის მეშვეობით შესაძლებელია გატაცებული მანქანების უფრო სწრაფი გამოვლენა და მეპატრონის დადგენა, ინფორმაცია ნებისმიერი ავტომანქანის სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ, საეჭვო ავტომანქანის შესახებ ინფორმაციის მიღება მონაცემთა ბაზიდან დროის რეალურ რეჟიმში მანქანის გაჩერების გარეშე.

"რეფორმების პროცესში მყოფი შსს-ს წინაშე 2004 წლიდან დადგა მნიშვნელოვანი ამოცანები, რომელთა გადაჭრაც საინფორმაციო სისტემების გარეშე შეუძლებელია. იუჯითის საკონსულტაციო ჯგუფმა და შსს-მ დაიწყეს ამ ამოცანების გადაჭრის გზების ძიება და ჩამოაყალიბეს სისტემების განვითარების კონცეფცია, რომელიც წარედგინა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებს, რომლებთანაც იუჯითი მრავალი წელია აქტიურად თანამშრომლობს. აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა, კონკრეტულად, სააგენტო აი-ენ-ელ-მა, (აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკებთან ბრძოლისა და სამართლებრივი სტრუქტურების დახმარების საერთაშორისო ბიურო) გამოთქვა მზადყოფნა პროექტის პირველი ეტაპის დაფინანსებისთვის და პროექტი დაიწყო.

როგორც ცნობილია, განვითარებულ ქვეყნებში, დაცული ზუსტი და ოპერატიული ინფორმაცია წარმოადგენს ძალოვანი სტრუქტურების მუშაობის ერთ-ერთ ძირითად დასაყრდენს. დაწყებული პროექტი საფუძველს უყრის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო სისტემებს, როგორც ეფექტიანობის გრძელვადიანი გაუმჯობესების და საერთაშორისო სტანდარტებისკენ მოძრაობის მნიშვნელოვან მიმართულებას.

ჩვენი ძირითადი მიზანი იყო საპატრულო პოლიციის ეფექტიანობის გაზრდა. ავტომობილების მფლობელთათვის ნაცნობი სიტუაციაა, როდესაც პატრული აჩერებს მათ და ინფორმაციის მოძიებას დიდი დრო მიაქვს. საჭიროა მთელი რიგი პროცესების ჩატარება, რომ ინფორმაციას სრულყოფილად ფლობდეს პატრული. დღესდღეობით ახალი სისტემის მეშვეობით



ინფორმაციის მოძიება რეალურ დროში ხორციელდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ავტომფლობელებს აღარ მოუწევთ ინფორმაციის გადამოწმებისას დიდხანს შეყოვნება, ხოლო მობილური ჯგუფები კი უფრო სწრაფად და ეფექტიანად შეასრულებენ სამუშაოს. პროექტის მთავარი დანიშნულება იყო, რომ პატრულს ერთდროულად რამოდენიმე საქმე გაეკეთებინა, იუ-ჯი-თის პროფესიონალი გუნდისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ანალიტიკური დეპარტამენტის ერთობლივი, თავდაუზოგავი მუშაობის შედეგად, ჩვენ რეალურ შედეგს მივაღწიეთ." აცხადებს კომპანია იუ-ჯი-თის პრეზიდენტი გიორგი ჭირაქაძე.

საპილოტო პროექტის ფარგლებში დაიგეგმა და წარმატებით შეიქმნა რამოდენიმე მნიშვნელოვანი კომპონენტისგან შემდგარი სისტემა, რომელიც გათვლილია შსს-ს გრძელვადიან განვითარებაზე, მათ შორის:

- განხორციელდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო უზრუნველყოფის საჭიროებების სიღრმისეული კვლევა იუ-ჯი-თის კონსულტანტებისა და სპეციალისტების მიერ;
- შეიქმნა ახალი მონაცემთა ცენტრალური ბანკი/საცავი;
- დაპროექტდა და დამონტაჟდა მძლავრი და მაღალმდგრადი გამოთვლითი ცენტრი, რომელსაც ამ ეტაპზე საქართველოში ანალოგი არ გააჩნია;
- სამინისტროსა და მისი ქვეგანაყოფების საჭიროებიდან გამომდინარე შეიქმნა სპეციალიზებული, მდგრადი პროგრამული უზრუნველყოფა სპეციალიზირებული შიფრირებისა და უსაფრთხოების ინტეგრირებული სისტემით;
- სამინისტროს თანამშრომლებმა გაიარეს სპეციალური მომზადება პროგრამული და ტექნიკური სისტემების ეფექტურად გამოყენების მიზნით;
- დაიგეგმა, შეიქმნა და გაეშვა დაცული/შიფრირებული საკომუნიკაციო სისტემა, რომელიც შედგება ოპტიკურ-ბოჭკოვანი, მოკლეტალღური რადიო, და GPRS საკომუნიკაციო არხებისაგან;
- დამონტაჟდა და გაეშვა სპეცილიზირებული ბორტ-კომპიუტერები საპატრულო მანქანებში.

"იუ-ჯი-თიმ პროექტის ფარგლებში უზრუნველყო საკომუნიკაციო სისტემის აგება, რომელიც საპატრულო პოლიციის მობილურ ჯგუფებს მონაცემთა ცენტრთან აკავშირებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს გაუწია საკონსულტაციო მომსახურება, რომლის ფარგლებშიც მოხდა საპატრულო პოლიციის ბიზნეს პროცესების რეორგანიზაცია. ამასთან, იუ-ჯი-თიმ შექმნა უნიკალური დოკუმენტაცია, რომელიც სრულყოფილად აღწერს საინფორმაციო სისტემების მუშაობის სქემას და საპატრულო სამსახურის ბიზნეს პროცესებს. კომპანია იუ-ჯი-თიმ უზრუნველყო საპატრულო პოლიციელების ტრენინგები, ასამდე პოლიციელს უკვე ათვისებული აქვს საბორტე კომპიუტერში არსებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენების წესები." განაცხადა პროექტის დირექტორმა გიორგი მაისურაძემ.

"სისტემის კიდევ ერთი უპირატესობა არის მისი შემდგომი გაფართოების შესაძლებლობა. არსებულ სისტემაში შესაძლებელია მარტივად და ეფექტიანად განხორციელდეს სხვადასხვა სისტემის ინტეგრაცია: მართვის მოწმობების ბაზის ფორმირება და მასზე წვდომის სისტემის აგება, ძებნილთა და კრიმინალთა მონაცემთა ბაზის ფორმირება და მასზე წვდომის სისტემის აგება.

დამატებითი მილიონი უკვე გამოყოფილია კვლავ ამერიკის მთავრობის მიერ, რადგან მათ მოიწონეს და აღიარეს პროექტი. ეს პროექტი წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების, საქართველოს მთავრობისა და იუჯითის, წარმატებული თანამშრომლობის კიდევ ერთ მაგალითს. ჩვენ ვამაყობთ, რომ ქართულ სამინისტროებში და უწყებებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ სულ უფრო მეტი მნიშვნელოვანი და წარმატებული პროექტი ხორციელდება." განაცხადა იუ-ჯი-თის პრეზიდენტმა გიორგი ჭირაქაძემ.

კომპანია "იუ-ჯი-თი" უკვე ათი წელია, რაც საქართველოს ბაზარზე მოღვაწეობს და ტექნოლოგიების სფეროში ლიდერი კომპანიაა. იგი ძირითადად კონცენტრირებულია მსხვილ კორპორატიულ კლიენტებსა და სახელმწიფოს სექტორის მომსახურებაზე. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიურ პროდუქტებზე, სერვისებსა და კონსალტინგზე დამყარებული გადაწყვეტილებების შემუშავება, დანერგვა და მხარდაჭერა.

იუ-ჯი-თი"-ს კლიენტთა რიცხვს მიეკუთვნებიან შემდეგი სფეროს წარმომადგენლები: საბანკო-საფინანსო, სატელეკომუნიკაციო, წარმოების, დისტრიბუციის, საცალო ვაჭრობის და სამშენებლო სექტორები. სახელმწიფო სტრუქტურებიდან: თავდაცვის და უსაფრთხოების, საფინანსო-ეკონომიკური რგოლის, საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სტრუქტურები.

"იუ-ჯი-თი"-ს სტრატეგიული პარტნიორები და მიმწოდებლები არიან საინფორმაციო ტექნოლოგიების დარგში მსოფლიოს ლიდერი კომპანიები:Microsoft, SAP, HP, CISCO, SUN Microsystems, Checkpoint, Oracle და სხვა.



# აფიშა

**22 ივნისი**

**თეატრი**

**თავისუფალი თეატრი**
"მეზუნია ჩიტები"
დასაწყისი: 19.00

**მუსიკა**

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
Jamiroquai
დასაწყისი: !8.00

**გალერეა**

**"კოპალა"**
ირინა რაზმაძის ნამუშევრების გამოფენა

**"ქარვასლა"**
თენგიზ უთმელიძის ფოტონამუშევრები
"რომანტიკული ფოტომატეანე"

**"ვერნისაჟი"**
"თანამედროვე ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა"

# ნაღვლიანი ფერწერა

მზევინარ ხუციშვილი

მხატვრობა ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, რომლითაც შეიძლება საკუთარი გრძნობების, განცდების, განწყობის გადმოცემა. ეს განწყობა დამოკიდებულია ადამიანის აღქმის უნარზე. შემოქმედი კი ის ადამიანია, ვინც განსაკუთრებით მძაფრად განიცდის აღქმულს. ყველაზე მნიშვნელოვანი ალბათ ის არის, რომ ეს ყველაფერი ახალგაზრდა შემოქმედთა ნამუშევრებში იგრძნობა. "გაუგებრობა", "სიცოცხლე და სიკვდილი", "უიმედობა", "შემთხვევა" - ეს იმ ნამუშევრებიდან რამდენიმეს სათაურია, რომლებსაც 20 ივნისს გალერეა "უნივერსმა" უმასპინძლა. თავიანთი შემოქმედება თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტებმა დათო ხუციშვილმა და ლევან ბერიაშვილმა წარმოადგინეს. მათი პედაგოგი გია გუგუშვილი აღფრთოვანებას ვერ მალავდა. გამოფენა სწორედ მან გახსნა.

**- ბატონო გია, აშკარაა, რომ ძალიან კმაყოფილი ბრძანდებით თქვენი სტუდენტებით...**

- არის გამოფენები, რომლებზეც სიამოვნებით მიდიხარ. ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი სტუდენტები არიან, ჭკვიანი, გონიერი ახალგაზრდები, კარგი მშობლების კარგად გაზრდილი ბიჭები. არა! ეს სოციალური ფონი, ყველაფერი რჩება გალერეის კარს მიღმა. შიგნით რომ შემოდიხარ, ხვდები მხატვრის სამყაროში. ეს ბიჭები უკვე ნამდვილი მხატვრის თვალით ხედავენ სამყაროს. მათი რამდენიმე ნამუშევარი გულწრფელად მომწონს. ისინი ნებისმიერი კლასის მხატვრობას გაუტოლდება. მე ვურჩევ მათ, რომ ეს ნამუშევრები არ გაყიდონ, რადგან მომავალში გამოადგებათ როგორც საეტაპო, რომელსაც ვერ გაიმეორებ. ეს ის ნახატებია, რომლებიც არ უნდა გაყიდო, რომ სოციუმმა არ მოგიგოს იმ ჭიდილში, იმ ქარტეხილში, რასაც დღევანდელ ყოფაში მხატვრის ცხოვრება და, საერთოდ, ხელოვანის ბედი ჰქვია. ძალიან ლამაზი ნამუშევრებია, რასაც ხშირად ცუდად იგებენ ხოლმე. ეს



არის ის, რაც მათ ასაკში შეიძლება თქვას დამწყებმა ხელოვანმა. მე, როგორც მათი პედაგოგი, ამაყი და ბედნიერი ვარ. ერთი სული მაქვს, გარეთ გავიდე და ყველას მოვუყვე, რომ ჩვენს ქალაქში ცხოვრობს ორი შესანიშნავი ახალგაზრდა - დათო ხუციშვილი და ლევან ბერიაშვილი. ვულოცავ მათ და წარმატებებს ვუსურვებ. აქვე მინდა ვურჩიო საზოგადოებას, რომ თუ სურთ ამ ნამუშევრების შეძენა, უახლოეს მომავალში შეიძინონ. მერე გვიან იქნება.

ლევან ბერიაშვილმა ხატვა ორი წლიდან დაიწყო. პირველი ნახატები დღემდე შენახული აქვს. სხვა პროფესიაზე არც უფიქრია. მხატვრობა კი არ უნდოდა, უბრალოდ, იცოდა, რომ აუცილებლად მხატვარი გახდებოდა.

დათო ხუციშვილიც, რაც თავი ახსოვს, ხატავს. სკოლის დამთავრების შემდეგ ისიც სამხატვრო აკადემიაში მოხვდა.

**- თქვენ როგორ აღიქვამთ საკუთარ ნამუშევრებს?**

**ლევან ბერიაშვილი:** "ჩემი ფერწერა ემყარება სიმშვიდეს, სილამაზეს, სანტიმენტალობას. ვცდილობ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ეს იდეალები იყოს მთავარი. ჩემი და დათოს ნახატები ურთიერთსაწინააღმდეგოა. ამიტომ გადავწყვიტეთ ერთად გამოგვეფინა".

**დათო ხუციშვილი:** "მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ის აღარ ვართ, ვინც ვიყავით და ამის გამო ვიტანჯებით".

# საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვა

საქართველოს მქსოველთა კავშირი უახლოეს მომავალში კანადაში საქველმოქმედო გამოფენა-გაყიდვას გამართავს. როგორც მქსოველთა კავშირის ხელმძღვანელმა მარიკა ზაალიშვილმა განაცხადა, კანადაში მქსოველთა კავშირი ქსოვისა და ხელსაქმის, გამოფენას წარმოადგენს.

"გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სოციალურად დაუცველი ბავშვების, მარტოხელა დედების და დიასახლისების ნაკეთობები. ნივთები მრავალფეროვანია: ფეხსაცმელი, ნაქარგები, ბიჟუტერია და სხვა. ყველაფერი, რასაც კი შეიძლება ადამიანის ფანტაზია გასწვდეს, მზადდება ჩვენს კავშირში", - აღნიშნა ზაალიშვილმა. საქართველოს მქსოველთა კავშირის კანადაში გამგზავრებას საავიაქო ქსელი PSP აფინანსებს.

# ქართული ჟურნალი უკრაინაში

უკრაინის ქართველთა ასოციაცია "იბერიელი" უკრაინაში ქართულ ჟურნალს გამოსცემს. ჟურნალის გამოცემის იდეა ასოციაცია "იბერიელის" პრეზიდენტს ბესიკ შამუგიას ეკუთვნის.

ჟურნალი ქართულ და უკრაინულ ენებზე. ქართულ საგანმანათლებლო ცენტრისა და მთლიანად უკრაინის ქართველთა ასოციაციის საქმიანობას გააცნობს მკითხველს. ცნობარი ფერადია და მასში მოთავსებული იქნება ცენტრის მასწავლებლებისა და მოსწავლეების, შემოქმედებითი კოლექტივებისა და ჩატარებული ღონისძიებების ფოტოსურათები. ის გაფორმებული იქნება უკრაინაში მცხოვრები ცნობილი ქართველი მხატვრების ნახატებით, მოთავსდება ინფორმაცია მათ შესახებ. როგორც დამფუძნებელმა ბესიკ შამუგიამ განაცხადა, გამოქვეყნდება ასევე ცნობილი ქართველი მწერლებისა და პოეტების წერილები, რომლებიც უკრაინაში ცხოვრობენ (რაულ ჩილაჩავა, გურამ პეტრიაშვილი, სოსო ჩოჩია).

ჟურნალის პრეზენტაციას საქართველოდან პარლამენტის წევრები და მთავრობის წარმომადგენლები დაესწრებიან. პრეზენტაცია ივლისის დასაწყისში კიევში მოეწყობა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# სარესტავრაციო სამუშაოები

მცხეთის ჯვრის მონასტერში სარესტავრაციო სამუშაოები მიმდინარე წლის ზაფხულის ბოლოს დაიწყება.

როგორც კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილემ ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა განაცხადა, არქიტექტორ-რესტავრატორთა ჯგუფი, რომელიც იუნესკო-ს კულტურული მემკვიდრეობის რესტავრაციისა და კონსერვაციის ცენტრის - იკრომ-ის ექსპერტებითა და ქართველი სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, ჯვრის მონასტერზე ყოველ ორ თვეში ერთხელ იღებს სინჯებს შედარებისა და ანალიზისთვის.

"აგვისტოში კიდევ ერთი მონიტორინგი ჩატარდება. ჩამოვლენ იუნესკო-ს ექსპერტები და ქართველ სპეციალისტებთან ერთად ერთი წლის ნამუშევარს, ლაბორატორიული კვლევის შედეგებს შეაჯერებენ. ამის შემდეგ გადაწყდება, რა გზით წარიმართება ჯვრის მონასტრის რეაბილიტაცია", - განცხადა ვაჩეიშვილმა.

ჯვრის მონასტრის რესტავრაცია-კონსერვაციისთვის მოსამზადებელი სამუშაოები გასულ ზაფხულს დაიწყო.

*ინტერპრესნიუსი*

# 25 მხატვარი

გალერეა "კამეაში" 25 თბილისელი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე წარმოდგენილია ტიხრული-მინანქრის ნიმუშები, ხელნაკეთი ფაიფური, ხელნაკეთი დანები, კამეა და ფერწერა.

თბილისელ მხატვრებთან ერთად ნამუშევრები წარადგინა პარიზში მოღვაწე ქეთი მატაბელმა (ფერწერა), ხოლო ციალა ცალქალამინიძემ, რომელიც გერმანიის ხელოვნების ენციკლოპედიაშია შესული, ტიხრული-მინანქრის სურათები.

როგორც გალერეის დირექტორმა ბესო დარჯანიამ განაცხადა, - "გამოფენაზე თანამედროვე მხატვართა ნამუშევრების გარდა, ძველი თაობის ფერწერული ტილოებიც არის წარმოდგენილი. მათ შორის, გარდაცვლილ მხატვართა ომარ დურმიშიძის და ჯემალ გვიმრაძის ნამუშევრები."

გამოფენა-გაყიდვა გალერეა "კამეაში" ერთი თვე გაგრძელდება.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# წლის შეყვარებული წყვილი

ჟურნალმა In Touch წლის გამოკითხვის შედეგები გამოაქვეყნა. გამოკითხვის შედეგების მიხედვით, და წლის ყველაზე "ვნებიანი და შეყვარებული" წყვილის ტიტული უმრავლესობამ ტომ კრუზსა და მის მეუღლეს ქეით ჰოლმსს მიანიჭა.

წყვილის მიმართ საზოგადოების ასეთი დამოკიდებულება ცოტა მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან ტომის და ქეითის ინტიმური ცხოვრების დეტალები, სხვა ცნობილი წყვილებისაგან განსხვავებით, იშვიათად დაფიქსირებულა პაპარაცების მიერ გადაღებულ კადრებში. ზოგიერთი უკმაყოფილო აცხადებს, რომ ტომ კრუზი და ქეით ჰოლმსი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში თავიანთ გრძნობებს ზედმეტად მორიდებულად გამოხატავენ.

ჩამონათვალში აგრეთვე მოხვდნენ: ორლანდო ბლუმი და ქეით ბოსვორტი, ევა ლონგორია და ტონი პარკერი, ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი, კამერონ დიასი და ჯასტინ ტიმბერლეიკი.

# ხელოვნების სამყარო

## ბავშვები, რომლებსაც ელიან

სოფო კილასონია

გუშინ, სამხატვრო აკადემიაში World Vision გამოფენას წარმოადგენდა. საგამოფენო დარბაზში ნანატრი გამოფენა გაიხსნა. ის, რასაც ამბობდნენ და გვესმოდა, ექსპოზიციის სახით წარმოგვიდგინეს. საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან და რეგიონიდან ახალგაზრდებმა ახლად ნასწავლი და შეთვისებული ხელოვნების ესა თუ ის მიმართულება და სულ პატარა შედევრები გამოფენა-გაყიდვაზე გამოიტანეს.

საქართველოსა და გერმანიის წარმომადგენლობების ხელშეწყობით 2005 წლის ოქტომბრიდან ხორციელდება პროექტი "გამოყენებითი ხელოვნების ცენტრები". პროექტი ამავე ორგანიზაციის მიერ ევროკავშირის ხელშეწყობით შექმნილი შვიდი ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე (ბათუმი, ქუთაისი, თელავი, ახალციხე, ნინოწმინდა, მარნეული და ბოლნისი) მუშაობს.

სახელოსნოების მიზანია სხვადასხვა დარგის სწავლებით ახალგაზრდებს შემოქმედებითი თვითგამოხატვის შესაძლებლობა მისცეს და ისეთი უნარ-ჩვევები განუვითაროს, რომლებიც მნიშვნელოვნად დაეხმარება მათ დასაქმებაში.



ამჟამად 150-ზე მეტი ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი და სხვა ეროვნების ახალგაზრდა ეუფლება ქართული ფარდაგის და ტრადიციული აზერბაიჯანული ხალიჩის ქსოვის, ბატიკის, თექის, გობელენის, ქარგვის ხელოვნებას. ითვისებენ ქვაზე კვეთის ქართულ ტრადიციებს და სომხური "ხაჩკარის" თავისებურებებს.

ბავშვების გარკვეული რაოდენობა მთელი საქართველოს მასშტაბით სწავლობს და ეუფლება როგორც ახალ, ისე ძველ, ტრადიციულ კულტურას: უძველესი ტიხრული მინანქრისა და ოქრომჭედლობის რთულ და საინტერესო ხელოვნებას. პროექტი ცდილობს ხელი შეუწყოს სოციალურად დაუცველი, მათ შორის მშობლების მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდების საზოგადოებასთან ინტეგრაციის პროცესს.

**"ხელოვნება მნიშვნელოვანი იარაღია ისეთი სოციალური პრობლემების დასაძლევად, როგორიცაა სიღარიბე და მარგინალიზაცია. იგი ასევე მყარ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარებისთვის,"** - გვითხრა პროექტის მენეჯერმა ანა მგალობლიშვილმა. ანასთვის, როგორც ფერმწერისთვის, პროექტის ერთ-ერთი უმთავრეს დანიშნულებას საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური კულტურის ტრადიციების დაცვა-განვითარება და კულტურათაშორისი დიალოგი წარმოადგენს. მან და მისმა კოლეგებმა გუშინ ერთობ საინტერესო მემორანდუმსაც მოაწერეს ხელი. ამიერიდან სამხატვრო აკადემიის საგამოფენო დარბაზში World Vision-ის გამოფენები პერმანენტულად შედგება, ისე კი სასწავლებელში იმედოვნებენ, რომ პროექტის ფარგლებში ხელოვნების სამყაროზე შეყვარებული ახალგაზრდები მოღვაწეობას მათ კედლებში გააგრძელებენ.

გარდა ამისა, პროექტი კიდევ არა ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ამოცანას ისახავს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს რეგიონების მოსახლეობის შემოქმედებითი საქმიანობის გააქტიურებასა და ადგილობრივი ხალხური ხელოვნების გამოცოცხლებას.

ცენტრების საქმიანობაში ჩართვა შეუძლია ნებისმიერ ახალგაზრდას, რომელსაც სურვილი აქვს თანატოლებთან ერთად შეისწავლოს გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის თავისებურებები.

# "ფიდალი ანუ ამინა სამიდან ხუთამდე"

## ტერორიზმის თემა ქართულ მწერლობასა და კინემატოგრაფში

ქართული კინემატოგრაფის ისტორიაში სახელმწიფოს ხელშეწყობით პირველ ფილმს გადაიღებენ ტერორიზმის თემაზე. ქართულისთვის უცხო, მსოფლიო კინემატოგრაფისთვის კი მომგებიანი და კარგად ნაცნობი თემის მნიშვნელობას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ოდნავ მოგვიანებით მიხვდნენ. ტრაგიკომიკური რომ არ იყოს, არ ვიტყოდით, მაგრამ თავის დროზე კულტურის სამინისტრომ ფილმის დაფინანსებაზე უარი თქვა. "ტერორიზმზე ფილმს სახელმწიფო ვერ დააფინანსებსო", - ამ პასუხმა გარკვეული დაბრკოლება შექმნა, მაგრამ უარის მთქმელთაც გამოუჩნდნენ კეთილისმსურველნი და დაარწმუნეს, რომ კაცობრიობის გლობალურ საფრთხედ აღიარებული მოვლენისადმი ახალგაზრდა მწერლის თეონა დოლენჯაშვილის ნოვატორული მიდგომა ეკრანიზებას იმსახურებდა.

ერთი სიტყვით, შეთანხმება შედგა. ქართული კინემატოგრაფისთვის ისტორიული მისიის შესრულება თეონა დოლენჯაშვილის მოთხრობის საფუძველზე რეჟისორმა გიორგი მგელაძემ იტვირთა.

"ფიდალი ანუ ამინა სამიდან ხუთამდე" - ამ სახელწოდების მოთხრობა თეონა დოლენჯაშვილის ავტორობით გიორგი მგელაძემ ეროვნული კინოცენტრის მიერ ორგანიზებულ სცენართა კონკურსზე წარადგინა.

სცენარმა, სპეციალური ჟიურის შეფასებით, 80 ქულაზე მეტი მიიღო. კონკურსის ორგანიზატორებმა იმთავითვე აღნიშნეს, რომ ქულათა ასეთი რაოდენობისთვის კინოცენტრის ისტორიაში ჯერ არც ერთ საკონკურსო სცენარს არ მიუღწევია.

ასეთი წარმატების მთავარი საფუძველი, უდავოდ, მოთხრობის აქტუალურობა გახდა. "თვითმკვლელი ტერორიზმის თემა თავისთავად საინტერესოა, მაგრამ მე გადავწყვიტე, ის განსხვავებული კუთხით წარმომეჩინა. მსოფლიო მედიასაშუალებების მიერ ტერორიზმის მიმართ გამოთქმული შეფასებები, ძირითადად, ცალმხრივია. არადა, ამ პრობლემას სხვა მხარეც აქვს. მოთხრობის პერსონაჟი თვითმკვლელი ტერორისტია. ვარჩიე, ის ქალი ყოფილიყო, რადგან უფრო საინტერესოა, როგორ მიდის ქალი, როგორც სიცოცხლის საწყისი, მისივე განადგურების გადაწყვეტილებამდე", - ამბობს მოთხრობის ავტორი.

ნაწარმოების ფაბულა რაიმე რეალურ შემთხვევას არ ემყარება, ის თავიდან ბოლომდე მწერლის ფანტაზიით არის ნაკარნახევი. როგორც ავტორი იხსენებს, სიუჟეტი მას საკმაოდ უმნიშვნელო დეტალმა უკარნახა.

"ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა მორიგი სტატია ჩეჩენი ტერორისტების შესახებ, რომელსაც ფსიქოლოგის კომენტარი ერთვოდა. კომენტარში ასეთი ფრაზა იყო: "თვითმკვლელი ტერორისტებისთვის სიკვდილის წინ სიცოცხლე განსაკუთრებით ლამაზია". ამ მოტივზე წარიმართა მოთხრობის სიუჟეტიც. სწორედ ამიტომ მთავარი გმირი, ტერორისტი ქალი, სახელად ამინა, პარიზში ცხოვრობს - სიყვარულისა და ხელოვნების ქალაქში, სადაც ადამიანის ცხოვრების ყველაზე ლამაზი მხარეები განსაკუთრებით თვალშისაცემია", - ამბობს მწერალი.

მოთხრობის სიუჟეტი დაგეგმილ ტერორისტულ აქტამდე ორი საათის განმავლობაში ვითარდება. სამიდან ხუთ საათამდე ამინას თვალწინ წარდგება სიცოცხლე თავისი ყველა მომხიბვლელობით და ქალს მოახლოებულ სიკვდილზე დააფიქრებს, თუმცა, საბოლოოდ ის მაინც თვითმკვლელობის გადაწყვეტილებას იღებს.

"ფიდალი ანუ ამინა სამიდან ხუთამდე" 2004 წელს წლის საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებად დასახელდა. მოგვიანებით იგი 15 საუკეთესო პროზაულ ნაწარმოებს შორის მოხვდა, ეროვნული კინოცენტრის კონკურსში გამარჯვება კი მისი ეკრანიზებისთვის საჭირო ფინანსების მიღების გარანტი გახდა.

ფილმის გადაღება (რეჟისორი ჯერჯერობით ამ სახელწოდების დატოვებას აპირებს), გიორგი მგელაძის თქმით, წლის ბოლომდე დაიწყება. ამინას როლის შემსრულებლად რეჟისორი პოპულარულ მსახიობს ნუცა კუხიანიძეს მოიაზრებს. მსახიობთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ნიკოლ კიდმანი

ნიკოლ კიდმანი ორი ნაშვილები შვილის შემდეგ, შესაძლოა, ბიოლოგიური დედა გახდეს. ტომ კრუზთან განშორების შემდეგ დეპრესიაში მყოფ ნიკოლ კიდმანს 2005 წლის იანვარში მუსიკოსი კიტ ურბანი შეხვდა. როგორც კიდმანი აღნიშნავს, მუსიკოსი მას დეპრესიის დაძლევასა და ახალი ცხოვრების დაწყებაში დაეხმარა.

კიდმანი ამჟამად სიდნეიში იმყოფება და კიტთან ქორწინებისთვის ემზადება. ქორწილის დეტალები გასაიდუმლოებულია. თუმცა, კულუარული ინფორმაციის თანახმად, ცნობილი გახდა, რომ ქორწილი პომპეზურობის გარეშე ვიწრო წრეში ჩაივლის. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ დასავლური ყვითელი პრესა პაპარაცების "დოკუმენტებს" ეყრდნობა და აღნიშნავს, რომ გასაიდუმლოებისა და არაპომპეზურობის მიზეზი ნიკოლ კიდმანის ფეხმძიმობაა.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# 12 განრისხებული მამაკაცი

რუსმა რეჟისრომა ნიკიტა მიხალკოვმა ფსიქოლოგიური თრილერის "12 განრისხებული მამაკაცის" გადაღებები დაასრულა. ამ დროისათვის მიმდინარეობს ფილმის მონტაჟი. მიხალკოვის ინფორმაციით, პრემიერა შემოდგომისთვისაა დაგეგმილი.

12 განრისხებული მამაკაცის მოსამართლის რუსი რეჟისორისეული ვარიანტი ჩეჩნეთის ომის თემასაც ეხება. ახალ ფილმში მიხალკოვის მიერ დღემდე შექმნილი ფილმების ძირითადი ხაზი უცვლელია - პატარა ბიჭს მკვლელობაში ადანაშაულებენ, განაჩენი 12 მოსამართლეზეა დამოკიდებული.

ფილმში რეჟისორთან ერთად მონაწილეობენ სერგეი მაკოვეცკი, ალექსეი გორბუნოვი, ვალენტინ გაფტი და სხვები.

*ჯი-ეიჩ-ენი*

# ნარკომანიის წინააღმდეგ

23 ივნისს გალერეა "ჰობიში" იხსნება ნარკომანიის წინააღმდეგ საკონკურსო პლაკატების გამოფენა. "გამოფენაზე პლაკატებს წარმოადგენენ სამხატვრო აკადემიის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტები. გამოფენა ფინანსდება გაეროს განვითარების პროგრამების მიერ", - განაცხადა გალერეის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა ლელა თუშიშვილმა. გამოფენა ნარკომანიის წინააღმდეგ ხორციელდება საქართველოს ანტინარკოტიკული კოალიციის მიერ საქართველოში გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩოს და სამხრეთ კავკასიის ანტინარკოტიკული პროგრამების ფინანსური მხარდაჭერით.

# დღეს "ჯემიროქუაის" კონცერტზე მივდივარ

## ჯეი კეი თბილისშია და ჩვენთვის იმღერებს

ია ვექუა



ის ზუსტად ისეთია, როგორც ტელევიზორში გვინახავს - მომცრო ტანის, მოძრავი, სხარტი, ამ შემთხვევაში რატომღაც უქუდო და ვარსკვლავი. მთავარი "ჯემიროქუაი" თბილისში კიევიდან საკუთარი თვითმფრინავით ჩამოფრინდა, ქართველ ჟურნალისტებს საქართველოში ჩამოსვლის გამო განცდილი სიხარული გაუზიარა, ექსპრომტად სიმღერის შესრულებაზე მორცხვი უარი განაცხადა და "ინფინიტის" მასიურ სალონში გაუჩინარდა.

ის, რომ ჯეი კეი თბილისში ერთ ღამეს მაინც გაატარებს, მისი ადგილობრივი ფანებისთვის დიდი ამბავია. მართალია, ნამდვილი ფანებისგან განსხვავებით ვერ შეძლებენ მისი სასტუმროს ნომრის ფანჯრებთან კარვების გაშლას და ველური კიჟინით არემარეს გაყრუებას (რადგანაც სასტუმროს სახელწოდება ოფიციალურად გასაიდუმლოებულია... თუმცა მაინც ყველამ იცის), ის მაინც ამშვიდებთ, რომ მათ ქალაქში ისტერიკაში გადასული ფეხბურთის გულშემატკივრობის გარდა კარგი მუსიკის ჩამოტანაც შესაძლებელია.

ჯეისონ კეი თავისი 35 კაციანი ბენდის თბილისში ჩამოსვლა-დაბინავების შემდეგ ჩამობრძანდა. ერთ-ერთი ქართველი ჟურნალისტის კითხვაზე (იგი სავარაუდოდ, იმ არხიდან იყო, რომლის საინფორმაციო გადაცემის მორბენალ სტრიქონში იუწყებოდნენ, რომ თბილისში ბენდ ჯიმი როქუაის მომღერალი ჩამოვიდა (!)), რას შეასრულებს დღევანდელ კონცერტზე, მხრები აიჩეჩა და დახმარებისთვის კვლავ "ინფინიტის" სალონს მიმართა.

დღეს საღამოს კი მის გვერდით არც "ინფინიტები" იქნება და არც დაცვის "ოთხკუთხედი" წევრები, რომლებიც თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე მკვლელი სახეებით მოაცილებდნენ. დღეს ჯეი კეის რამდენიმე ათასი წყვილი ქართული ყური მოუსმენს და თვალი შეაფასებს. რა თქმა უნდა, მათ შორის იქნებიან ისეთებიც, ვისთვისაც ამ კონცერტზე წასვლა მხოლოდ პრესტიჟის საკითხია, მაგრამ იმედია, ისინიც დაგვდებენ პატივს - ჰალსტუხებს მოიხსნიან და ღიპებსაც შეისუნთქავენ.

წინასწარ არც მინდა წარმოვიდგინო, როგორ ცდილობენ ჯგუფის თავგადაკლული თაყვანისმცემლები ფილარმონიის საკონცერტო დარბაზის სავარძლებსშუა დარჩენილი ადგილის უკაცრიელი კუნძულივით ათვისებას და თუნდაც Cosmic Girl-ის რიტმებზე აცეკვებას, ან ჯეი კეითვის საკუთარი ხმის მიწვდენას. რა სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერასდროს შევიგრძნობთ იმ წვიმას, რომელმაც შარშან ვერონელი მსმენელი და "ჯემიროქუაის" რიტმები ქიმიური რეაქციის მსგავსი ეფექტით გააერთიანა, ვერონელებმა კი იგრძნეს, როგორ მოედინებოდა ეს ნაკადი მათი შიშველი ფეხების თითებშუა.

სამაგიეროდ, თავისუფლად და სიცოცხლის ბოლომდე შეგვიძლია ვიამაყოთ, რომ ჯეი კეი ქართულ ფაფახს დაიხურავს და იმავე სცენაზე გაივლის, რომელზეც მანამდე არაერთს გაუვლია... მათი სახელების ჩამოთვლას ნუ მთხოვთ. თუ ვინმეს მოეჩვენება, რომ წინამდებარე ტექსტი ცოტა არეულია, ეს ჩემს წინასაკონცერტო მღელვარებას მიაწერეთ - დღეს "ჯემიროქუაის" კონცერტზე მივდივარ...

# "ამარტა" - საერთაშორისო აღიარება ხარისხისთვის

თეონა ჯაფარიძე



ერთ მშვენიერ დღეს ფოსტას წერილი მოჰყვა მადრიდიდან. "ამარტას" მთავარ რედაქტორს მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არ მიუქცევია. უფრო საჩქარო იმ უამრავი მოდის ფაილებისა თუ პრესრელიზების გადასინჯვა იყო, რომელსაც "ამარტას" თითქმის ყოველდღე, ექსკლუზიურად უგზავნიდნენ დასავლური მოდის სახლები თუ ცნობილი ფირმები. ახლაც მთავარი რედაქტორი ექსკლუზივს და ნებართვას ელოდა პირადად პირელისგან, რომ "ამარტას" გაზაფხულის ნომრის გარეკანსა და რამდენიმე გვერდზე პირელის ცნობილი კალენდრების ფოტომოდელების ფოტოები განთავსებულიყო. პირელისთან ექსკლუზივზე ქვემოთ მოგახსენებთ, მანამდე კი მოდით, კონვერტი გავხსნათ და ვნახოთ, რა წერია მადრიდიდან გამოგზავნილ წერილში.

BID-მა (Buziness Initiative Directionns) ჩათვალა, რომ ჟურნალი "ამარტა" თავისი გრაფიკული, ვიზუალური თუ ტექსტუალური ელემენტებით სრულიად აკმაყოფილებს საერთაშორისო მაღალი ხარისხის ფორმატს და ჯილდოვდება პრიზით. წერილი BID-ის მადრიდის ოფისიდან მოვიდა. დაჯილდოების ცერემონიალი კი ნიუ იორკში გაიმართა.

"BID იკვლევს იმ ახალ კომპანიებს, რომლებიც ხარისხზე მუშაობენ. უფრო ხშირად ბიზნესს ან სამრეწველო კომპანიებს მიმართავს, პრესას კი - იშვიათად. ამჯერად "ამარტა" თავისი ხარისხის გამო BID-ის ყურადღების ცენტრში მოექცა და ეს პრიზიც ავიღეთ", - მიხსნის ირინა ყაჭეიშვილი, "ამარტას" მთავარი რედაქტორი.

**- მაინც რა იგულისხმება ხარისხში, რომელიც საყოველთაოდ მიღებულ ფორმატს აკმაყოფილებს?**

- მეამაყება, როცა ერთიმეორის მიყოლებით "ამარტას" 24 ნომერს გადავხედავ. ეს ჟურნალის განვითარების ისტორიაა. პროფესიონალის თვალი აუცილებლად შეამჩნევს, რომ რომელიღაც ეტაპზე ქაღალდის ხარისხი უმჯობესდება, სადღაც აღმოაჩენ, რომ უცხოური მასალები უკვე ექსკლუზიურია, გარეკანზე პანტონის საღებავი და ოქროს ფოლგა ჩნდება, გვერდების რაოდენობა იზრდება და დღეს უკვე 220-ს აღწევს. ჟურნალი სტამბულში იბეჭდება. ბოლო სამ ნომერში კი ჟურნალის დიზაინის ცვლილება აშკარად თვალშისაცემი ხდება, რადგან "ამარტას" დიზაინზე შეფობა უკვე პარიზში, ჟურნალ "ელის" პრე-პრეს ბიურომ აიღო თავის თავზე. ეს ყველაფერი ექვსი წლის განმავლობაში, ნელ-ნელა მოვიდა, ნდობის მოპოვების, ჟურნალის რეალიზაციის, განთავსებული რეკლამიდან მონაგების უკან, ჟურნალში დაბრუნების ხარჯზე (ჟურნალი გამოდის 2000 წლიდან, სამ თვეში ერთხელ).

**- ეს ყველაფერი ხარისხის განმსაზღვრელი ვიზუალური ეფექტებია, მაგრამ მოდით, ვისაუბროთ იმ შედეგებზე, რაც ამ გარეგნულმა ფაქტორებმა გამოიწვია. მაგალითად, როგორ მოხვდა "ამარტა" "ელის" პრე-პრეს ბიუროში, ან საიდან ეს ექსკლუზიური ყდები და ინტერვიუები დასავლელ მეტრებთან?**

- ყველაფერი ხარისხმა მოიტანა. "ელის" წარმომადგენლები პარიზში გავიცანი და ჟურნალიც ვაჩვენე. სულ მალე მათგან წინადადება მივიღე, რომ ჟურნალის დიზაინი "ელის" პრე-პრეს ბიუროში სიმბოლურ ფასად გაგვეკეთებინა, რადგან როგორც მათ მითხრეს, "ეს არის ჟურნალი, რომელსაც მომავალი აქვს". "ელის" თანამშრომლები ხუმრობით მეუბნებიან კიდეც, რომ, როცა "ელი" საქართველოში შემოვა, მას "ამარტას" სახით კონკურენტი დახვდებაო. ეს ხუმრობა ჩვენთვის, რასაკვირველია, დიდი კომპლიმენტია.

სწორედ ხარისხმა მოიტანა ის, რომ პირელიმ სიამოვნებით განათავსა ექსკლუზიური მასალა და თავისი 2006 წლის ელიტური სასაჩუქრე კალენდრიდან ფოტო "ამარტას" გარეკანზე. ამისთვის პირელი წინასწარ გაეცნო "ამარტას" ოთხ ნომერს. დღეს კი მილანში, პირელის ოფისში, "ამარტას" გაზაფხულის ნომრის 30 ეგზემპლარი უდევთ.

წლების მანძილზე კი "ამარტაში" უპრობლემოდ მთანხმდებოდნენ ექსკლუზიურ ინტერვიუებზე ლუჩანო ბენეტონი, ალბერტო ტომბა, ჟივანში, ცნობილი ამერიკელი დიზაინერი პრინცი ფურსტენბერგი, მსოფლიო მოდის კანონმდებელი ირინა გალიცინა, მარია ბუჩელატი, ვიქტუან დე კასტელანი - წლების მანძილზე ჯერ შანელის, შემდეგ კი კრისტიან დიორის სამკაულების დიზაინერი. ვამაყობ, რომ ბოლო ინტერვიუ მქონდა ალბერტო სორდისთან და ა.შ. მათთან შეხვედრები კიდევ ცალკე მოსათხრობია. მახსოვს, ჟივანში თავისი ხელით როგორ გვხდიდა წვიმით დასველებულ მოსასხამებს, როცა მასთან ინტერვიუზე მივედით. მახსოვს, როგორ გამოემართა ჩვენკენ ფანების ნაკადი, როცა ტომბასთან სამახსოვრო ფოტოს ვიღებდი. არასოდეს დამავიწყდება, როცა ბუჩელატიმ თავის ლაბორატორიაში მუჭში ჩამიყარა კარიბიდან ჩამოტანილი მარგალიტები, რომლითაც დედოფალ ელისაბედისთვის სამკაული უნდა გაეკეთებინა.

**- თუ საიდუმლო არ არის, როგორ ახერხებთ ცნობილ მეტრებზე "გასვლას"?**

- ნაწილობრივ პირადი კონტაქტებითაც: "ამარტას" გამოცემამდე ხუთი წელი იტალიაში გავატარე. ვსწავლობდი იტალიურ ენას, ხელოვნების ისტორიას, ვმუშაობდი ცნობილ მოდის სახლებში. ძალიან კარგად ვიცნობ ამ გარემოს და კონტაქტებიც მაქვს.

**- როგორ გაჩნდა "ამარტას" იდეა?**

- ჟურნალის გამოცემის იდეა იტალიაში ყოფნის დროს დამებადა. დაახლოებით ეს "ელთან" და "ვოგთან" მიახლოებული ჟურნალი უნდა ყოფილიყო. საქართველოში რომ დავბრუნდი, ავად გავხდი, სასწრაფო ოპერაცია დამჭირდა. რეანიმაციიდან რომ გამომიყვანეს, ისევ ჟურნალზე ვფიქრობდი. 2000 წლის 5 მაისი იყო. სექტემბერში კი უკვე ჟურნალის პირველი ნომერი გამოვიდა. ამისთვის ბანკიდან კრედიტი გამოვიტანე და ბინა დავაგირავე. ოჯახის წევრები მხარში ამომიდგნენ. იმ დროს ქართული ბაზარი ცარიელი იყო. "ამარტას" კონკურენტი არ ჰყავდა. ჟურნალმა თავისი თავი მშვენივრად ამოქაჩა რეალიზაციისა და რეკლამის ხარჯზე. სპონსორი არასოდეს გვყოლია. ბოლო ორი წელია ქართულ ბაზარზე სხვა ჟურნალებიც გამოჩნდნენ.

**- ე.ი. გაჩნდნენ კონკურენტებიც. რა ადგილი დაიკავა "ამარტამ" ქათულ ბაზარზე?**

- მიხარია, რომ ეს ჟურნალები არსებობს, მანამდე მოსაწყენიც კი იყო. დღეს ყველა ჟურნალს თავისი ნიშა აქვს. მიმაჩნია, რომ ერთნაირი პროფილის ჟურნალებიც კი ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, რადგან თითოეულ მათგანს ის ადამიანები აკეთებენ, ვისაც ინდივიდუალური ხელწერა აქვს.

**- როგორია "ამარტას" კონცეფცია და რა კატეგორიის მკითხველზეა გათვლილი?**

- მისი კონცეფცია ცოტა დამაბნეველი და დამაინტრიგებელია - გარეგნულად ბურჟუაზიული ჟურნალის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომელიც სინამდვილეში დემოკრატიულ ფასეულობებზე ღაღადებს. მაგალითად, ზამთრის კოლექციისა და ქურქების გვერდით "ამარტა" გიამბობთ ცხოველთა უფლებების დამცველ "პეტას" ექსცენტრიულ აქციებზე, მდიდრული ინტერიერებისა და სამკაულების კოლექციებს მოჰყვება საუბრები ალტერნატიულ ხელოვნებასა და როკზე. ცნობილი ფოტოხელოვანის გურამ წიბახაშვილის (რომელიც "ამარტას" მთავარი დიზაინერიცაა) ფოტო-პროექტები კი ჟურნალს გასაკუთრებულ არტ-დატვირთვას ანიჭებს.

ერთი სიტყვით, ეს არის ნაზავი, რომელიც დახვეწილი გემოვნებისა და ინოვაციების მოყვარულებს აინტერესებთ. და კიდევ ერთი რამ: ჟურნალში პროპორციები ასეა გადანაწილებული: უცხოური ექსკლუზიური მასალების გვერდით 60 პროცენტი ქართულ მასალებს უჭირავს - თანამედროვე ქართულ ხელოვნებაზე.

**- სენსაცია, რომელსაც "ამარტას" ზახულის ნომერში უნდა ველოდოთ.**

- "ზაფხულის ნომერში "ამარტა" პირველად დაარღვევს თავის ფორმატს და მოდის ტენდენციებისა თუ უამრავი არტ-ამბების გვერდით ფეხბურთსაც გადასწვდება. რა თქმა უნდა, საფეხბურთო ჩემპიონატმა გვიბიძგა, მაგრამ თემა ფეხბურთის სამყაროს ფარგლებს სცდება - პირველად ქართულ მედიაში კახი კალაძესთან ექსკლუზიური ინტერვიუ ოჯახურ ტრაგედიას ეხება.

# BBC-მ პოპულარული ტელეპროექტი დახურა




ტელეკომპანია BBC-მ ერთ დროს პოპულარული ყოველკვირეული მუსიკალური გადაცემის Top of the Pops შეჩერების გადაწყვეტილება მიიღო. ერთ დროს ეს გადაცემა არხის ყველაზე რეიტინგული პროდუქტი იყო, მაგრამ დროთა განმავლობაში აქტუალობა მოაკლდა და აუდიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილიც დაკარგა. არხის დირექციამ აღიარა, რომ ყოველკვირეული გადაცემა ველარ უწევდა კონკურენციას 24 საათიან მუსიკალურ არხებს.

Top of the Pops პირველად ეთერში 1964 წლის 1 იანვარს გავიდა. მისი წამყვანი იმ დროისთვის ძალიან პოპულარული რადიო დი ჯეი ჯიმი სევილი იყო. სევილის პირველი გადაცემის სტუმრები იყვნენ ჯგუფები "ბითლზი", "როლინგსტოუნზი", და "ჰოლისი" და დასტი სპრინგფილდი.

თავიდან დაგეგმილი იყო, რომ ეთერში მხოლოდ ექვსი გამოშვება გავიდოდა, შემდეგ კი გადაცემა დაიხურებოდა, თუმცა მისმა რეიტინგმა ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა და დღემდე 2 ათასზე მეტი გადაცემა გავიდა.

Top of the Pops-ის ყველაზე პოპულარული პერიოდი 70-იან წლებში იყო, როდესაც თითოეულ გადაცემას 15 მილიონამდე მაყურებელი ჰყავდა. 2002 წლიდან კი მაყურებელთა რაოდენობა 5-ჯერ შემცირდა.

# მერლინ მონრო - კომუნისტების ტრფიალი

შორეულ 1956 წელს ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ მიიღო შეტყობინება იმის თაობაზე, რომ მერლინ მონრო კომუნისტების მიმართ სიმპათიით იყო განწყობილი. ამის შესახებ ის დოსიეც მოწმობს, რომელიც ფედერალურმა პოლიციამ მონროს მაშინდელი ქმრის, არტურ მილერის შესახებ შეაგროვა.

მილერისა და კინოს ლეგენდის შეუღლებას მხოლოდ ელიტარულ ქრონიკებზე მწერალი ჟურნალისტების ყურადღება არ მიუქცევია. მათი წყვილით გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამშრომლებიც დაინტერესდნენ. მათ დასკვნაში ნათქვამია: "გაზეთ Daily News-ის რედაქციაში უცნობმა მამაკაცმა დარეკა, რომელმაც განაცხადა, რომ მილერი ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის წევრი იყო. ქმრის გავლენით კი მერლინ მონროც კომუნისტებს თანაუგრძნობდა."

არტურ მილერი შარშან 89 წლის ასაკში გარდაიცვალა, რის შემდეგაც მისი დოსიე გახსნეს. აღმოჩნდა, რომ გფბ-ს აგენტები მისთვის თვალყურის დევნებას 40-იანი წლებიდან აწარმოებდნენ.

მათ დაადგინეს, რომ არტურ მილერი კომუნისტური პარტიის წევრი 30-იანი წლებიდან იყო. თუმცა ამას თავად მილერი ყოველთვის უარყოფდა და ამტკიცებდა, რომ მხოლოდ კომუნისტების რამდენიმე იდეას იზიარებდა და პარტიის წევრი არასდროს ყოფილა.


## გამაჯანსაღებელი ცენტრი

ნაუტილუსი



გთავაზობთ:

- ■ აღმოსავლური მედიცინის ცენტრი
- ■ სარეაბილიტაციო-რელაქსაციური SPA ცენტრი
- ■ მარადიული ახალგაზრდობის სამყარო "კედრის სახლი"
- ■ წონაში კლების ახალი უნიკალური პროგრამა

- ■ "STARMASTER"-ის და "NAUTILUS"-ის უახლესი თაობის ტრენაჟორებით აღჭურვილი ფიტნეს კლუბი
- ■ ულტრათანამედროვე რეაბილიტაცია და SPA ცენტრი
- ■ ულტრათანამედროვე გერმანული სამკურნალო აბაზანები და ტალახები, SPA კაფსულა
- ■ უახლესი გერმანული ვერტიკალური და ჰორიზონტალური სოლარიუმები

მისამართი: ი.ჭავჭავაძის 78
ტელ: 22 56 26
23 56 26
E-mail: info@nautilus.ge
reception@nautilus.ge







## სიახლე გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსში"

გაიხსნა აღმოსავლური მედიცინის ცენტრი, სადაც მომსახურებას გაგიწევენ უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები: საერთაშორისო სუ ჯოკ აკადემიის მასწავლებელი **სიმონ გორელაშვილი, ანდრო სამხთუაშვილი, ლალი მუხიაშვილი** და სხვ.

მკურნალობა ტარდება შემდეგი მეთოდებით:

ჩინური მედიცინა, სუ ჯოკ თერაპია, ტვისტ თერაპია, ელექტროპუნქტურა, ლაზეროპუნქტურა, მანუალური თერაპია და სხვა.

გნებავთ განთავისუფლდეთ შემდეგი პრობლემებისაგან:

ნევროზი; უნებლიე შარდვა; ნევრიტები და ნევრალგიები; რადიკულიტი; დისკოზი; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოვნების, დაქვეითება; რეინოს დაავადება; ბრონქიტი, ბრონქიალური ასთმა; კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები; დიფუზური და კვანძოვანი ჩიყვი; საკვერცხეების ცისტა, მენსტრუალური ციკლის დარღვევა, ძვალსახსროვანი სისტემის ტრავმული დაზიანებები, თმის ცვენა და სხვა.

მობრძანდით აღმოსავლური მედიცინის ცენტრ "ნაუტილუსში"!

**მის.: ი. ჭავჭავაძის გამზ. N78**
**ტელ.: 899 55 28 87; 22-56-26; 23-56-26**
**ელ. ფოსტა: info@nautilus.ge**

## "დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი"-ს მოწვევით

2006 წლის 16 მაისიდან 23 მაისამდე ქ. თბილისში, გამაჯანსაღებელ ცენტრ "ნაუტილუსი"-ს ენდოსკოპიური და პლასტიკური ქირურგიის განყოფილების ბაზაზე, მსოფლიო სახელის მქონე ქირურგი ავიშაი ვეინბერგერი ჩაატარებს შემდეგი სახის ოპერაციებს:

- სახის კანის მცირე მოცულობის დაჭიმვა, ღაბაბის კორექციით

(40 წლამდე ასაკის პაციენტებში)

- სარძევე ჯირკვლის გადიდება სილიკონის პროთეზით
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა
- სახის კანის კლასიკური დაჭიმვა + ზედა და ქვედა ქუთუთოს პლასტიკა + საკუთარი ცხიმის ინექციები
- ცხვირის პლასტიკური ოპერაციები
- დეფორმული და დიდი ზომის ყურების პლასტიკა
- ქუთუთოების პლასტიკა + წარბების აწევა
- სარძევე ჯირკვლის დაპატარავება
- სარძევე ჯირკვლის აწევა
- ლიპოსაქცია (ცხიმის ამოტუმბვა)
- შუბლის დაჭიმვა
- დაკიდებული მუცლის პლასტიკა
- მინიაბდომინოპლასტიკა (მუცლის ქვედა ნაწილის პლასტიკა)
+ ლიპოსაქცია
- ტუჩების გადიდება
- კანის ნაოჭების კორექცია
- ნიკაპის გადიდება პროთეზით
- სახის დაჭიმვა
- სახის დაჭიმვა (უფრო დიდი მოცულობის)
- კონტურული პლასტიკა ცხიმის ინექციებით

ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ ტელეფონებზე: 893 60 30 06
893 65 38 39

## განცხადება

1. ორგანიზაციას სარეალიზაციოდ გამოაქვს გზების, ბაღებ-ის, ქუჩების სანათების მაღალი ხარისხის, 2006 წლის აპრილის თვეში იმპორტირებული სარანსკის (რუსეთის) წარმოების ნათურები:

- ДРЛ 250 ვატი
- ДРЛ 400 ვატი
- ДРЛ 700 ვატი
- ДРЛ 1000 ვატი
- ვარვარა 220X500 ვატი
- ლუმინისცირებული ლდ 40-1

2. ორგანიზაცია მიიღებს მონაწილეობას ტენდერში კვოტირების მეთოდით შემდეგი ნაწარმის შესყიდვისათვის:

- ნათურები სხვადასხვა
- ელექტრო და კავშირის სადენები, კაბელები
- ელძრავის დასახვევი ემალსადენი
- სხვადასხვა სანათები

საკონტაქტო ტელ.: 22-15-93
შპს "ნეონი" ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 74 ა IV სართული



**გაიხსნა ახალი ქართულენოვანი საძიებო სისტემა. გვესტუმრეთ და მიიღეთ თქვენთვის საჭირო ინფორმაცია**

ვებ კატალოგი, ახალი ამბები, ინტერნეტ რადიო, ინტერნეტ TV, გურმანი, sms-ების უფასო გაგზავნა, ონლაინ თამაშები, Chat, უფასო პროგრამები, მისალოცი ბარათების გაგზავნა და სხვ.

Call Center

ჩვენი დახმარებით თქვენი ბიზნესი იქნება წარმატებული



tel: (955 32) 50 66 55

www.cc.ge


## საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2006 წლის 3 ივნისის N121 გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნებული "სატენდერო მოწვევის" განცხადებებში შესწორებების შეტანის შესახებ

I. თბილისი-კოჯორი-წალკა-ნინოწმინდა შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე 32 კმ - 50 კმ (18 კმ) ნომერი: SLRP/CW/ICS-01 სატენდერო მოწვევაში

პუნქტი 1-ში "დიჯი მარკეტში" 2004 წლის 7 ოქტომბერს" ნაცვლად უნდა იყოს: "დიჯი მარკეტში" 2005 წლის 5 მაისს".

პუნქტი 3-ში "შესრულების ვადა 15 თვე" ნაცვლად უნდა იყოს: "შესრულების ვადა 17 თვე".

პუნქტებში 5 და 10-ში: "უფროსის მოადგილე ბ-ნ გია დიასამიძესთან" ნაცვლად უნდა იყოს: "სამმართველოს უფროსთან შაქრო ხალვაშთან".

პუნქტი 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საკვალიფიკაციო მონაცემები მოიცავს:

1) სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ფასის 1.5 კოეფიციენტს;

II) პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ორი ანალოგიური სამუშაო შესრულებული;

III) დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით".

პუნქტი 7-ში "საიდენტიფიკაციო კოდი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი";

"სატენდერო მოსაკრებელი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"სატენდერო მოსაკრებელი გზების დეპარტამენტისათვის".

პუნქტი 9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, 43.000 ლარის ოდენობით ან ეკვივალენტი.

II. ზუგდიდი-ანაკლია შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე კმ 1-კმ 35 (34 კმ) ნომერი SLRP/CW/ICB-09 სატენდერო მოწვევაში

პუნქტი 1-ში "დიჯი მარკეტში" 2004 წლის 7 ოქტომბერს" ნაცვლად უნდა იყოს: "დიჯი მარკეტში" 2005 წლის 5 მაისს".

პუნქტი 5 და 10-ში "უფროსის მოადგილე ბ-ნ გია დიასამიძესთან" ნაცვლად უნდა იყოს:

"სამმართველოს უფროსთან შაქრო ხალვაშთან".

პუნქტი 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საკვალიფიკაციო მონაცემები მოიცავს:

1) სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ფასის 1.5 კოეფიციენტს;

II) პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ორი ანალოგიური სამუშაო შესრულებული;

III) დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით".

პუნქტი 7-ში "საკვალიფიკაციო კოდი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი".

"სატენდერო მოსაკრებელი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"სატენდერო მოსაკრებელი გზების დეპარტამენტისათვის".

პუნქტი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სატენდერო დოკუმენტები უნდა მოწოდებული იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 26 ივლისის დღის 12 საათისა. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას 2006 წლის 26 ივლისის დღის 12 საათზე".

პუნქტი 9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, 84.000 ლარის ოდენობით ან ეკვივალენტი.

III. ჩოლაბაურის ხიდი-თერჯოლა-ტყიბული შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე 0 კმ-29 კმ ნომერი SLRP/CW/ICB-10 სატენდერო მოწვევაში

პუნქტი 1-ში "დიჯი მარკეტში" 2004 წლის 7 ოქტომბერს" ნაცვლად უნდა იყოს: "დიჯი მარკეტში" 2005 წლის 5 მაისს".

პუნქტები 5 და 10-ში "უფროსის მოადგილე ბ-ნ გია დიასამიძესთან" ნაცვლად უნდა იყოს: "სამმართველოს უფროსთან შაქრო ხალვაშთან".

პუნქტი 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საკვალიფიკაციო მონაცემები მოიცავს:

I) სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ფასის 1.5 კოეფიციენტს;

II) პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ორი ანალოგიური სამუშაო შესრულებული;

III) დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით".

პუნქტი 7-ში "საიდენტიფიკაციო კოდი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი".

"სატენდერო მოსაკრებელი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"სატენდერო მოსაკრებელი გზების დეპარტამენტისათვის".

პუნქტი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სატენდერო დოკუმენტები უნდა მოწოდებული იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 31 ივლისის დღის 15 საათისა. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას 2006 წლის 31 ივლისს, დღის 15 საათზე".

პუნქტი 9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, 115.000 ლარის ოდენობით ან ეკვივალენტი".

IV. საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთი შიდასახელმწიფოებრივი გზის მონაკვეთზე კმ 18-კმ 72 (53 კმ) ნომერი: SLRP/CW/ICB-13 სატენდერო მოწვევაში

პუნქტი 1-ში "დიჯი მარკეტში" 2004 წლის 7 ოქტომბერს" ნაცვლად უნდა იყოს: "დიჯი მარკეტში" 2005 წლის 5 მაისს".

პუნქტი 3-ში "შესრულების ვადა 15 თვე" ნაცვლად უნდა იყოს:

"შესრულების ვადა 17,7 თვე".

პუნქტები 5 და 10-ში "უფროსის მოადგილე ბ-ნ გია დიასამიძესთან" ნაცვლად უნდა იყოს: "სამმართველოს უფროსთან შაქრო ხალვაშთან".

პუნქტი 6 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საკვალიფიკაციო მონაცემები მოიცავს:

I) სამშენებლო სამუშაოების მოცულობის საშუალო წლიური მაჩვენებელი უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში უნდა შეადგენდეს სატენდერო წინადადების ფასის 1.5 კოეფიციენტს;

II) პრეტენდენტს უნდა ჰქონდეს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ორი ანალოგიური სამუშაო შესრულებული;

III) დოკუმენტურ დადასტურებას, რომ პრეტენდენტი არ არის ჩართული რაიმე სასამართლო საქმეში მის გაკოტრებასთან, რეორგანიზაციასთან ან ლიკვიდაციასთან დაკავშირებით".

პუნქტი 7-ში "საიდენტიფიკაციო კოდი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი".

"სატენდერო მოსაკრებელი"-ს ნაცვლად უნდა იყოს:

"სატენდერო მოსაკრებელი გზების დეპარტამენტისათვის".

პუნქტი 8 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"სატენდერო დოკუმენტები უნდა მოწოდებული იქნეს ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს 2006 წლის 31 ივლისის დღის 18 საათისა. ტენდერის ელექტრონული საშუალებებით ჩატარება არაა დაშვებული. დაგვიანებული სატენდერო წინადადებები არ მიიღება. სატენდერო წინადადებები გაიხსნება ქვემოთ მითითებულ მისამართზე, იმ პრეტენდენტების წარმომადგენლების თანდასწრებით, რომლებიც გადაწყვეტენ პერსონალურად დაესწრონ ტენდერის გახსნას 2006 წლის 31 ივლისს, დღის 18 საათზე".

პუნქტი 9 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უსაფრთხოების საბანკო გარანტია, 149.000 ლარის ოდენობით ან ეკვივალენტი".

## About the amendments made by the Ministry Of Economic Development of Roads Department of Georgia on "Tender Invitation" published in newspaper "24 Hours" on 3 June 2006:

1 Tbilisi-Kojori-Tsalka-Ninotsminda secondary road 32km-50km(18km) segment The number of the tender invitation: SLRP/CW/ICB-01

1-st point: Instead of "In DgMarket" 7 October 2004 must be "In DgMarket" 5 may 2005
3-rd point: Instead of "Contract period 15 months" must be "Contract period 17 months"

5-th and 10-th points: Instead of "with deputy Mr. Gia Diasamidze" must be "with Deputy Head of Tender Directorate Mr .Shakro Khalvashi"
6-th point: Totally changes and must be according to: Qualification data contains:

- qualified bidders average annual turnover of road costruction or road rehabilitation work, during the last five years should be not less than 1.5 times the amount of the Bidder's bid of this contract

- Bidder should have performed at least two similar contracts in the last five years
- Documentary proof that bidder is not involved in any litigation in respect of its bankruptcy, readjustment or liquidation. No margin of preference will be given to domestic contractors.

7-th point: Instead of "dentification Code" must be: "Budget Income Treasury Code" Instead of "Tender Fee" must be: "Tender fee for Road Department"

9-th point: "All bids shall be accompanied by a Bid Security of 43.000 (Fourty Three Thousand) Georgian Lari or equivalent.

//. Zugdidi-Anaklia secondary road 1 km-35km (34km) segment The number of the tender invitation: SLRP/CW/ICB-09

1-st point: Instead of "In DgMarket" 7 October 2004 must be "In DgMarket" 5 may 2005

5-th and 10-th points: Instead of "with deputy Mr. Gia Diasamidze" must be "with Deputy Head of Tender Directorate Mr .Shakro Khalvashi"

6-th point: Totally changes and must be according to: Qualification data contains:
- qualified bidders average annual turnover of road costruction or road rehabilitation work, during the last five years should be not less than 1.5 times the amount of the Bidder's bid of this contract

- Bidder should have performed at least two similar contracts in the last five years
Documentary proof that bidder is not involved in any litigation in respect of its bankruptcy,

readjustment or liquidation. No margin of preference will be given to domestic contractors.
7-th point: Instead of "dentification Code" must be: "Budget Income Treasury Code" Instead of "Tender Fee" must be: "Tender fee for Road Department"

8-th point: Bids must be delivered to the address below not later than 12:00 hours on 26-th of July 2006. Electronic bidding shall not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend personally at the address below at 12:00 hours 26-th of July 2006.

9-th point: "All bids shall be accompanied by a Bid Security of 84.000 (Eighty Four Thousand) Georgian Lari or equivalent.

III Cholabauri Bridge- Terjola-Tkibuli secondary road 0km-29km segment The number of the tender invitation: SLRP/CW/ICB-10

1-st point: Instead of "In DgMarket" 7 October 2004 must be "In DgMarket" 5 may 2005

5-th and 10-th points: Instead of "with deputy Mr. Gia Diasamidze" must be "with Deputy Head of Tender Directorate Mr .Shakro Khalvashi"
6-th point: Totally changes and must be according to: Qualification data contains:
- qualified bidders average annual turnover of road costruction or road rehabilitation work, during the last five years should be not less than 1.5 times the amount of the Bidder's bid of this contract
- Bidder should have performed at least two similar contracts in the last five years
Documentary proof that bidder is not involved in any litigation in respect of its bankruptcy,
readjustment or liquidation. No margin of preference will be given to domestic contractors.
7-th point: Instead of "dentification Code" must be: "Budget Income Treasury Code" - Instead of "Tender Fee" must be: "Tender fee for Road Department"
8-th point: Bids must be delivered to the address below not later than 15:00 hours on 31-th of July 2006. Electronic bidding shall not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend personally at the address below at 15:00 hours 31-st of July 2006.
9-th point: "All bids shall be accompanied by a Bid Security of 115.000 (One Hundred and Fifteen Thousand ) Georgian Lari or equivalent.
IV. Sajavakho-Chokhatauri-Ozurgeti-Kobuleti road 18km-72km(53km) segment The number of the tender invitation: SLRP/CW/ICB-13
1-st point: Instead of "In DgMarket" 7 October 2004 must be "In DgMarket" 5 may 2005
3-rd point: Instead of "Contract period 15 months" must be "Contract period 17,7 months"
5-th and 10-th points: Instead of "with deputy Mr. Gia Diasamidze" must be "with Deputy Head of Tender Directorate Mr .Shakro Khalvashi"
6-th point: Totally changes and must be according to: Qualification data contains:
- qualified bidders average annual turnover of road costruction or road rehabilitation work, during the last five years should be not less than 1.5 times the amount of the Bidder's bid of this contract
- Bidder should have performed at least two similar contracts in the last five years Documentary proof that bidder is not involved in any litigation in respect of its bankruptcy, readjustment or liquidation. No margin of preference will be given to domestic contractors.
7-th point: Instead of "dentification Code" must be: "Budget Income Treasury Code" Instead of "Tender Fee" must be: "Tender fee for Road Department"
8-th point: Bids must be delivered to the address below not later than 18:00 hours on 31 -th of July 2006. Electronic bidding shall not be permitted. Late bids will be rejected. Bids will be opened in the presence of the bidders' representatives who choose to attend personally at the address below at 18:00 hours 31 -th of July 2006.
9-th point: "All bids shall be accompanied by a Bid Security of 149.000 (One Hundred Forty Nine Thousand) Georgian Lari or equivalent.

24 საათი B

© გაზეთი 24 საათი

# ბიზნესი

თქვენი რეკლამა "ბიზნესში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86
899 26 20 19

გამოცემის ოფიციალური პარტნიორები:

უცხოური კომპანიები საარბიტრაჟო სასამართლოში გვიჩივიან

"შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი" ახალი კრედიტის გამოყოფის საკითხს განიხილავს

საქართველოს მოსახლეობა 79.8 ათასი კაცით გაიზარდა B2

ფეხბურთი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი

მსოფლიო ენერგეტიკაში ნავთობის წილი შემცირდება

პროგრესი პარიზის კლუბისა და რუსეთის ურთიერთობებში B3

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | ავსტრალიური დოლარი | AUD | 1,3133 |
| 1 | აზერბაიჯანული მანათი | AZN | 1,9835 |
| 1 | არაბული დირჰამი | AED | 0,4839 |
| 1 | აშშ დოლარი | USD | 1,7774 |
| 1000 | ბელორუსიული მანათი | BYR | 0,8296 |
| 1 | ბულგარული ლეი | BGL | 1,1430 |
| 1 | დანიური კრონი | DKK | 0,2999 |
| 1 | ეგვიპტური გირვანქა | EGP | 0,3087 |
| 1 | ევრო | EUR | 2,2350 |
| 10 | ესტონური კრონი | EEK | 1,4288 |
| 1000 | თურქმენული მანათი | TMM | 0,3418 |
| 1 | თურქული ლირა | TRY | 1,0999 |
| 10 | იაპონური იენი | JPY | 0,1548 |
| 1 | ინგლისური გირვანქა ს | GBP | 3,2765 |
| 1000 | ირანული რეალი | IRR | 0,1941 |
| 10 | ისლანდიური კრონი | ISK | 0,2374 |
| 1 | ისრაელის სეკელი | ILS | 0,3995 |
| 1 | კანადური დოლარი | CAD | 1,5854 |
| 1 | ლატვური ლატი | LVL | 3,1853 |
| 10 | ლიტვური ლიტი | LTL | 6,4904 |
| 10 | მოლდოვური ლეი | MDL | 1,3334 |
| 1 | ნორვეგიული კრონი | NOK | 0,2833 |
| 1 | პოლონური ზლოტი | PLZ | 0,5506 |
| 10000 | რუმინული ლეი | ROL | 0,5971 |
| 1 | რუსული რუბლი | RUB | 0,0657 |
| 1 | სინგაპურული დოლარი | SGD | 1,1177 |
| 100 | სომხური დრამი | AMD | 0,4225 |
| 1 | ტაჯიკური რუბლი | TJR | 0,5439 |
| 1000 | უზბეკური სუმი | UZS | 1,4535 |
| 10 | უკრაინული გრივნა | UAG | 3,5516 |
| 100 | უნგრული ფორინტი | HUF | 0,8117 |
| 1 | ქუვეითური დოლარი | KWD | 6,1468 |
| 10 | ყაზახური ტენგე | KZT | 0,1500 |
| 10 | ყირგიზული სომი | KGS | 0,4411 |
| 1 | შვედური კრონი | SEK | 0,2418 |
| 1 | შვეიცარული ფრანკი | CHF | 1,4332 |
| 1 | ჩეხური კრონი | CZK | 0,0786 |
| 1 | ჩინური იუანი | CNY | 0,2221 |
| 1 | ჰონ-კონგური დოლარი | HKD | 0,2289 |




# მშენებლობის ბუმი რეგიონებისკენ ინაცვლებს

## პრეზიდენტი სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდა

ნინო ნატროშვილი

*მშენებლობა მომგებიან ეკონომიკურ დარგებს შორისაა. სტატისტიკური მონაცემებით, გასულ წელს მშენებლობის სექტორის 22,3-პროცენტიანი ზრდა აღინიშნა და ასეთი მაღალი მაჩვენებლი არც ერთ სხვა საწარმოო ბიზნესსექტორს არ ჰქონდა. ალბათ, ამითაც არის განპირობებული ის, რომ მშენებლობა ეკონომიკის ერთადერთი დარგია, რომლის დარეგულიერების მიზნით კოდექსი იწერება.*

**"მშენებლობის წილი ქართულ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ტურისტული ობიექტების გარდა, უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლებიც. ამის შესაძლებლობები არის და ამის სურვილი თანდათან ჩნდება. ნელი ტემპით დაიწყო მშენებლობები ქუთაისში, გორში, რუსთავში. რეგიონებში უნდა დაიწყოს მშენებლობა. არის დიდი მასშტაბები, რასაც მთელი სახელმწიფო აპარატის სერიოზული გადაწყობა სჭირდება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა შეხვედრაზე.



B4

# სარკინიგზო გადაზიდვები იზრდება

*საქართველოს რკინიგზაში 2006 წლის იანვარ-მაისის თვეების სატვირთო გადაზიდვების მონაცემები შეჯამდა.*
*სატვირთო გადაზიდვების ხუთი თვის მაჩვენებლებით, 2006 წლის იანვარი-მაისის პერიოდში საქართველოს რკინიგზაში, წინა წელთან შედარებით, სატვირთო გადაზიდვების 40,5-პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა. გადაზიდულია სულ 9 მლნ. 268 ათას ტონა ტვირთი, რაც 2005 წლის ანალოგიურ პერიოდს 2 მლნ. 671 ათასი ტონით აღემატება.*

- **2005 წლის იანვარ-მაისში სულ გადაზიდული ტვირთების საერთო რაოდენობამ 6 მლნ. 597 ათასი ტონა შეადგინა.**
- **საქართველოს რკინიგზა სახელმწიფო ბიუჯეტში ერთ-ერთ მსხვილ გადამხდელად რჩება, 2006 წლის ხუთი თვის პერიოდში ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით 23 მლნ. 672 ათასი ლარია შეტანილი.**



B4

# სამმაგი ჩემპიონის გამარჯვების ფორმულა

## უილიამ დავიდსონის მინის და სპორტული სამყარო

გოჩა ქიმუცაძე

*83 წლის, 3,5 მილიარდი დოლარის მფლობელ უილიამ დავიდსონს ბოლო დრომდე მხოლოდ ბიზნესწრეებში იცნობდნენ. სიტუაცია 2004 წელს შეიცვალა, როცა პირველად ისტორიაში NBA-ს (კალათბურთის ნაციონალური ასოციაცია), NHL-ის (ჰოკეის ნაციონალური ლიგა) და WNBA-ს (ქალთა კალათბურთის ნაციონალური ასოციაცია) რეგულარული ჩემპიონატები ერთი ადამიანის, დავიდსონის მფლობელობაში მყოფმა კლუბებმა მოიგო. ასე ალაპარაკდა მთელი მსოფლიო მინის წარმოებით გამდიდრებული ადამიანის გამარჯვების ფორმულაზე.*

- **მინის იმპერია**
- **თავმდაბალი მილიარდერი**
- **დავიდსონის ფისტონები**
- **ყინული და ქალები**



B3

## საქართველოს მოსახლეობა 79.8 ათასი კაცით გაიზარდა

სტატისტიკის დეპარტამენტმა დაასრულა მოსახლეობის 2005 წლის ბუნებრივი და მექანიკური მოძრაობის ამსახველი პირველადი მონაცემების დამუშავება. დეპარტამენტის ხელთ არსებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ქვეყნის მოსახლეობა 79.800 კაცით არის გაზრდილი.

მიმდინარე წელს გაერო-ს ევროპის ეკონომიკური კომისიისა (UNECE) და TACIS-ის პროექტების ფარგლებში საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტში დემოგრაფიული სტატისტიკის მიმდინარე მეთოდოლოგიური სამუშაოების შესასწავლად მოვლინებულ იქნენ ექსპერტები, რომელთაც ურთიერთდამოუკიდებლად ჩაატარეს ამ სფეროს ექსპერტიზა. ორივე მისიის მიერ დემოგრაფიული სტატისტიკის მეთოდოლოგიაში აღმოჩენილი იქნა იდენტური ხარვეზები და დაისახა ღონისძიებები სიტუაციის გამოსასწორებლად.

ერთ-ერთ რეკომენდაციაზე დაყრდნობით, სტატისტიკის დეპარტამენტმა ქვეყანაში მიგრაციული ნაკადების შესაფასებლად გამოიყენა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის მონაცემებიც, სადაც ასახულია ქვეყანაში წლის განმავლობაში შემოსულთა და გასულთა რიცხოვნობა მოქალაქეობის მიხედვით. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე 2004-2005 წლებში ქვეყანაში საქართველოს მოქალაქეების დადებითი მიგრაციული ტენდენციები შეინიშნება: 2004 წელს მიგრაციულმა სალდომ - 5,5 ათასი, ხოლო 2005 წელს - 76,3 ათასი კაცი შეადგინა (ანუ ამ წლების განმავლობაში ქვეყანაში შემოვიდა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე გავიდა), რაც შესაბამის წლებში ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობის ზრდის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

საერთაშორისო და ქართველი ექსპერტების ერთობლივი მუშაობის საფუძველზე საინტერესო სურათი იხატება 2004-2005 წლებისათვის. 2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე 4401,3 ათასი კაცი შეადგინა, რაც 2005 წლის შესაბამის პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 79,8 ათასი კაცით, ანუ 1,8 პროცენტით მეტია. ამასთან, ქვეყნის მოსახლეობის 52,5 პროცენტი (2310,4 ათასი კაცი) - ქალაქად, ხოლო 47,5 პროცენტი (2090,9 ათასი კაცი) სოფლად ცხოვრობს.

**მოსახლეობის რიცხოვნობა**
**2004-2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**
(ათასი კაცი)

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსა და სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე სტატისტიკის დეპარტამენტი აქვეყნებს მონაცემებს 2004-2005 წლებში დაბადებულთა და გარდაცვლილთა რიცხოვნობის შესახებ:

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, 2005 წელს დაბადებულთა რიცხოვნობამ საქართველოში, წინა საანგარიშო პერიოდთან შედარებით, დაიკლო 6,2 პროცენტით, თუმცა მოკვდაობის უფრო მნიშვნელოვანი კლების ფონზე მოსახლეობის ბუნებრივმა მატებამ პირველად ბოლო 7 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ - 1999 წელს დაფიქსირებულ მაჩვენებელს (1511) გადააჭარბა და 3528 შეადგინა.

მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდამ შესაბამისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის რეგიონებში. მოსახლეობის ყველაზე დიდი მატება 2005 წლის 1 იანვართან შედარებით აღინიშნება ქვემო ქართლის მხარეში - 2,6 პროცენტი, სამცხე-ჯავახეთში - 2,5 პროცენტი სამეგრელო-ზემო სვანეთში - 2,3 პროცენტი და ქ. თბილისში - 2,2 პროცენტი:

**რეგიონების მიხედვით**
**2004-2006 წლის 1 იანვრის მდგომარეობით**
(ათასი კაცი)

## ონიშჩენკო ქართულ ღვინოსთან ბრძოლას განაგრძობს

რუსეთის მთავარი სანიტარული ექიმი გენადი ონიშჩენკო რუსეთის უზენაესი სასამართლოსთვის იმ მასალების გადაცემას აპირებს, რომლებიც ქართული ალკოჰოლური პროდუქციის წინააღმდეგ საქმის შეწყვეტის შესახებ მოსკოვის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებას ეხება. რუსული საინფორმაციო საშუალებების ცნობით, ონიშჩენკო მოსკოვის ოსტანკინოს რაიონული სასამართლოს მოსამართლეს პროცესუალური ნორმების დარღვევაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ნაჩქარევი და ტენდენციური განხილვის შედეგად მან შეწყვიტა საქმის წარმოება ქართული წარმოების ღვინის სუროგატის ოთხი მსხვილი პარტიის შესახებ.ონიშჩენკო აღნიშნავს, რომ ოსტანკინოს რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება არის "ტენდენციური და ანგარებიანი". მისი თქმით, წუნდებული პროდუქცია ამოღებული უნდა იქნას კანონიერი გზით. რუსეთის მთავარი სანიტარი აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ აუცილებლად აცნობებს უზენაეს სასამართლოს. ამასთან, გაკეთდება ყველაფერი მოპასუხის დასასჯელად და სამეწარმეო საქმიანობისგან ჩამოსაშორებლად. გენადი ონიშჩენკოს გადაწყვეტილებით, რუსეთში ქართული და მოლდავური წარმოების ღვინის შეტანა-რეალიზაცია მიმდინარე წლის 27 მარტს აიკრძალა. აკრძალვის მიზეზად პროდუქციაში პესტიციდების შემცველობა დასახელდა. **ინტერპრესნიუსი**

# უცხოური კომპანიები საარბიტრაჟო სასამართლოში გვიჩივიან

### ფინანსთა მინისტრი კი ეკონომიკურ ზრდაზე საუბრობს

ნინო ნატროშვილი

საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში ოთხი უცხოური კომპანია უჩივის. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ სახელმწიფო კანცელარიაში მთავრობის სხდომის მსვლელობისას განაცხადა. მისი თქმით, ამ დროისათვის, საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოში განსახილველად მზადაა "რაიფაზენბანკის", "ტრამექსის", "არეს ინტერნეიშენალის" და "იტერას" სარჩელი. პირველ სამ შემთხვევაში საქმე ეხება 30-40 მილიონი დოლარის დავალიანებას, რომელიც ამ კომპანიების მიმართ სახელმწიფო ბიუჯეტს დაუგროვდა.

რაც შეეხება "იტერას" ვალს, მის წინაშე გაზის საფასურის დავალიანება 6 მილიონ დოლარს შეადგენს. ამ დროისათვის ხელისუფლება სარეზერვო ფონდიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის საკითხს განიხილავს, ეს თანხა იუსტიციის სამინისტრომ უნდა მიიღოს და არბიტრაჟში გამართული დავების განხორციელება და მათი კოორდინაცია უზრუნველყოს. ამისთვის გამოყოფილია 40 ათასი ლარი. ეს სახსრები სამინისტროს 2007 წლის ბიუჯეტში იქნება გათვალისწინებული. საქართველოს ინტერესების საარბიტრაჟო სასამართლოში დასაცავად საუკეთესო უცხოური იურიდიული ფირმები არიან დაქირავებული. კიდევ ერთი საკვანძო საკითხი, რომელიც მთავრობის სხდომაზე განიხილეს, 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებები იყო.

2006 წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილებები კიდევ ერთხელ შევა, - ამის შესახებ ფინანსთა მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს 77 მილიონი ლარი დაემატება, რაც, საგადასახადო (63 მილიონი ლარი) და არასაგადასახადო (14 მილიონი ლარი) შემოსავლებიდან მოზიდულმა დამატებითმა ფინანსურმა რესურსებმა განაპირობა. მინისტრის განცხადებით, აღნიშნული თანხა უწყებების მიხედვით უკვე გაწერილია, კერძოდ, 15,5 მილიონი ლარი თბილისის, ხოლო 9 მილიონი ლარი კი რეგიონების ბიუჯეტებს ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისთვის დაერიცხება. 3 მილიონი ლარი იმავე მიზნისთვის საგზაო დეპარტამენტს ერგება, 5 მილიონი კი - საგზაო ფონდების პროექტებს თანადაფინანსებისთვის.

ყველაზე მსხვილი ბენეფიციარი თავდაცვის სამინისტროა, რომლისთვისაც 17 მილიონი ლარია განკუთვნილი. როგორც მინისტრმა განაცხადა, აღნიშნულ ცვლილებას ბიუჯეტში პარლამენტს განსახილველად დღეს წარუდგენენ. საქართველოში მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდა ფიქსირდება, - განაცხადა მთავრობის სხდომაზე ფინანსთა მინისტრმა ლექსო ალექსიშვილმა. მინისტრის თქმით, 2006 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელმა 8,5 პროცენტს მიაღწია, რაც 2.9 პროცენტით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით.

"ეს სერიოზული სიგნალია იმისა, რომ საქართველოს ეკონომიკა ინტენსიურად ვითარდება," - განაცხადა მან. მინისტრის მტკიცებით, ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთი მაჩვენებელია ის ცვლილებები, რომლებიც ქვეყნის მთავარ ბიუჯეტში ფიქსირდება. შეგახსენებთ, რომ 2006 წლის ბიუჯეტის პირველადი გეგმის მიხედვით, საშემოსავლო ნაწილი 3 068 000 000 ლარით, ხოლო სახარჯო ნაწილი კი 3 285 000 000 ლარით განისაზღვრებოდა, ბიუჯეტში პირველი ცვლილება 2006 წლის მაისში შეიტანეს. მაშინ ხარჯვითი ნაწილს 178 მილიონი ლარი დაემატა, ეს კი საგადასახადო და არასაგადასახადო შემოსავლებიდან დამატებით მოზიდული სახსრების საფუძველზე განხორციელდა. მომდევნო ცვლილებას ბიუჯეტში, სავარაუდოდ, მომავალ კვირას შეიტანენ, რომლის მიხედვითაც, ხარჯვითი ნაწილი 77 მილიონი ლარით გაიზრდება.

# აერობუსი "თბილისი"

ლიკა ჯობაძე




"ავსტრიის ავიახაზების ჯგუფი" ტრადიციებს არ ღალატობს და ახალ თვითმფრინავს საქართველოს დედაქალაქის სახელს არქმევს. აერობუს "თბილისის" ოფიციალური პრეზენტაცია გუშინ დედაქალაქის აეროპორტში საზეიმო ვითარებაში შედგა. "ავსტრიის ავიახაზები" თავის პარტნიორ ქვეყნებში თვითმფრინავებს ქალაქების, პროვინციებისა და ორიენტირების სახელებს არქმევს. ამ შემთხვევაში კი ჯერი საქართველოზე მიდგა და გუშინ ახალი აერობუსი A-319 ავსტრიის ავიახაზების ვიცე-პრეზიდენტმა ქრისტიან შმიდტმა "თბილისის" სახელით მონათლა.

"ავსტრიის ავიაზახების ჯგუფი" ამ ეტაპზე თბილისსა და ვენას შორის კვირაში სამ რეისს, ხოლო საქართველოს ავიახაზებთან პარტნიორობით კი სულ ხუთ რეისს ასრულებს. გაფრენა თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან ყოველ სამშაბათს, ხუთშაბათსა და შაბათს 04:45 საათზე ხდება. დამატებითი ახალი რეისი 3 ივლისიდან დაინიშნება.

"ყველა ეს რეისი თბილისსა და ვენას შორის განსაზღვრული მარშრუტით მოგზაურებს სხვადასხვა შესაძლებლობებს სთავაზობს, უფრო კონკრეტულად კი თბილისში, თქვენი კარის ზღურბლთან მსოფლიოს საზღვრებს გიხსნით.

ჩვენ ტრადიცია არც ამ შემთხვევაში დავარღვიეთ და ახალი ა-319 აერობუსი "თბილისი" საზეიმო ვითარებაში მოვნათლეთ," - განაცხადა "ავსტრიის ავიახაზების ჯგუფის" ვიცე-პრეზიდენტმა ქრისტიან შმიდტმა.

ნათლობის ცერემონიალს, მოწვეულ სტუმრებთან ერთად, საქართველოს პირველი ლედი სანდრა რულოვსიც დაესწრო. "მოხარული ვარ, რომ "ავსტრიის ავიახაზებმა" საკმაოდ დიდ კონკურენციას გაუძლო და ასეთ წარმატებებს მიაღწია საქართველოს ბაზარზე, რასაც, სამწუხაროდ, ვერ ვიტყოდით ჰოლანდიურ კომპანიაზე. ის, რომ ახალ თვითმფრინავს თბილისის სახელი დაერქვა, საქართველოსთვის დიდი პატივია. დარწმუნებული ვარ, საქართველოსა და ავსტრიის კულტურული ურთიერთობა კიდევ უფრო გამყარდება," - აცხადებს პირველი ლედი. ღონისძიების დასასრულს ავსტრიულმა კომპანიამ სანდრა რულოვსის საქველმოქმედო ორგანიზაციას საჩუქრად ბილეთიც გადასცა.

# "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი" ახალი კრედიტის გამოყოფის საკითხს განიხილავს

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" (BSTDB) პრეზიდენტს ჰაირეტინ კაპლანს შეხვდა.



რომან გოცირიძემ, რომელიც საქართველოს მხრიდან "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მმართველია, ისაუბრა საქართველოს საბანკო სისტემაში არსებულ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ საფინანსო სექტორი ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული და მზარდი სფეროა, რის გამოც, გასული წლის მაჩვენებლების მიხედვით, საერთაშორისო ექსპერტებმა 2005 წელი საქართველოში "საბანკო ბუმის" წლად შეაფასეს. საუბარი ასევე შეეხო შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონული თანამშრომლობის საკითხებს და BSTDB-ის როლს ამ პროცესების შემდგომ განვითარებაში.

"შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" პრეზიდენტის ჰაირეტინ კაპლანის განცხადებით, პრეზიდენტის პოსტზე დანიშვნის შემდეგ ეს საქართველოში მისი პირველი ვიზიტია, "**რომლის მიზანია ქვეყანაში არსებული საფინანსო-ეკონომიკური მდგომარეობის შესწავლა და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ბანკის მიერ ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისათვის, მათ შორის - კომერციული ბანკებისათვის, ახალი საკრედიტო ხაზების გახსნის საკითხის განხილვა**".

რომან გოცირიძემ და ჰაირეტინ კაპლანმა მიმოიხილეს საქართველოში "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მიერ დაფინანსებული პროექტების მიმდინარეობის საკითხები.

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი რომან გოცირიძე "შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის" მიერ საბანკო სექტორისათვის გაცემულ სესხებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. მისი თქმით, **"BSTDB-ს განზრახული აქვს საქართველოში საკრედიტო პორტფელის გაზრდა როგორც საბანკო, ისე სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და ტურიზმის სექტორში."**

"შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკმა" ჩამოყალიბების საორგანიზაციო და სამართლებრივი სტადიების გავლის შემდეგ, 1999 წლის პირველი ივნისიდან, ფინანსური ოპერაციების წარმოება დაიწყო. მთლიანობაში, აღნიშნულმა ბანკმა საქართველოში 40 მლნ აშშ დოლარის ოდენობის პროექტები დააფინანსა. სს "საქართველოს ბანკს", სს "თიბისი ბანკს", სს "გაერთიანებულ ქართულ ბანკს", სს "პროკრედიტბანკს", სსკბ "რესპუბლიკას" 32 მლნ აშშ დოლარის საკრედიტო ხაზები გაუხსნა. ამასთან, დააფინანსა ფოთის ნავთობტერმინალის რეკონსტრუქციის პროექტი 8 მლნ აშშ დოლარის მოცულობით.

## საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია საქმიან წრეებს ურჩევს

საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაცია საქმიან წრეებს მოუწოდებს, მართვის ევროპული სკოლის (ISM-ის) და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (STS-ის) მიერ გადამზადებული კვალიფიციური კადრებით დაინტერესდნენ. 100 უმუშევრის გადამზადება ფონდ "ღია საზოგადოება - საქართველოს" პილოტური პროექტის - უმუშევართა გადამზადებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა. ბიზნესმენთა ფედერაციაში დღეს პროექტის პირველი ეტაპი შეჯამდა.

როგორც "ღია საზოგადოება - საქართველოს" ეკონომიკური პროგრამების განვითარების მენეჯერმა მიხეილ კერვალიშვილმა განაცხადა, დღეს დასრულდა პროგრამის გადამზადების ექვსთვიანი კურსი, რომლის ფარგლებში 50-მა ადამიანმა შეიძინა საკუთარი ბიზნესის წამოწყების და მისი წარმატებული განვითარების კვალიფიკაცია, ხოლო 50 პირი არასამთავრობო ორგანიზაციების ფუნქციონირებისთვის საჭირო ცოდნას და უნარ-ჩვევებს დაეუფლა.

ექვსთვიანი კურსების დასრულების შემდეგ მონაწილეები მიიღებენ სპეციალურ სერტიფიკატებს, რომლებიც მათ კერძო სტრუქტურებში სამუშაოს მოძებნაში დაეხმარება. სასწავლო კურსების მონაწილეებს ასევე შეეძლებათ ISM-ის ექსპერტებთან ერთად, საკუთარი იდეების საფუძველზე მოამზადონ კვალიფიციური ბიზნეს-გეგმები. მათ შორის საუკეთესოებს საკრედიტო ფონდი დააფინანსებს, რომელიც, სავარაუდოდ, კომერციული ბანკების მონაწილეობით შეიქმნება. აღნიშნული პროგრამის იდეა ერთი წლის წინ გაჩნდა და ბიზნესმენთა ფედერაცია მის განხორციელებაში თავიდანვე აქტიურად ჩაერთო.

როგორც დღეს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი ისაკაძემ განაცხადა, ფედერაცია ამ პროექტთან თანამშრომლობას გააგრძელებს, ხელს შეუწყობს მის პოპულარიზაციას და ბიზნესმენებს ურჩევს, დაინტერესდნენ პროგრამის ფარგლებში გადამზადებული კვალიფიციური კადრებით. **ინტერპრესნიუსი**

## აგრარული კომიტეტი კანონპროექტებს მომავალ კვირას განიხილავს

პარლამენტის აგრარული კომიტეტი მომავალ კვირას მთავრობის მიერ შეტანილი კანონპროექტების პაკეტს განიხილავს. კომიტეტზე 7 კანონპროექტი - "სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლის შესახებ კანონში ცვლილებები," "სარეგისტრაციო მოსაკრებლის შესახებ", "სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ჯიშების გასავრცელებლად დაშვების, ხარისხიანი თესლისა და სარგავი მასალის შესახებ", "სანაშენე მეცხოველეობის შესახებ", "ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების დაცვის შესახებ", "საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" და "საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" განიხილება. **ჯი-ეიჩ-ენი**

## მთავრობა სანაშენე მეცხოველეობის შესახებ კანონის გაუქმებას მოითხოვს

საქართველოს მთავრობა სანაშენე მეცხოველეობის შესახებ კანონს ძალადაკარგულად სცნობს. პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ზურაბ შხვაცაბაიას განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი საქვეუწყებო დაწესებულება მეცხოველეობის საქმის სანაშენე დეპარტამენტი, რის გამოც კანონი შესაძლებელია გაუქმდეს. მისი თქმით, სანაშენე მეცხოველეობის შესახებ კანონი დღეისთვის უფუნქციოა, რადგან ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ საქართველოს კანონით სანაშენე მეცხოველეობის დარგში ლიცენზიები და ნებართვები აღარ გაიცემა. **ჯი-ეიჩ-ენი**

## ფეხბურთი და ფასიანი ქაღალდების ბაზარი

ამერიკელი და ნორვეგიელი ექსპერტებისაგან შემდგარმა ჯგუფმა დაადგინა, რომ ეროვნული ნაკრების დამარცხება ქვეყნის ფინანსურ ბაზარზე ცუდ გავლენას ახდენს. ამისათვის მათ გააანალიზეს მსოფლიო 39 საფეხბურთო ქვეყნის საფონდო ბირჟების ინდექსები 1973-დან 2004 წლის ჩათვლით მომხდარი ყველა მსხვილი საფეხბურთო მოვლენებისას და მათ შემდეგ. ანალიტიკოსთა აზრით, მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე ნაკრების დამარცხება ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ინდექსს 0,38 პროცენტით ამცირებს. მერვედ და მეოთხედფინალში დამარცხებას ინდექსის 0,49, ხოლო ნახევარფინალსა და ფინალში წაგებას ინდექსის 0,54 პროცენტით დაცემა მოჰყვება. ეს კი ნიშნავს, რომ ფასიანი ქაღალდების მფლობელები მილიარდობით დოლარს კარგავენ. მეცნიერთა აზრით, ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ საყვარელი გუნდის მარცხის შემდეგ ადამიანებს ამაოების განცდა ეუფლება, რაც საბოლოოდ ფინანსურად აისახება. აღსანიშნავია, რომ ნაკრების გამარჯვება ფინანსურ ბაზარზე საერთოდ არანაირ გავლენას არ ახდენს.

## 10 წელიწადში მილიონერთა რაოდენობა გაორმაგდა

კომპანიების Merrill Lynch-ის და Capgemini-ის ერთობლივი კვლევის შედეგების მიხედვით, 2005 წლის განმავლობაში მსოფლიოში მილიონერთა რაოდენობა 6,5 პროცენტით გაიზარდა და 8,7 მილიონ ადამიანს მიაღწია. სულ, მათი კაპიტალი 33,3 ტრილიონ დოლარს აღემატება. ამასთან, მკვლევარები აღნიშნავენ, რომ გასულ წელს 2004 წელთან შედარებით, როცა მილიონერთა რაოდენობამ 6,6 პროცენტით მოიმატა, ზრდის ტემპმა ოდნავ იკლო. მილიონერებად განსაკუთრებით სწრაფად ახლო აღმოსავლეთში ხდებიან. ნავთობის მაღალმა ფასებმა და სწრაფად მზარდმა ადგილობრივმა საფონდო ბაზრებმა ამ რეგიონის ქვეყნებში მილიონერთა რაოდენობა 10 პროცენტით, 300 ათას ადამიანამდე გაზარდა. ახლო აღმოსავლეთს ცოტათი ჩამორჩება აზიის და ლათინური ამერიკის მზარდი ეკონომიკის ქვეყნები და რუსეთი. აშშ-სა და ევროპაში კი მილიონერთა რაოდენობა საკმაოდ ნელა მატულობს. მკვლევართა ინფორმაციით, 2005 წელს ძალიან მოიმატა ზემდიდარი მილიონერების, რომელთა კაპიტალი 30 მილიონ დოლარს აჭარბებს, რაოდენობამ. მათმა რიცხვმა 85,4 ათასს მიაღწია, რაც 2004 წლის მაჩვენებელთან შედარებით 10 პროცენტით მეტია. ანალიტიკოსთა თქმით, ახალ მილიონერთა ინვესტიციები, ძირითადად, განვითარებად, მზარდი ბაზრის მქონე ქვეყნებში იყო მობილიზებული. ამერიკული და ევროპული ეკონომიკის განვითარების ტემპები კი შემოსავლის სწრაფად მიღების საშუალებას არ იძლევა. აღსანიშნავია, რომ კომპანიები Merrill Lynch-ი და ჩაპგემინი მილიონერებს 1996 წლიდან ითვლიან. იქიდან მოყოლებული, 10 წლის განმავლობაში, მათი რაოდენობა 4,5 მილიონიდან 8,7 მილიონამდე გაიზარდა, ანუ თითქმის გაორმაგდა.

## Nokia და Siemens-ი ერთობლივ პროექტზე მუშაობენ

კომპანია Nokia და Siemens-ი თანამშრომლობის შესახებ ოფიციალურ განცხადებას ავრცელებენ. კომპანიების წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ისინი მობილური ტელეფონების კავშირგაბმულობის მოწყობილობებს ერთობლიბად აწარმოებენ. გაერთიანების შედეგად, კომპანიები მსოფლიოში ყველაზე დიდ სატელეფონო კომპანიას შექმნიან, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ქსელურ მოწყობილობებს აწარმოებს. რაც შეეხება მობილურ ტელეფონების წარმოებას, ამას აღნიშნული პროგრამა ჯერ არ ითვალისწინებს. ექსპერტთა შეფასებების თანახმად გარიგება 2008 წლის 1 იანვრისთვის დასრულდება და მისი ღირებულება 25 მილიარდ ევროს შეადგენს. (31 მილიარდი დოლარი). ახალი კომპანია Nokia Siemens Networks-ის შტაბ-ბინა Nokia-ს სამშობლოში, ფინეთში განთავსდება. გაერთიანებულ ფირმას Nokia Networks-ის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ბერესფორდ უაილი უხელმძღვანელებს. წინასწარი მონაცემებით, გაყიდვების ყოველწლიური თანხა 16 მილიარდ ევროს (20,2 მილიარდ დოლარს) მიაღწევს. ამასთან ერთად, გაერთიანების შედეგად კომპანიებს 2010 წლისთვის 1,5 მილიარდი ევროს დაზოგვის შესაძლებლობაც მიეცემათ. ანალიტიკოსების შეფასებებით, კომპანიების თანამშრომლობამ შესაძლოა სამუშაო ადგილების გაუქმება გამოიწვიოს. ორივე კომპანიაში ამ ეტაპზე 60 ათასი ადამიანია დასაქმებული. უნდა აღინიშნოს, რომ მობილური კავშირგაბმულობის ქსელური მოწყობილობების მსოფლიო ბაზარზე კონსოლიდაციის ტენდენცია უკვე აშკარად შესამჩნევი ხდება. ასე, ფრანგულმა Alcatel-მა და ამერიკულმა Lucent Technologies-მა ანალოგიური ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება სულ ცოტა ხნის წინ გააფორმეს.

# სამმაგი ჩემპიონის გამარჯვების ფორმულა

პირველი გვერდიდან



### მინის იმპერია

ბილ დავიდსონი დაიბადა 1922 წლის 5 დეკემბერს, დაამთავრა დეტროიტის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გაბანკროტების სპეციალისტი იურისტის დიპლომი აიღო და შემდეგ მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა. ომიდან დაბრუნებულს ერთხანს იურიდიული პრაქტიკა ჰქონდა, 1955 წელს კი თავისი ნათესავის მიერ 23 წლით ადრე დაარსებულ მინის კომპანიაში გადავიდა, რომელიც გაბანკროტების პირას იმყოფებოდა და ბილის სპეციალიზაცია ძალიან სჭირდებოდა.

დავიდსონმა საქმეს თავი ბრწყინვალედ გაართვა, კომპანია, რომელსაც მოგვიანებით Guardian Industries ეწოდა, კრიზისიდან გამოიყვანა, 1957 წელს ხელში ჩაიგდო და მისი პრეზიდენტი გახდა.

გაპრეზიდენტებიდან სამი წლის შემდეგ ბილმა კომპანიის ყველა ვალი გაისტუმრა და დეტროიტში რესპექტაბელური ბიზნესმენის სახელი დაიგდო. Guardian Industries-ის მთავარი პროდუქტი იყო და არის ავტომობილის მინები, რაც სრულიად ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი აშშ-ს ავტომშენებლობის მექად აღიარებულ რეგიონში მდებარეობს. ცხადია, თანდათანობით კომპანიის მოღვაწეობის სფერო გაიზარდა და ამჟამად იგი უამრავი სახის მინას, საიზოლაციო მასალებს და ა.შ. აწარმოებს.

1968 წელს Guardian Industries ღია ტიპის სააქციო კომპანიად გადაკეთდა. თავდაპირველად მისი ერთი აქცია 17 დოლარი ღირდა, ოთხი წლის შემდეგ კი 135 დოლარამდე გაძვირდა. ფირმის პოზიციები სერიოზულად გაამყარა კარლტონში ახალი ქარხნის აშენებამ და რამდენიმე კონკურენტის შთანთქმამ.

70-იან წლებში კომპანია ძალზე სწრაფად ვითარდებოდა. 1974 წლისათვის მისი გაყიდვების მოცულობამ 100 მილიონ დოლარს მიაღწია, 1980 წელს კი სამჯერ მეტს. 1985 წელს Guardian Industries-ის ხელმძღვანელობამ აქციები შეისყიდა და იგი კვლავ კერძო კომპანია გახდა, რამაც საშუალება მისცა ფინანსური მონაცემები აღარ გამოექვეყნებინა. თუმცა, ჟურნალ Ceramic Industry-ს მონაცემებით, 2001 წელს Guardian Industries-ის ფინანსურმა ბრუნვამ 4 მილიარდი დოლარი შეადგინა, რითაც თავის სექტორში მსოფლიოში მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა.

მას შემდეგ კომპანია კიდევ უფრო განვითარდა და, როგორც მისი წარმომადგენლები აცხადებენ, ამჟამად მეორე-მესამე ადგილზეა. Guardian Industries-ს წარმომადგენლობები აქვს ოთხი კონტინენტის 23 ქვეყანაში და უახლოეს მომავალში კიდევ უფრო გაფართოებას აპირებს.

### თავმდაბალი მილიარდერი

Guardian Industries-ის წარმატების საფუძველი უნიკალური კორპორაციული კულტურა გახდა, რომელიც თავად დავიდსონის ხასიათიდან გამომდინარეობს. მისი ბიზნეს-მეთოდების საფუძველი კადრების სწორად შერჩევა და მათთვის თავის თავისუფლად გამოჩენის მიცემის საშუალება გახლავთ. მიუხედავად ერთობ სოლიდური ასაკისა, კომპანიას კვლავ უილიამ დავიდსონი ხელმძღვანელობს. მემკვიდრეების დასახელების საკითხი არცკი დგას, თუმცა კარგა ხანია ცნობილია, რომ Guardian Industries-ი მის შვილებს, რომლებიც ბიზნესისაგან ძალიან შორს არიან, არ დარჩება. ამერიკის ბიზნეს-წრეებში დავიდსონს ახასიათებენ, როგორც სასტიკ კონკურენტს, მაგრამ პირად ურთიერთობებში ერთობ თავმდაბალ და თბილ ადამიანს. იგი არასოდეს ატარებს ჰალსტუხს და თუ მას ლუდხანაში, რომელსაც საკმაოდ ხშირად სტუმრობს, შეხვდებით, 15-20 წუთში დაუმეგობრდებით. თავმდაბალი მილიარდერი იშვიათად იძლევა ინტერვიუს, ერიდება საჯარო ღონისძიებებზე გამოჩენას, გარდა სპორტული ღონისძიებებისა, როცა თავის კლუბს ქომაგობს. კლუბები დავიდსონის სუსტი წერტილია, მათ მის ცხოვრებაში მართლაც ძალიან დიდი ადგილი უჭირავს.

### დავიდსონის ფისტონები

70-იან წლებში Guardian Industries-ის წარმატებამ დავიდსონი სხვა სფეროში ინვესტიციის განხორციელებაზე დააფიქრა. უამრავი ვარიანტიდან მან პროფესიონალური სპორტი აირჩია. მართალია, თავად სპორტული მონაცემებით არასოდეს გამოირჩეოდა, მაგრამ მხურვალე ქომაგი კი იყო. თავდაპირველად მან თვალი ამერიკული ფეხბურთის კლუბს Maiami Dolpins-ს დაადგა, მაგრამ მისმა მფლობელებმა იმდენი მოითხოვეს, რომ დავიდსონმა მოლაპარაკებები შეწყვიტა.

იმ პერიოდში დავიდსონმა ფლორიდაში ზამთრის სახლი შეიძინა, რომლის მახლობლადაც კალათბურთის კლუბის Detroit Pistons-ის დამაარსებელი და მფლობელი ფრედ ზოლნერი ცხოვრობდა. მოკლედ, მათ შეთანხმებას მიაღწიეს და 1974 წელს 7 მილიონ დოლარად Detroit Pistons უილიამის საკუთრება გახდა.

დავიდსონი ახალი ბიზნესისათვის სწორი მენეჯმენტის ძიებას შეუდგა, რომლითაც კლუბის აღორძინებას შეძლებდა, იქამდე კი Detroit Pistons-ი შავ დღეში იყო. 1980 წელს უილიამმა გენერალურ მენეჯერად ჯეკ მაკლოსკი დანიშნა, რომელიც ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენით იყო განთქმული. სწორედ მან მიიწვია Detroit Pistons-ში ისეთი ვარსკვლავები, როგორებიც არიან აიზია ტომასი, დენის როდმანი, ჯო დუმარსი და მარკ აგირე. მწვრთნელად კი ჩაკ დეილი დანიშნა, რომელმაც ჯერ კიდევ უცნობი მოთამაშეებისაგან მშვენიერი გუნდი შექმნა.

ცხადია, დავიდსონი კლუბის ფეხზე დასაყენებლად ფულს არ იშურებდა. მეტად რისკიანი ინვესტიცია იყო 1988 წელს ობერნ-ჰილსში მდებარე სპორტის სასახლის 100 მილიონ დოლარად შეძენა. მაგრამ, ამ ნაბიჯმა გაამართლა, ამჟამად მასში წელიწადში 200-ზე მეტი სპორტული ღონისძიება ტარდება და დიდძალი მოგება მოაქვს.

დავიდსონის ძალისხმევამ ნაყოფი 1989 წელს გამოიღო, როცა Detroit Pistons NBA-ს ჩემპიონი გახდა, ერთი წლის შემდეგ კი ეს მიღწევა გაიმეორა. შემდეგი ტიტული კი Pistons-მა 2004 წელს, დავიდსონის ზეობის ჟამს მოიგო. მაშინ უილიამს გუნდის მწვრთნელად ლარი ბრაუნის მოწვევისათვის აკრიტიკებდნენ, მაგრამ როგორც ტრიუმფის შემდეგ უილიამმა აღნიშნა, იგი Detroit Pistons-ს უკვე 30 წელი ფლობდა და მშვენივრად იცოდა, რას აკეთებდა.

### ყინული და ქალები

ჰოკეის კი დავიდსონმა ალღო საოცრად მალე აუღო. მან Tampa Bay Lighting 1999 წელს 100 მილიონ დოლარად შეიძინა. ცოტა ხნით ადრე ფლორიდის ქალაქ ტამპას მკვიდრ ჰოკეის ამ კლუბს ავტორიტეტულმა ჟურნალმა Sports Illustrated-მა NHL-ის ყველაზე წამგებიანი კლუბი უწოდა. სწორადაც მოიქცა, რადგან ხუთი წლის განმავლობაში Tampa-მ ლიგის სხვა კლუბებზე გაცილებით მეტი, 50 მილიონი დოლარი იზარალა. სწორედ ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ დაეუფლა დავიდსონს კლუბის ფეხზე დაყენების აზარტი.

Tampa Bay Lighting-ში საქმე მართლაც ცუდად იყო და დავიდსონს კიდევ 50 მილიონის ინვესტირება მოუწია. კლუბის მენეჯმენტის სწორად ასაწყობად მას გვარიანი დრო დასჭირდა და მხოლოდ 2003 წლიდან დაიწყო Tampa-მ მოგების მოტანა. ამ პერიოდში უილიამმა მთავარ მწვრთნელად ჯეი ფისტერი დანიშნა, რომელმაც რამდენიმე ახალგაზრდა მოთამაშე შეიძინა, მათი გამოცდილ ჰოკეისტებთან შერწყმა მოახერხა და შედეგმაც არ დააყოვნა: 2004 წელს Tampa Bay Lighting-მა “სენლის თასი" მოიგო.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამავე წელს დავიდსონისავე კუთვნილმა, ქალთა საკალათბურთო კლუბმა Detroit Shoks-მა, რომელიც მან 1997 წელს შეიძინა და ჩვეული მეთოდებით ააღორძინა, WNBA-ს ჩემპიონატი მოიგო. ასე შეასრულა მილიარდერმა უილიამ დავიდსონმა ერთგვარი საჩემპიონო ტრიპლეტი და სახელი საქვეყნოდ გაითქვა.

# პროგრესი პარიზის კლუბისა და რუსეთის ურთიერთობებში

პარიზის კლუბსა და რუსეთს შორის პროგრესი უკვე მიღწეულია. საქმე ეხება ვალს, რომელიც რუსეთმა პარიზის კლუბს დროზე ადრე უნდა გადაუხადოს.

პარიზის კლუბის წარმომადგენლის თქმით, საბოლოო შეთანხმება ჯერ არ შემდგარა და ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებითი მოლაპარაკებები კიდევ მოსალოდნელია.

ნავთობის გაძვირების შედეგად, რუსეთმა იმდენი რესურსის დაგროვება მოახერხა, რომ დღეისათვის მას პარიზის კლუბის 19 ქვეყნისთვის დარჩენილი 22-მილიარდიანი ვალის დაფარვა თავისუფლად შეუძლია.

აღნიშნულმა წინადადებამ კრედიტორების უკმაყოფილება გამოიწვია. მათ გამოთქვეს პრეტენზია იმის თაობაზე, რომ არ სურთ დაკარგონ პროცენტები, რომელიც მომსახურების თანხიდან ერიცხებათ.

სააგენტო France press იუწყება, რომ გასულ წელს რუსეთმა 15 მილიარდის გადახდის შედეგად ვალის ნაწილი დაფარა. ეს ფინანსური ოპერაცია კრედიტორების გაერთიანების ნახევარსაუკუნოვან ისტორიაში ერთ-ერთი უმსხვილესი ოპერაციის სახელით შევიდა.

2006 წლის მაისში პარიზის კლუბის წევრებმა მოსკოვს დარჩენილი ვალის დაფარვის შესახებ პრინციპული თანხმობა მისცეს, რაც მათი თქმით, დაკარგული პროცენტების კომპენსაციის აუცილებლობით არის განპირობებული.

ამასთან, რუსული საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, რომ პარიზის კლუბმა რუსეთს ვალის დაბრუნება დროზე ადრე მოსთხოვა. ერთ-ერთი წყაროს ინფორმაციით, ეს გადაწყვეტილება პარიზის კლუბმა მორიგ სესიაზე მიიღო.

ორმხრივი მოლაპარაკებების დოკუმენტში მითითებულია, რომ 22 მილიარდი დოლარის დაფარვის გარდა, რუსეთს კრედიტორების დაკმაყოფილებაც მოუწევს. ამ შემთხვევაში გერმანია დამატებითი კომპენსაციის სახით 700 მილიონ დოლარს მიიღებს.

რუსეთის ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, პარიზის კლუბის ვალის ვადაზე ადრე დაფარვა რუსეთს 2006 წლისთვის 800 მილიონის საშუალებას, ხოლო 2020 წლისთვის კი დაახლოებით 6 მილიარდი დოლარის დაზოგვის გარანტიას აძლევს. რაც შეეხება დოკუმენტის საბოლოო ვარიანტს, რომელიც რუსეთს პარიზის კლუბის მოვალეობისგან ათავისუფლებს, ჯერ არ მომზადებულა.

სააგენტოები აღნიშნავენ, რომ ტექნიკური დეტალების მოგვარების შემდეგ აღნიშნულ დოკუმენტს ხელს პარიზის კლუბში შემავალი 19 სახელმწიფო მოაწერს. ამის შემდეგ კი დაიწყება მორიგი ორმხრივი შეთანხმებები მოსკოვსა და კრედიტორ სახელმწიფოებს შორის. ამ ეტაპზე კი ვალის საბოლოოდ დაფარვის კონკრეტული თარიღიც დადგინდება. ამ ეტაპზე ვალის დაფარვის მიახლოებით თარიღად 2006 წლის აგვისტოს ბოლო რიცხვები მოიაზრება.

## აშშ-ს ბირჟაზე ზრდაა










გუშინ ნიუ იორკის საფონდო ბირჟაზე ძირითად ინდექსთა ზრდა დაფიქსირდა. მაკროეკონომიკური ინფორმაციების არარსებობისას ძირითადი საპროცენტო განაკვეთის გაზრდის საშიშროება თანდათან შემცირდა, რამაც ინვესტორთა განწყობაზე დადებითი გავლენა მოახდინა.

საბოლოოდ, Dow Jones Index 0,43 პროცენტით, 11.022,17 პუნქტამდე გაიზარდა. 0,56 პროცენტით გაზრდილმა Nasdaq Index-მა 2.118.80 პუნტი შეადგინა, ხოლო S&P 500 Index-მა 0,38 პროცენტით, 1.244,83 პუნქტამდე მოიმატა.

## ნავთობი დროებით გაიაფდა

გუშინ ლონდონისა და ნიუ იორკის ნავთობის ბირჟებზე “შავი ოქროს" ფიუჩერსებზე (სამომავლო კონტრაქტები) ფასების მცირე კლება დაფიქსირდა. კერძოდ, 1 ბარელი Brent-ის მარკის ნავთობი 68,08 დოლარი ღირდა, Light-ის მარკის ნავთობი კი 69,34 დოლარი/ბარელამდე გაიაფდა.

ბაზარზე კვლავ გავლენას ახდენს საშიშროება, რომ ნავთობის მაღალი ფასები მსოფლიოს, პირველ რიგში კი - აშშ-ს და ჩინეთის, ეკონომიკის ზრდას შეაფერხებს, რასაც “შავ ოქროზე" მოთხოვნილების შემცირება მოჰყვება.

ანალიტიკოსთა ვარაუდით, უახლოეს მომავალში, შესაძლებელია, უკვე დღესაც კი, ნიგერიაში მეტად გართულებულ სიტუაციას და ნორვეგიული ნავთობკომპანია Petroleum Geo-service-ს თანამშრომლის გატაცებას ნავთობის გაძვირება მოჰყვება. როგორც წესი, მსგავს ინცინდენტს ყოველთვის ფასის ზრდა ახლავს ხოლმე. შეგახსენებთ, ნიგერიაში, რომელიც მსოფლიოში ნავთობის მერვე

მომპოვებელი და აშშ-სათვის მეხუთე მიმწოდებელია, სამოქალაქო ომის გამო, უკვე ოთხი თვეა, ნავთობის მოპოვება 25 პროცენტითაა შემცირებული.

## მსოფლიო ენერგეტიკაში ნავთობის წილი შემცირდება

აშშ-ს ენერგეტიკის სამინისტროს ანალიტიკოსების აზრით, 2030 წლისათვის მსოფლიო ენერგეტიკაში ნავთობის წილი 5 პროცენტით, 33 პროცენტამდე შემცირდება. მათი აზრით, “შავ ოქროზე" გაზრდილი ფასები მომხმარებლებს ალტერნატიული წყაროების - ნახშირი, გაზი, ბიოსაწვავი - სულ უფრო ფართოდ გამოყენებას აიძულებს.

სავარაუდოდ, 2030 წლისათვის მსოფლიო ენერგეტიკაში ნახშირის წილი 3 პროცენტით, 27 პროცენტამდე გაიზრდება, ბუნებრივი აირის - 2 პროცენტით, 26 პროცენტამდე, ბიოსაწვავის კი 1 პროცენტით, 9 პროცენტამდე მოიმატებს.

მსოფლიო ეკონომიკაში ნავთობის წილის შემცირება არ ნიშნავს, რომ 2030 წლისათვის “შავ ოქროზე" მოთხოვნილება მოიკლებს. პირიქით, გაიზრდება კიდეც. კერძოდ, სპეციალისტთა პროგნოზით, თუ ამ დროისათვის ნავთობის მსოფლიო მოთხოვნილება დღე-ღამეში 85 მილიონ ბარელს შეადგენს, 2030 წლისათვის ეს მაჩვენებელი 118 მილიონ ბარელს მიაღწევს. მოთხოვნილების ზრდა მსოფლიოს,

განსაკუთრებით კი, აშშ-ს, ჩინეთის და ინდოეთის მზარდი ეკონომიკით იქნება განპირობებული.

## თურქმენეთი "გაზპრომს" ემუქრება

გუშინ თურქმენეთმა რუსულ გიგანტ “გაზპრომს" ბუნებრივ აირზე ახალი ფასი შესთავაზა. აშხაბადის მოთხოვნით, რუსეთმა 1000 კუბურ მეტრ გაზში 65 დოლარის ნაცვლად 100 დოლარი უნდა გადაიხადოს. რუსულმა მხარემ კვლავ ძველი ტარიფის დატოვება მოითხოვა, რაზეც სასტიკი უარი მიიღო. თურქმენეთის ნავთობისა და გაზის მინისტრის კურბანმურატ ატაევის თქმით, თუ უახლოესი თვენახევრის განმავლობაში “გაზპრომი" ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს, რუსულ კომპანიას გაზის მიწოდება შეუწყდება.

“გაზპრომმა" თურქმენეთთან, რომელიც წელიწადში 60 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მოიპოვებს, წელიწადში 30 მილიარდი კუბური მეტრი გაზის შესყიდვის შესახებ 25-წლიანი ხელშეკრულება 2003 წლის ბოლოს გააფორმა. კონტრაქტის მიხედვით, მიმდინარე წლის ოქტომბრამდე 1000 კუბური მეტრის ფასი 65 დოლარით განისაზღვრა. რუსული მხარე ხელშეკრულების ამ პუნქტის დაცვას და ფასის გაზრდის შესახებ მოლაპარაკებების საშემოდგომოდ გადადებას ითხოვს.

აღსანიშნავია, რომ თურქმენეთში შესყიდულ ბუნებრივ აირს “გაზპრომი" მთლიანად უკრაინაში ყიდის. ეს კი ნიშნავს, რომ რუსულ კომპანიას ამ ქვეყნისათვის გაზის მიწოდების ტარიფის გადახედვა მოუწევს, რაც უკრაინის ეკონომიკის განვითარებას შეაფერხებს.

ამასობაში კი, რუსულმა მონოპოლისტმა კომპანიამ დანიურ DONG-თან ამ ქვეყნისათვის 2011 წლიდან ბუნებრივი აირის მიწოდების შესახებ ხელშეკრულება გააფორმა. ეს გარიგება “გაზპრომს" ბრიტანულ ბაზარზე პოზიციების გამყარებაშიც ძალიან წაადგება.

კონტრაქტის მიხედვით, DONG -ი “გაზპრომისაგან" 20 წლის განმავლობაში, წელიწადში 1 მილიარდ კუბურ მეტრ ბუნებრის აირს შეიძენს. შესაძლებელია, მიწოდების მოცულობა დროთა განმავლობაში გაიზარდოს. დანია რუსულ ბუნებრივ აირს ბალტიის ზღვის ფსკერზე გაზსადენის აშენების შემდეგ მიიღებს. აღნიშნულ პროექტში “გაზპრომთან" ერთად გერმანული ენერგოკომპანია E.ON-ი და ქიმიური გიგანტი Basf-ი მონაწილეობს.

გარდა ამისა, რუსულ და დანიურ კომპანიებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, 2007 წლიდან DONG-ი ჩრდილოეთ ზღვაში მდებარე ორმენ ლანგეს საბადოდან ბრიტანეთში მოქმედ “გაზპრომის" შვილობილ კომპანია Gazprom Marketing and Trading-ს წელიწადში 600 მილიონ კუბურ მეტრ ბუნებრივ აირს მიაწვდის. ამგვარად, რუსული გიგანტი ბრიტანულ ბაზარზე თავის გავლენას თანდათანობით გაზრდის. ადრე “გაზპრომს" ბრიტანული კომპანია Centrica-ს შთანთქმა სურდა, მაგრამ ადგილობრივმა ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა გარიგების განხორციელების ნება არ დართო.

ამ დროისათვის ევროკავშირის ქვეყნებში მიწოდებული ბუნებრივი აირის მეოთხედი “გაზპრომზე" მოდის. ბალტიის ზღვის ფსკერზე გაზსადენის მშენებლობის დასრულების შემდეგ რუსული მონოპოლისტის წილი კიდევ უფრო გაიზრდება.







# სარკინიგზო გადაზიდვები იზრდება

პირველი გვერდიდან

2005 წლის იანვარ-მაისში სულ გადაზიდული ტვირთების საერთო რაოდენობამ 6 მლნ. 597 ათასი ტონა შეადგინა (მათ შორის, ნავთობი და ნავთობპროდუქტები - 4 მლნ. 56 ათასი; მშრალი ტვირთები - 2 მლნ. 540 ათასი).

2006 წლის იანვარი-მაისის თვეებში გადაზიდული ტვირთის მოცულობა 2004 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს 3 მლნ. 267 ათასით აღემატება; 2003 წლის სატვირთო გადაზიდვის მონაცემებს კი - 3 მლნ. 111 ათასით აჭარბებს. (ცხრილი N1)

2006 წელს საქართველოს რკინიგზაზე განსაკუთრებით გაიზარდა მშრალი ტვირთების გადაზიდვის მაჩვენებლები, რაც დამატებითი ტვირთების მოზიდვით იქნა განპირობებული.

2006 წლის იანვარ-მაისის მონაცემებით, მშრალი ტვირთების გადაზიდვებმა 3 მლნ. 297 ათასი ტონა შეადგინა, რაც 2005 წელთან შედარებით 757 ათასი ტონით მეტია, 2004 წლის ხუთი თვის მონაცემს - 786 ათასი ტონით აღემატება, ხოლო 2003 წლისას - 1 მლნ. 230 ათასით. (ცხრილი N2)

მატებაა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადაზიდვაშიც:

2006 წლის იანვარ-მაისის განმავლობაში საქართველოს რკინიგზით გადაზიდული ნავთობისა და ნავთობპროდუქტების მოცულობამ 5 მლნ. 971 ათასი ტონა შეადგინა, რაც საუკეთესოა ბოლო 15 წლის მანძილზე და 2005 წლის ანალოგიურ პერიოდში გადაზიდული ნავთობპროდუქტების რაოდენობას - 1 მლნ. 915 ათასი ტონით, 2004 წლის ხუთი თვის მონაცემს - 2 მლნ. 481 ათასი ტონით, ხოლო 2003 წლისას 1 მლნ. 881 ათასით აღემატება (ცხრილი N3).

საქართველოს რკინიგზის ინფრასტრუქტურის განვითარებაში 70 მლნ. ლარის ინვესტიციის მოზიდვისა და მომსახურების დონის ამაღლების შედეგად იზრდება სარკინიგზო გადაზიდვები. 2005 წელს საქართველოს რკინიგზაზე 18 მლნ. 986 ათასი ტონა ტვირთი გადაიზიდა. რკინიგზაში 2006 წელს 22 მლნ. ტონა ტვირთის გადაზიდვას ვარაუდობენ, შესაბამისად, მომატებული ტვირთბრუნვა რკინიგზის შემოსავლების ზრდას განაპირობებს.

ბოლო თვეების მანძილზე განსაკუთრებული ზრდა პორტებიდან ტვირთბრუნვაზე დაფიქსირდა. თუკი პორტებიდან საქართველოს რკინიგზა წინა წლებში საშუალოდ თვეში 500-550 ათას ტონა მშრალ ტვირთს გადაზიდავდა, დღეს ამ მაჩვენებელმა 800 ათასს მიაღწია.

ახალი მენეჯმენტის მიერ შემუშავებული, საქართველოს რკინიგზის სტრატეგიული განვითარების 5-წლიანი გეგმის თანახმად, რკინიგზის ტვირთგამტარუნარიანობა 18 მლნ. ტონიდან 22 მლნ. ტონამდე გაიზრდება. მოქნილი და თანამედროვე მართვის კორპორატიული ფორმა კლიენტსა და რკინიგზას შორის გამარტივებულ ურთიერთობას უზრუნველყოფს.

ტვირთმფლობელებისა და ექსპედიტორებისათვის სერვისის მაღალი ხარისხის, მომსახურების კომპლექსურობისა და ოპერატიულობის მიზნით, შპს "საქართველოს რკინიგზაში" კლიენტის მომსახურების ცენტრი ფუნქციონირებს. მოქნილი სატარიფო სისტემა და კლიენტის მომსახურების ინდივიდუალური ფორმა საქართველოს რკინიგზას კონკურენტუნარიანს ხდის.

მაისის თვიდან ტვირთმფლობელები სატვირთო მომსახურებაზე ანგარიშსწორების გამარტივებული სისტემით სარგებლობენ.

საქართველოს რკინიგზაში სატვირთო მომსახურებაზე ერთთვიანი საანგარიშო კურსი დადგინდება, რომელზეც ლარის კურსის მერყეობა არ აისახება.

ლარის კურსის ცვლილება ახალი ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის აუცილებლობას საჭიროებდა. ერთთვიანი საანგარიშო კურსი ექსპედიტორებს ანგარიშსწორების გამარტივებულ და მოქნილ სისტემას სთავაზობს.

მაღალხარისხიანი სერვისის უზრუნველყოფაში მნიშვნელოვანია რკინიგზასა და კლიენტებს შორის საჭირო ინფორმაციისა და საფინანსო ოპერაციების ელექტრონული მიმოცვლა ანუ "უქაღალდო ინფორმაციის" გამოყენება. კლიენტს საშუალება ეძლევა, ყველა საჭირო დოკუმენტაცია თავისი სამუშაო კაბინეტიდან გაუსვლელად გააფორმოს (განაცხადის მიღება, გადაზიდვის საბუთების გაფორმება, გაანგარიშება, პირობების შესრულების კონტროლი და გადაზიდვის შესახებ აუცილებელი ინფორმაციის მიწოდება და სხვა.)

სატვირთო გადაზიდვების მატებამ საქართველოს რკინიგზის შემოსავლების ზრდა განაპირობა. 2006 წლის იანვარი-მაისის თვეებში გადაზიდვებიდან შემოსულმა ფინანსურმა მაჩვენებლებმა 120 მლნ. 521 ათასი ლარი შეადგინა და, 2005 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 32 მლნ. 722 ათასი ლარით მეტია (2005 წელი იანვარი-მაისი - 87 მლნ. 799 ათასი).

საქართველოს რკინიგზა სახელმწიფო ბიუჯეტში ერთ-ერთ მსხვილ გადამხდელად რჩება, 2006 წლის ხუთი თვის პერიოდში ბიუჯეტში სხვადასხვა გადასახადის სახით 23 მლნ. 672 ათასი ლარია შეტანილი. 2006 წლის იანვარ-მაისის თვეებში საქართველოს რკინიგზის ბიუჯეტში შეტანილი თანხები წინა წლის იანვარ-მაისში შეტანილ თანხებს 8 მლნ. 670 ათასი ლარით აღემატება (2005 წლის იანვარ-მაისი - 15 მლნ. 2 ათასი ლარი).

იანვარ-მაისის თვეების მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს რკინიგზაში ვარაუდობენ, რომ 2006 წელი გადაზიდვების საუკეთესო მაჩვენებლებით დასრულდება. ტენდენციები, რომლებიც ბოლო თვეებში დაფიქსირდა, საშუალებას იძლევა, საქართველოს რკინიგზის გამტარუნარიანობა სრულად იქნას გამოყენებული. 2006 წლის ბოლოსათვის შესაძლებელი გახდება, სატვირთო გადაზიდვები გამტარუნარიანობის მაქსიმალურ ზღვრამდე - 22 მლნ. ტონამდე გაიზარდოს.

იზრდება საქართველოს როლი, როგორც ხელსაყრელი კორიდორი ქვეყნის. საქართველოს რკინიგზა პასუხობს ევროპა-აზიის ქვეყნებს შორის სატრანზიტო მიმოსვლაზე მოთხოვნებს და საკუთარი ინფრასტრუქტურის განვითარებაში სოლიდურ ინვესტიციებს აბანდებს.













## მშენებლობის ბუმი რეგიონებისკენ ინაცვლებს

პირველი გვერდიდან

"საქართველოს სამშენებლო კოდექსის" პროექტზე მუშაობა პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ინიციატივით დაიწყო. ერთწლიანი მომზადების პროცესი დასრულდა და ახლა პროექტი, ჩამოყალიბებული სახით, უკვე არსებობს. მოქმედი ნორმატიული აქტების ანალიზის საფუძველზე გაკეთებული კოდექსის პროექტის სამუშაო ვერსია დეტალურად აღწერს და არეგულირებს სამშენებლო საქმიანობასა და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. დოკუმენტში ჩადებული ნორმები ჰარმონიზებულია ევროკავშირის ქვეყნების სამშენებლო კანონმდებლობასთან. ამ ეტაპზე პროექტის ავტორებსა და სხვადასხვა არასამთავრობო თუ პროფესიულ ორგანიზაციებთან მიმდინარეობს კონსულტაციები, რათა შეიქმნას სრულყოფილი და თანამედროვე დოკუმენტი. დოკუმენტის თანახმად, საქართველოს სამშენებლო კოდექსი დაარეგულირებს სამშენებლო საქმიანობისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. ასევე დაადგენს მონაწილეთა და მესამე პირთა უფლება-მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. კოდექსისი ძირითადი პრინციპებია: საქართველოს ტერიტორიაზე უსაფრთხო და ადამიანის ჯანმრთელობისათვის უვნებელი საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა და სამშენებლო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების ძირითადი მექანიზმის ჩამოყალიბება.

სამშენებლო სექტორის კიდევ უფრო განვითარების პერსპექტივა რომ არსებობს, ეს სახელმწიფო კანცელარიაში გამართულმა შეხვედრამაც დაადასტურა. საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელებს შეხვდა და დარგის განვითარების სამომავლო პერსპექტივებზეც ისაუბრა. **"მშენებლობის წილი ქართულ ეკონომიკაში მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს. ტურისტული ობიექტების გარდა, უნდა აშენდეს საცხოვრებელი სახლებიც. ამის შესაძლებლობები არის და ამის სურვილი თანდათან ჩნდება. ნელი ტემპით დაიწყო მშენებლობები ქუთაისში, გორში, რუსთავში. რეგიონებში უნდა დაიწყოს მშენებლობა. არის დიდი მასშტაბები, რასაც მთელი სახელმწიფო აპარატის სერიოზული გადაწყობა სჭირდება,"** - განაცხადა პრეზიდენტმა შეხვედრაზე.

სააკაშვილმა სამშენებლო კომპანიების ხელმძღვანელებს ცენტრიდან პერიფერიებსა და რეგიონებში გადანაცვლებისაკენ მოუწოდა. თავის მხრივ, სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლებმა საგადასახადო შეღავათები მოითხოვეს.

*24 საათი*

## "თბილისის წყალმა" საერთაშორისო სერტიფიკატი მიიღო

"თბილისის წყალი" პირველი სახელმწიფო კომპანიაა, რომელმაც ხარისხის მართვის სტანდარტის საერთაშორისო სერტიფიკატი - ISO 9001 - მიიღო. სერტიფიკატი გუშინ სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" "SAI Global Certification Services"-ის გენერალურმა დირექტორმა ალექს ეზრახოვიჩმა "თბილისის წყლის" გენერალურ დირექტორს გეგი ქელბაქიანს გადასცა. "თბილისის წყალს" სერტიფიკატი უმოკლეს ვადებში განხორციელებული წარმატებული ქმედებებისა და მომსახურების მუდმივ გაუმჯობესებაზე ორიენტირებულობისთვის გადაეცა. ცერემონიას თბილისის მერი და მთავრობის ოფიციალური პირები დაესწრნენ. თბილისი მერი გიგი უგულავას განცხადებით, დასრულდა წყალკანალისა და საბჭოთა კანტორის ერა. "კომპანია "თბილისის წყალი"-სთვის საერთაშორისო სერტიფიკატი არის დიდი პასუხისმგებლობა. ასეთი ტიპის სადისტრიბუციო კომპანიის მართვა ნიშნავს, იყო ორიენტირებული მომხმარებელზე, მის ყოველდღიურ და ყოველწუთიერ სამსახურში," - განაცხადა უგულავამ. "ხარისხის მართვის სისტემის სერტიფიკატი ადასტურებს, რომ კომპანიამ "თბილისის წყალი" გაიარა ექსპერტთა შემოწმება, აღიარებულ იქნა მენეჯმენტის სფეროში ISO 9001 სტანდარტების შესაბამისად და გააჩნია საერთაშორისო აკრედიტაცია," - აცხადებენ კომპანიაში. "ხარისხის მართვის სერტიფიკატის შენარჩუნება კომპანიის საქმიანობის მუდმივ მონიტორინგს დაეფუძნება. ამისთვის, "თბილისის წყალი" გააგრძელებს დაწყებული პროექტებისა და დაგეგმილი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც საბოლოო მიზნის - თბილისის მოსახლეობის 24-საათიანი და ხარისხიანი წყალმომარაგება - მიღწევას გულისხმობს," - აღნიშნა კომპანიის გენერალურმა დირექტორმა გეგი ქელბაქიანმა. **ინტერპრესნიუს**

## სარეზერვო ფონდიდან იუსტიციის სამინისტროს 40 000 ლარი გამოეყო

როგორც იუსტიციის მინისტრმა გია ქავთარაძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა, აღნიშნულ თანხას იუსტიციის სამინისტრო გამოიყენებს საარბიტრაჟო დავების საქმეების წარმოებისთვის.

კერძოდ, იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით, ყველა საარბიტრაჟო დავა გადაეცა იუსტიციის სამინისტროს, რათა ამ საქმეების უკეთესი კოორდინაცია განხორციელდეს.

მინისტრის განცხადებით, საქმეების წარმოება დიდ ხარჯებს მოითხოვს, რაც სამინისტროს ბიუჯეტში გათვალისწინებული არ იყო და სწორედ ამისთვის გახდა საჭირო სარეზერვო ფონდიდან დამატებით 40 000 ლარის გამოყოფა.

სამინისტროს მომავალი წლის ბიუჯეტში საარბიტრაჟო დავების საწარმოებლად საჭირო ხარჯები უკვე ჩადებული იქნება. **ინტერპრესნიუსი**

## ამინდი

| | 22/06 | 23/06 | 24/06 |
|---|---|---|---|
| კიევი | 30 | 30 | 32 |
| რიგა | 33 | 22 | 23 |
| ვილნიუსი | 30 | 26 | 23 |
| მოსკოვი | 33 | 32 | 32 |
| მინსკი | 32 | 33 | 30 |
| პარიზი | 23 | 25 | 26 |
| რომი | 33 | 32 | 34 |
| ლონდონი | 18 | 21 | 21 |
| მადრიდი | 32 | 35 | 34 |
| ბონი | 23 | 24 | 26 |
| ვარშავა | 34 | 24 | 24 |
| ათენა | 35 | 35 | 34 |
| ბერნი | 21 | 26 | 31 |
| ამსტერდამი | 17 | 20 | 19 |
| ოსლო | 13 | 16 | 21 |
| ანკარა | 31 | 30 | 32 |
| ვარნა | 33 | 33 | 31 |
| დელი | 52 | 56 | 51 |
| ტოკიო | 27 | 26 | 28 |
| კოპენჰაგენი | 16 | 16 | 20 |
| ბაქო | 32 | 31 | 32 |
| ერევანი | 38 | 38 | 38 |
| ასტანა | 25 | 22 | 23 |
| ჰელსინკი | 23 | 17 | 21 |
| დუბლინი | 12 | 16 | 15 |
| ლისაბონი | 28 | 26 | 24 |
| პრაღა | 29 | 27 | 26 |
| სოფია | 32 | 31 | 26 |
| ბუდაპეშტი | 40 | 29 | 32 |
| ბუხარესტი | 36 | 38 | 37 |

24 საათი C

© გაზეთი 24 საათი

# სპორტი

თქვენი რეკლამა "სპორტში"

☎ 995 32 31 93 90
995 32 31 93 86

გამოცემის ოფიციალური პარტნიორი:

ატლანტი
უსაფრთხოების სამსახური

მინდა კლუბი ვიყიდო, დამეხმარებით?



C3

„სპორტული დიდების მუზეუმის" ახალსახლობა



C4

პომები კვლავ გააპამპულეს



C4

## ორჯერვე რუმინეთში

აერ-ის 76-ე კონგრესმა, რომელიც უქმეებზე სორენტოში (იტალია) გაიმართა, დაამტკიცა მომავალი ევროპული სეზონის თამაშთა განრიგი. თუ საქართველო მსოფლიო თასის შესარჩევში რუმინეთს სტუმრად ვერ მოუგებს, დებულების აშკარა დარღვევით, შემდეგ რაუნდში პორტუგალიასთან (იქნებ რუსეთთან) პირველ თამაშს შინ გამართავს, მეორეს კი გარეთ, რაც არაფრით ხელს არ უნდა გვაძლევდეს.

ბორჯღალოსნები საგაისო ერთა თასსაც რუმინეთში გასვლით გახსნიან და ხუთიდან მხოლოდ ორ მატჩს გამართავენ შინ. რაც შეეხება რაგბილიგის მიმდევარ 13 ქართველს, რუსეთთან მისი რკენა (რომელიც ლუჟნიკში 22 ივნისს იყო დანიშნული) აღარ შედგება. განაჩენს 13-კაცელთა ევროპული ორგანო რლეფ სათანადო მოკვლევის შემდეგ გამოიტანს და ერთმანეთთან უთამაშებელ მეზობლებს 2008 წლის მსოფლიო თასის შესარჩევ პულებში მიუჩენს ადგილებს.

**რაგბის 2007 წლის მსოფლიო თასის შესარჩევები**

07/10 რუმინეთი (გარეთ), 28/10 ჩეხეთი ან ესპანეთი (შინ)
თუ ერთი თამაში წავაგეთ, პორტუგალია ან რუსეთი 11/11 (შ) და 25/11 (გ)

**2007 წლის ერთა თასი**

03/02 რუმინეთი (გ), 10/03 პორტუგალია (შ), 18/03 ესპანეთი (გ), 24/03 რუსეთი (გ), 07/04 ჩეხეთი (შ)

**რაგბილიგის 2008 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი (2006/07)**

**ა პული:** უელსი, შოტლანდია, საქართველო - რუსეთის გამარჯვებული
**ბ პული:** ლიბანი, ირლანდია, საქართველო - რუსეთის დამარცხებული

## ოუენი ხუთ თვეს დაისვენებს

შვედეთისა და ინგლისის მატჩში დაშავდა მაიკლ ოუენი. შეხვედრის შემდეგ ერიქსონმა აღნიშნა, რომ მუნდიალი ოუენისთვის დასრულებულია. გუშინ ინგლისის ნაკრების ექიმებმა ოუენს დიაგნოზი დაუსვეს: ფეხბურთელს ჯვარედინი მყესები აქვს დაზიანებული. მათი აზრით, მაიკლი, სულ მცირე, ხუთ თვეს ვერ შეძლებს მინდორზე გასვლას.

გუშინვე მომხდართან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა ინგლისის ნაკრების ლიდერმა სტივენ ჯერარდმა: „ნაკრების ფეხბურთელები მაიკლისთვის ვლოცულობთ. მართალია, ნაკრებმა სასურველ შედეგს მიაღწია, მაგრამ დავკარგეთ ოუენი. ეს კატასტროფაა, თუმცა ოპტიმიზმი უნდა შევინარჩუნოთ".

## მარადონა ბილეთს ვერ შოულობდა

ჰოლანდია-არგენტინის მატჩის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე დიეგო მარადონას შეხვედრაზე დასასწრები ბილეთი არ ჰქონდა. დიეგო არგენტინის ფეხბურთის ფედერაციის საშუალებით ცდილობდა ბილეთის შეძენას, თუმცა ეს არ მოხერხდა. მუნდიალის ორგანიზატორებმა ყველაფერი იღონეს, რათა არგენტინული ფეხბურთის ლეგენდა თამაშზე შესულიყო.

## დუდეკი გაქურდეს

იეჟი დუდეკს ის არ აკმარეს, რომ მუნდიალს მიღმა დარჩა და ახლა პირწმინდად გაქურდეს. შვებულებიდან შინ დაბრუნებულ პოლონელ მეკარეს უსიამოვნო სიურპრიზი ელოდა: მოჰპარეს ყველა მედალი, რომელიც ოდესმე მოუპოვებია (ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულის მედალთან ერთად). მედლების კოლექციას მძარცველებმა ძვირფასეულობა, ფული და დუდეკის კუთვნილი „პორშე კარერაც" მიაყოლეს.

პოლონურმა პოლიციამ თხოვნით მიმართა გულშემატკივრებს, რომ თუ რომელიმე არალეგალურ აუქციონზე აღმოაჩენენ დუდეკის მედლებს, დაუყოვნებლივ აცნობონ სამართალდამცავებს.

## ნევიო სკალა პოლონელებს გაწვრთნის

პოლონეთის ნაკრებისთვის მსოფლიო ჩემპიონატი უკვე დასრულდა. დასრულდა პაველ იანასის სანაკრებო კარიერაც. უკვე გადაწყვეტილია, რომ ეს სპეციალისტი დატოვებს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტს. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პოლონეთის ნაკრები შესაძლოა ცნობილმა იტალიელმა მწვრთნელმა ნევიო სკალამ ჩაიბაროს.

## ადვოკაატმა - "ზენიტში" მივდივარო

კორეის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ჰოლანდიელი დიკ ადვოკაატი მსოფლიო ჩემპიონატის დასრულების შემდეგ სანქტ-პეტერბურგის „ზენიტს" ჩაუდგება სათავეში. ამის თაობაზე უკვე კარგა ხანია საუბრობს რუსული მედია, თუმცა თავად ადვოკაატი ამ ინფორმაციას არ ადასტურებდა. გუშინ ჰოლანდიელმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ნევისპირული გუნდის მწვრთნელი გახდება.

## ლიპი ნაკრებს დატოვებს

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ განაცხადა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ თანამდებობას დატოვებს. ასეთი გადაწყვეტილების ძირითადი მიზეზი, ისაა, რომ იტალიაში აგორებული საფეხბურთო სკანდალის გამო პოლიტიკოსთა ნაწილი ლიპის გადადგომას ითხოვდა, რადგან იტალიის ნაკრების მწვრთნელის სახელი ამ სკანდალში ფიგურირებდა. თუმცა შესაძლოა ეს მხოლოდ საბაბია. რეალური მიზეზი კი ის გახლავთ, რომ მარჩელო ლიპის მადრიდის „რეალში" ეპატიჟებიან.

# გამარჯვებულები



ტევესი ბევრს ეცადა, მაგრამ გოლი ვერ გაიტანა.

ჰოლანდიისა და არგენტინის ნაკრებმა გუნდებმა დააღწიეს თავი „სიკვდილის ჯგუფს" და ღირსეულად გავიდნენ მერვედფინალში. აღსანიშნავია, რომ ჯგუფური ტურნირი ორივე გუნდმა უაღრესად დამაჯერებლად დაძლია და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის ფავორიტთა ნუსხაში ეკუთვნით ადგილი.

უშუალოდ ჰოლანდიისა და არგენტინის დაპირისპირებას არცერთი გუნდისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა არ ჰქონდა. გასარკვევი მხოლოდ ის იყო, თუ ვინ გავიდოდა ჯგუფში პირველ ადგილზე, მაგრამ ამას ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა მარკო ვან ბასტენმა აშკარად არ მიანიჭა დიდი მნიშვნელობა და მატჩის წინ განაცხადა, რომ ყველა იმ ფეხბურთელს ვისაც გაფრთხილება აქვს მიღებული, დაასვენებს.

ვან ბასტენს მერვედფინალში მეტოქეებად პორტუგალია ან მექსიკა უნდა აერჩია და მიიჩნია, რომ მნიშვნელობა არ ჰქონდა რომელ გუნდს დაუპირისპირდებოდა, რადგან „პლეი-ოფში სუსტი გუნდი აღარ არსებობს" - ფიქრობს ლეგენდარული ჰოლანდიელი და ამიტომ გაუთვალისწინებელ ტრავმებს ისევ ფეხბურთელთა დასვენება არჩია. მწვრთნელმა არიენ რობენი და მარკ ვან ბომელი სათადარიგოთა სკამზე დატოვა, სამაგიეროდ მინდორზე გამოიყვანა რაფაელ ვან დერ ვაარტი, რომელმაც ახლახანს მოიშუშა ტრავმა.

თავის მხრივ, არგენტინელებმაც მისცეს დასვენების საშუალება ერნან კრესპოსა და ხავიერ სავიოლას და ძირითად შემადგენლობაში მესი და ტევესი გაამწესეს. თამაში არგენტინელთა იერიშებით დაიწყო. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი ვერ გამოიყენეს. ტაიმის შუაგულში ჰოლანდიელებმა მოახერხეს მატჩის მსვლელობა სასურველ რიტმში გადაეყვანათ და მინდორზე თანაბარი თამაში გაჩაღდა.

სახიფათო მდგომარეობები ორივე კართან იქმნებოდა, მაგრამ გუნდებს აშკარად აკლდათ თავგამოდება და ეტყობოდათ, რომ უკვე მერვედფინალზე ფიქრობდნენ. საბოლოო ჯამში ორივე გუნდის მწვრთნელმა აღიარა, რომ პლეი-ოფების წინ მათ კარგი მოთელვა გაიარეს.

მერვედფინალში არგენტინა მექსიკას დაუპირისპირდება, ჰოლანდია კი პორტუგალიას.

**ჰოლანდია - არგენტინა 0:0**

**ჰოლანდია:** ვან დერ საარი, იალიენსი, ბულაჰრუზი, ვან პერსი (ლანდზაატი, 67`), კუიტი, კოკუ, ვან დერ ვაარტი, ოიერი, დე კლერი, სნაიდერი (მადურო, 86`), ნისტელროოი (ბაბელი, 56`).

**არგენტინა:** აბონდანსიერი, აიალა, ბურდისო (კოლოჩინი, 24`), კამბიასო, მასკერანო, რიკელმე (აიმარი, 80`), ტევესი, მილიტო, კუფრე, როდრიგესი, მესი (კრუზი, 70`).

**გაფრთხილება:** კუიტი, ოიერი, დე კლერი, კამბიასო, მასკერანო.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალიეხო (ესპანეთი).

**9 კარში დარტყმა 10**

**3 კარისკენ დარტყმა 3**

**23 ჯარიმა 17**

**7 კუთხური 10**

**1 თამაშგარე 4**

**53 ბურთის ფლობა 47**

**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** კარლოს ტევესი

## რონალდო ფორმაში შედის

მადრიდის „რეალისა“ და ბრაზილიის ნაკრების ფორვარდი რონალდო აცხადებს, რომ ნელ-ნელა ფორმაში შევიდა.

„გაცილებით უკეთეს ფორმაში ვარ, ვიდრე ვიყავი. ჩვენს წინააღმდეგ ყველა დაცვით ტაქტიკას ირჩევს. ასეთ პირობებში თამაში კი ცოტა რთულია. რაც შეეხება მატჩს იაპონიასთან, არ ვიცი მათამაშებს თუ არა პარეირა. პირადად მე კი მინდორზე გასვლა ძალიან მინდა“, - განაცხადა გუშინ რონალდომ.

## ბრაზილიელები მონსტრები არ არიან

დღეს იაპონიის ნაკრები ბრაზილიელებს დაუპირისპირდება. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებს მერვედფინალში მოხვედრის მცირე შანსი კვლავ შერჩათ. ამისთვის საჭიროა ზიკოს გუნდმა ბრაზილიის ნაკრები დიდი ანგარიშით დაამარცხოს. ზიკომ ურჩია თავის ფეხბურთელებს, რომ მინდორზე შიშით არ გავიდნენ.

„ჩვენ მონსტრებს არ ვეთამაშებით. დიახ, ბრაზილიას ძლიერი გუნდი ჰყავს და ამ გუნდის დამარცხება ძალიან ძნელია, მაგრამ იაპონელები პროფესიონალები არიან და ბოლომდე უნდა დაიხარჯონ. არ შეიძლება მინდორზე შიშით გასვლა. მაშინ მარცხისთვის განწირული ვიქნებით“, - აცხადებს ზიკო.

## „ბარსელონა“ ლამით დაინტერესდა

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ნაკრების მარცხენა მცველის შეძენა კატალონიურ „ბარსელონას“ სურს. მსოფლიო ჩემპიონატის პირველი გოლის ავტორი კატალონიელებს ვან ბრონკჰორსტისა და სილვინიოს შემცვლელად ეგულებათ. შეგახსენებთ, რომ 2007 წელს ორივე ფეხბურთელი დატოვებს „ბარსელონას“.

## „მარსელი“ ემონს ჩააბარეს

ფრანგული „მარსელის“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა 53 წლის ალბერ ემონი, რომელიც გასულ სეზონში ჟან ფერნანდესის თანაშემწე იყო.

ემონი 1972-78 წლებში თამაშობდა „მარსელში“ და რამდენჯერმე ამ გუნდის დროებითი მწვრთნელის ფუნქციასაც ასრულებდა.

## უკრაინელებს ნაკრების სჯერათ

უკრაინის ნაკრების გულშემატკივრებს სჯერათ, რომ ოლეგ ბლოხინის გუნდი შეძლებს მსოფლიო ჩემპინატის მერვედფინალში გასვლას. რამდენიმე დღის წინ უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩატარდა გამოკითხვა, რომლის შედეგადაც გაირკვა, რომ გულშემატკივართა 25 პროცენტი დარწმუნებულია ბლოხინის გუნდის წარმატებაში. მეტიც: კიდევ 25 პროცენტს მიაჩნია, რომ უკრაინის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონიც კი გახდება.

## ვენგერმა „რეალი“ უარყო

„არსენალის“ მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა უარყო ესპანურ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, თითქოს ის მადრიდის „რეალში“ აპირებდეს გადასვლას. ესპანურ გაზეთ „მარკაში“ დაიბეჭდა, რომ ვენგერი სამეფო კლუბს ოთხწლიან კონტრაქტზე შეუთანხმდა.

„ამის თაობაზე არაფერი ვიცი. „რეალთან“ მოლაპარაკება არ მქონია და არც ამ კლუბიდან დამკავშირებია ვინმე. მით უმეტეს, სისულელეა იმის თქმა, თითქოს კონტრაქტზე ხელი მოვაწერე“, - აცხადებს ვენგერი.

## განა ნახევარფინალში

განის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა რადომირ ჯუკიჩმა განაცხადა, რომ მისი გუნდი აშშ-ს ნაკრების წინააღმდეგ შემტევ ფეხბურთს ითამაშებს, რათა მერვედფინალში გასასვლელად საჭირო სამი ქულა მოიპოვოს.

„ფრეზე არ ვფიქრობთ, რადგან არ მინდა, რომ ჩვენი ბედი იტალია-ჩეხეთის მატჩის შედეგზე იყოს დამოკიდებული. თუ იტალიელებმა ჩეხები დაამარცხეს, განის ნაკრები მერვედფინალში აშშ-სთან ფრედ დასრულებული შეხვედრის შემთხვევაშიც გავა. ჩვენ ყოველთვის შემტევ ფეხბურთს ვთამაშობთ და არც ამჯერად ვუღალატებთ ტრადიციას. მიმაჩნია, რომ „შავ ვარსკვლავებს“ ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსი აქვთ“, - აცხადებს ჯუკიჩი.

## ჰიდინკს ლამაზმანებმა უღალატეს

ავსტრალიელი პოპვარსკვლავები, დები კაილი და დანი მინოუგები თურმე ფეხბურთის დიდი თაყვანისმცემლები ყოფილან. ერთი კია: ლამაზმანები მშობლიურ ავსტრალიის ნაკრებს კი არა, ფრანგებს გულშემატკივრობენ. ყველაფერი იმის ბრალია, რომ კაილის მეგობარი მამაკაცი ოლივერ მარტინესი გამუდმებით მხოლოდ საფრანგეთის ნაკრებსა და ზინედინ ზიდანზე ლაპარაკობს.

„ფეხბურთზე გადარეული ოლის გამო ახლა მე და კაილი საფრანგეთის ნაკრების თავგადაკლული გულშემატკივრები ვართ. კაილი მხოლოდ ფრანგ ფეხბურთელებზე მელაპარაკება. თუმცა, რა გასაკვირია, მთელი დღეები ოლისთან ერთად ფეხბურთს უყურებს. ოლისგან საიდუმლოდ რონალდინიოსაც ვგულშემატკივრობთ. სიმპათიურიცაა და ბურთს ისე ეპყრობა, როგორც ნამდვილი ჯადოქარი“, - ამბობს დანი მინოუგი.

## პეროტა და ჯილარდინო მწყობრში არიან

იტალიურ პრესაში გავრცელებული ინფორმაციით, „სკუადრა აძურას“ ფეხბურთელები სიმონე პეროტა და ალბერტო ჯილარდინო ჩეხებთან დღევანდელ პრინციპულ შეხვედრაში მოედანზე გამოვლენ.

იტალიელ ექიმთა განცხადებით, არც ერთი მათგანის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა.

# კოტ დ`ივუარმა მაინც მოიგო


"სპილოები" გამარჯვებას ზეიმობენ.

**კოტ დ`ივუარი - სერბეთი 3:2**
**კოტ დ`ივუარი:** ბარი, ბოკა, ზოკორა, კოასი, არუნა კონე, აკალე (ბაქარი კონე, 60`), დინდანე, დომორაუდი, კეიტა (კალუ, 73`), ტურე, ებუე.
**სერბეთი:** ჯევრიჩი, ერგიჩი, დიულიაი, გავრანჩიჩი, სტანკოვიჩი, პრედრაგ ჯორჯევიჩი, ნენად ჯორჯევიჩი დუდიჩი, კრსტაიჩი (ნადი, 16`), მილოშევიჩი (ზიგიჩი, 67`), ილიჩი.
**გოლები:** 0:1 - ზიგიჩი (10`), 0:2 - ილიჩი (20`), 2:1 - დინდანე (37`), 2:2 - დინდანე (67`), 3:2 - კალუ (86`).
**გაფრთხილება:** კეიტა, დუდიჩი დულიაი, დომორაუდი, დინდანე, გავრანჩიჩი.
**გაძევება:** ნადი (46`), დომორაუდი (92`).
**მსაჯი:** მარკო როდრიგესი (მექსიკა)
**20 კარში დარტყმა 6**
**10 კარისკენ დარტყმა 3**
**13 ჯარიმა 22**
**9 კუთხური 1**
**7 თამაშგარე 1**
**68 ბურთის ფლობა 32**
**მატჩის საუკეთესო მოთამაშე:** არუნა დინდანე

კოტ დ`ივუარის ნაკრებმა ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. მსოფლიო ჩემპიონატის დებიუტანტმა მუნდიალზე უაღრესად კარგი შთაბეჭდილება დატოვა და თავაწეული ტოვებს ტურნირს. დიდი დროგბას და კომპანიას ცოტაოდენი დააკლდათ, რომ ჯგუფიდან გასულიყვნენ. ეს ცოტაოდენი, ალბათ, გამოცდილებაა, რომელიც აფრიკელებს აშკარად აკლდათ და რომლის გამოც ვერ სძლიეს მსოფლიო ფეხბურთის აღიარებულ გრანდებს - ჰოლანდიასა და არგენტინას. ასეა თუ ისე კოტ დ`ივუარმა მაინც მიაღწია მიზანს და დაამარცხა სერბეთის საკმაოდ ძლიერი გუნდი - 3:2.

არადა თამაში ისე დაიწყო ვერავინ იფიქრებდა, თუ აფრიკელები გამარჯვებას მოიპოვებდნენ. უკვე მატჩის მე-20 წუთზე სერბები - 2:0 იგებდნენ და აკონტროლებდნენ კიდეც თამაშს, მაგრამ მას შემდეგ, რაც მინდვრიდან ნადი გააძევეს სლავების საქმე სულ უფრო უკან წავიდა.

აფრიკელებმა ტემპს უმატეს და უპირატესობაც მოიპოვეს. დინდანემ ჯერ ანგარიშში სხვაობა შეამცირა შემდეგ კი წონასწორობაც აღადგინა. მატჩის მიწურულს კი ბონავენტურა კალუმ ზუსტი დარტყმით გამარჯვება მოუტანა კოტ დ`ივუარის ნაკრებს.

# სკოლარის მორიგი რეკორდი


პორტუგალიელებმა სამივე თამაში მოიგეს.

**პორტუგალია - მექსიკა 2:1**
**პორტუგალია:** რიკარდო, მიგელი (პაულო ფერეირა 61), მეირა, რიკარდო კარვალიო, კანეირა, მანიშე, პეტიტი, ფიგუ (ბოა მორტე 80), ტიაგო, სიმაო, პოშტიგა (ნუნუ გომეში 69)
**მწვრთნელი:** ლუიშ ფელიპე სკოლარი
**მექსიკა:** სანჩესი, როდრიგესი (ზინია 46), ოსორიო, სალსიდო, მენდეში (ფრანკო 80), მარკესი, პარდო, პინედა (კასტრო 69), პერესი, ბრავო, ფონსეკა
**მწვრთნელი:** რიკარდო ლავოლპე
**გოლები:** 1:0 მანიშე (6)ბ 2:0 სიმაო (27 პენ), 2:1 ფონსეკა (29)
**გაფრთხილება:** მიგელი, მანიშე, ბოა მორტე, ნუნუ გომეში - როდრიგესი, პერესი, მარკესი, ზინია
**გაძევება:** პერესი (61)
**მსაჯი:** ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)
**5 კარში დარტყმა 6**
**11 კარისკენ დარტყმა 14**
**29 ჯარიმა 18**
**4 კუთხური 5**
**1 თამაშგარე 2**
**50% ბურთის ფლობა 50%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ხოსე ფონსეკა

მექსიკისა და პორტუგალიის ნაკრები გუნდები აგრძელებენ ასპარეზობას მსოფლიო ჩემპიონატზე. მიუხედავად იმისა, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარის შეგირდებმა მექსიკელები დაამარცხეს, რიკარდო ლავოლპეს გუნდმა მაინც მოიპოვა მერვედფინალის საგზური და ამას მექსიკელები პირველ რიგში ირანის ნაკრებს უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ანგოლასთან იბრძოლა და საპატიო ფრეს მიღწია.

თავად მატჩი განსაკუთრებით საინტერესო არ ყოფილა. თავიდან პორტუგალიელები ფლობდნენ უპირატესობას. სკოლარის შეგირდებმა სწრაფად გაიტანეს ორი გოლი, თუმცა ასევე სწრაფად მიიღეს საკუთარ კარში საპასუხო გოლი. ამის შემდეგ თითქოს ყველაფერი დასრულდა. მექსიკელებს პრაქტიკულად გარანტირებული ჰქონდათ მერვედფინალის საგზური, ვინაიდან ანგოლის ნაკრებს პარალელურად მიმდინარე მატჩი უკვე სამი ბურთის სხვაობით უნდა მოეგო.

სკოლარიმ თავისი გუნდის რამდენიმე ლიდერს დასვენების საშუალება მისცა. კერძოდ, არ თამაშობდნენ კოშტინია, კრისტიანო რონალდუ, დეკო და პაულეტა.

მატჩის მეორე ნახევარში მექსიკის ნაკრები თითქოს ინერციით აგრძელებდა შეტევებს. იყო ანგარიშის გათანაბრების შანსიც, თუმცა, ბრავომ პენალტი იმდენად უხეიროდ შეასრულა, რომ ბურთი კარის ნაცვლად ტრიბუნებზე გაგზავნა. აცილებულმა პენალტმა მექსიკელებს დიდად არ გაუფუჭა გუნება, რადგან საწადელს მაინც მიაღწიეს. ერთი კია: თავიდანვე ცხადი იყო, რომ ანგოლა ირანს ვერ გაანადგურებდა და მექსიკა-პორტუგალია მერვედფინალში გავიდოდა. ამიტომ ცოტა გასაკვირია, რომ ფეხბურთელები ერთმანეთს არ ინდობდნენ, მინდორზე უხეშობაც ხშირი იყო და ხისტი თამაშიც. აქვე გეტყვით, რომ ლუიშ ფელიპე სკოლარიმ საკუთარი რეკორდი კიდევ ერთხელ გააუმჯობესა: ამჟამად ბრაზილიელ მწვრთნელს მსოფლიო ჩემპიონატების ფინალურ ეტაპებზე უკვე ზედიზედ ათი მატჩი აქვს მოგებული. საეჭვოა, რომ სკოლარის ეს შედეგი უახლოეს წლებში გაუმჯობესდეს.

# ირანი არ დანებდა



ანგოლელთა გოლი.

**ირანი - ანგოლა 1:1**
**ირანი:** მირზაპური, ქაები (ბორჰანი 67), რეზაი, ბახტიარზადეჰი, ნოსრატი (შოჯაი 13), მაჰდავიკია, მადანში, თეიმურიანი, ზანდი, დაეი, ჰაშიმიანი (ხატაბი 39)
**მწვრთნელი:** ბრანკო ივანკოვიჩი
**ანგოლა:** ჟოაო რიკარდო, ლოკო, ჯამბა, კალი, დელგადო, მილოი, ზე კალანგა, ფიგუერედო (მანუელ მარკეში 73), მენდონკა, მატეუში (ლოვი 23), აკვა (ფლავიო 51)
**მწვრთნელი:** კონკალვესი
**გოლები:** 0:1 ფლავიო (60), 1:1 ბახტიარზადეჰი (75)
**გაფრთხილება:** მადანში, თეიმურიანი, ზანდი - ლოკო, მენდონკა, კალანგა
**მსაჯი:** მარკ შილდი (ავსტრალია)
**13 კარში დარტყმა 7**
**18 კარისკენ დარტყმა 15**
**19 ჯარიმა 23**
**3 კუთხური 6**
**2 თამაშგარე 5**
**55% ბურთის ფლობა 45%**
**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი:** ზე კალანგა

ამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით კი ჰქონდა მნიშვნელობა, მაგრამ ყველას ესმოდა, რომ ანგოლელთა გასვლა მერვედფინალში საოცრებათა სფეროს განეკუთვნებოდა. არსებობდა ერთადერთი შანსი იმისა, რომ ანგოლას სასურველი ანგარიშით მოეგო: ირანელებს უბრალოდ უნდა დაეთმოთ მეტოქისთვის. ასეთი რამ კი მსოფლიო ჩემპიონატზე, მსუბუქად რომ ვთქვათ, იშვიათია. ირანელები დანებებას რომ არ აპირებდნენ, თავიდანვე ცხადი იყო. ბრანკო ივანკოვიჩმა ძირითადში ირანული ფეხბურთის ცოცხალი ლეგენდა ვეტერანი ფორვარდი ალი დაეი დააყენა. მართალია, ირანელთა ლიდერს თითქმის არაფრით გამოუჩენია თავი, მაგრამ ალბათ სიმბოლურია, რომ ამ დიდი ფეხბურთელის კარიერა სწორედ მუნდიალზე დასრულდა. საეჭვოა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ ალი დაეიმ ფეხბურთის თამაში გააგრძელოს.

თავად მატჩი კი განსაკუთრებით საინტერესო არ ყოფილა. ანგოლელები შეძლებისდაგვარად უტევდნენ, თუმცა სათამაშო უპირატესობა მაინც ირანის ნაკრებს ჰქონდა. როდესაც მე-60 წუთზე ფლავიომ ანგოლელები დააწინაურა, აფრიკელებს იმედის ნაპერწკალი გაუჩნდათ. პარალელურად მიმდინარე მატჩს პორტუგალია იგებდა და თუ ანგოლის ნაკრები კიდევ ორ გოლს გაიტანდა, სასწაულიც მოხდებოდა. მაგრამ ანგოლელთა სიხარულმა მხოლოდ 15 წუთს გასტანა. 75-ე წუთზე ბახტიარზადეჰმა ანგარიში გაათანაბრა და ამით ფაქტობრივად ყველაფერი დასრულდა. მართალია, ანგოლისა და ირანის ნაკრებმა გუნდებმა ჯგუფური ეტაპის ბარიერი ვერ გადალახეს, მაგრამ მუნდიალი უქულოდ არ დაუსრულებიათ და გულშემატკივარსაც კარგად დაამახსოვრეს თავი.

# მინდა კლუბი ვიყიდო, დამეხმარებით?

მსოფლიო ჩემპიონატი მხოლოდ ლამაზი ფეხბურთი და თამაშები როდია. კულისებშიც არანაკლებ საინტერესო ცხოვრება მიმდინარეობს. მუნდიალი ხომ ნამდვილი საფეხბურთო ბაზარია და გერმანიაში ახლა რა ტიპის გარიგებები არ ხდება. მაგალითად, უკრაინა-საუდის არაბეთის მატჩის წინა დღეს მილიონერი არაბები უფრო ბიზნესზე ფიქრობდნენ, ვიდრე მომავალ მატჩზე. ამის შესახებ მასალა გაზეთ THE GUARDIAN-ში გამოქვეყნდა. ცნობილი ბრიტანული გაზეთის ჟურნალისტი მარინა ჰაიდი ჰამბურგში იმყოფებოდა და მკითხველს საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა. გთავაზობთ მარინა ჰაიდის მასალის ქართულ თარგმანს.

„მსოფლიო ჩემპიონატი შესაძლოა მივიჩნიოთ ახალი მეგობრების გაჩენის პერიოდად, ყოველ შემთხვევაში, სწორედ ასეთია ოფიციალური ვერსია, თუმცა რეალურად მუნდიალში გარიგებების დროა. მიუხედავად იმისა, რომ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა კორპორაციული ინტერესების დაცვაზე ოფიციალურად უარი განაცხადა, ბილეთების უდიდესი ნაწილი ბიზნესმენებისა და მაგნატების ხელში აღმოჩნდა. ეს ყველაზე მეტად ჰამბურგში იგრძნობოდა საუდის არაბეთისა და უკრაინის მატჩის წინ.

ერთი მხრივ, ეს იმდენად ფეხბურთი არ ყოფილა, რამდენადაც მსხვილი გარიგებების გაფორმებისთვის შექმნილი ლამაზი ფონი. უკრაინის ნაკრების გულშემატკივართა ნასვამი ხელმძღვანელები FAN FEST-ში ერთობოდნენ, საუდის არაბეთის ნაკრების გულშემატკივარს კი ქუჩაში სანთლითაც ვერ იპოვიდი. მათი უმეტესობა ჰამბურგის ყველაზე პრესტიჟულ და ძვირფას სასტუმრო FOUR SEASONS-ში იყო შეყუჟული.

„იქ ძალიან ბევრი მდიდარი ადამიანია“, - ამიხსნა ადგილობრივმა ტაქსისტმა. კარგია თუ არა ეს მისი ბიზნესისთვის? „არა, - მიპასუხა მოღუშულმა, - ყველას ლიმუზინი ჰყავს“.

ეტყობა, მართლაც ყველას ჰყავს ლიმუზინი. სასტუმროს წინ ლიმუზინების მთელი რიგი იდგა. მათი მფლობელები კი არსად ჩანდნენ. ეულად მყოფი გულშემატკივარი მოწყენილი აფრიალებდა დროშას იმ იმედით, რომ ერთ მილიარდერს მაინც მოჰკრავდა თვალს, მაგრამ სასტუმროს ბინადრებს გარეთ არაფერი ესაქმებოდათ, FOUR SEASONS-ის ჰოლში დიდი ბიზნესი ყვაოდა.



საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პრინცი ფაჰად ბინ აბდულ აზიზი.

სასტუმროს ჰოლში მუხით მოპირკეთებული მაგიდების უმეტესობა არაბ მამაკაცებს ეკავათ. ზოგიერთ მაგიდასთან, ოდნავ მოშორებით, ბოდიგარდები იდგნენ. ცდუნება დიდია: გინდა, რომ მაგიდებთან შეკრებილების საუბარს მოუსმინო, თუმცა ყველაზე საინტერესო ჰოლის კუთხეში შეკრებილი ოთხი მამაკაცის საუბარია. ორი არაბია, რაზეც მათი სავიზიტო ბარათები მიუთითებს. აშკარად საუდის არაბეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლები არიან. მათ გვერდით ორი უკრაინელი ზის, ასევე საფეხბურთო ჩინოსნები.

ერთ-ერთი არაბი აღიარებს, რომ მათი ნაკრების მთავარი პრობლემა ლეგიონერების არარსებობაა, ნაკრები მთლიანად საუდის არაბეთში მოთამაშე ფეხბურთელებით არის დაკომპლექტებული და ამ ვითარებაში წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

„ნება მიბოძეთ გითხრათ, თუ რას ვაპირებთ, - სიამოვნებით ამბობს ერთი არაბი, - ოღონდ ეს საიდუმლოა. საუდის არაბეთის ნაკრების მთავარი პრობლემა ის არის, რომ ჩვენი ფეხბურთელები ევროპაში არ თამაშობენ. ამიტომაც გვინდა ევროპაში სპეციალური აკადემია ჩამოვაყალიბოთ“.

„როგორ? - დაინტერესდა უკრაინელი.

„ვყიდულობთ კლუბს, მაგრამ არავინ იცის, რომ ეს კლუბი საუდის არებეთის იქნება, ოფშორულ კომპანიად გავაფორმებთ“.

„რომელ კლუბს იყიდით?“ - დაინტერესდა უკრაინელი.

„დაინტერესებული ვიყავით „ნაპოლითი“, მაგრამ მითხარით, არის კი ამისთვის უკეთესი ადგილი, ვიდრე ბელგიაა. მე კლუბის საყიდლად უკეთესი ადგილი არ მეგულება. ახლა მისმინეთ. ჩვენ სამ კლუბს შორის ვაკეთებთ არჩევანს. „შარლერუა“, „ბრიუსელი“ და... ერთი წამით, - არაბმა მამაკაცმა ტელეფონზე დარეკა, - რა კლუბს ვყიდულობთ? „შარლერუა“, „ბრიუსელი“ და... ჰო, ჰო, „ბევერენი“. მართლა, „ბევერენში“ ვინმეს ხომ არ იცნობთ?“

„ახლოს არა, - გულგრილად პასუხობს უკრაინელი, - ისე, ბელგიაში დარწმუნებული ხართ?“

„დიახ. ინგლისი და საფრანგეთი დიდი პრობლემებია. გავაგრძელებ. მოკლედ, ვყიდულობთ კლუბს, რომელსაც უკვე ჰყავს გულშემატკივარი. შემდეგ ვაყალიბებთ ჩვანთვის საჭირო საფეხბურთო აკადემიას და ყოველწლიურად 40-მდე საუდელ ბავშვს ვგზავნით. 17-18 წლიდან 21 წლამდე ისინი ევროპაში ითამაშებენ, შემდეგ კი სამშობლოში ვაბრუნებთ. ახლა საუდური ლიგა ასი პროცენტით ადგილობრივებითაა დაკომპლექტებული. იმ დროისთვის კი თანაფარდობა შეიცვლება. აკადემიაში საუდელი ბავშვების გარდა უცხოელებიც ისწავლიან და შემდეგ მათაც საუდის არაბეთში ვათამაშებთ. გვინდა, რომ ლიგაში 20% მაინც იყოს ლეგიონერი.“

„კი მაგრამ, ფული?“ - იკითხა უკრაინელმა.

„ფინანსების პრობლემა არ არსებობს“, - ღიმილით ამბობს საუდის არაბეთის წარმომადგენელი. გეტყვით, რომ ტუნისთან ფრედ დამთავრებულ მატჩში საუდის არაბეთის ნაკრების თითოეულმა ფეხბურთელმა პრემიის სახით 15 ათასი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

რაც შეეხება სხვა საუბრებს, ვინ იცის, რაზე ლაპარაკობდნენ სხვა მაგიდებთან. ყოველ შემთხვევაში, რა ტაქტიკით ითამაშებდა საუდის არაბეთის ნაკრები უკრაინელთა წინააღმდეგ, ამ თემას არვინ შეხებია. ეს არც არავის აინტერესებდა.

ორი წლის წინ ჰამბურგში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთში ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამუშავების შესახებ. გაათმაგებული უსაფრთხოების ზომები და ჰაერში მოტრიალე ფულის სუნი ძალაუნებურად გაფიქრებინებდა, რომ მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატი სწორედ ამ სასტუმროს ჰოლში იმართება.

ერთადერთი, რაც დაგაფიქრებდათ, ის იყო, რომ აქ არ ჩანდა უკრაინის მთავრობის წარმომადგენელი. სულ რაღაც ერთი კვირის წინ ამ ქვეყნის პრემიერი წუწუნებდა, უკრაინა ვერაფრით ახერხებს გაზის გამო რუსეთის გავლენის შემცირებას. არადა, ვისაც ენერგიის ალტერნატიული წარმოების შოვნა სურდა, ამ საღმაოს FOUR SEASONS-ს ჰოლში იყვნენ.

აი FAN FEST-ს კი ნაკლებად გაუმართლა. მხიარული და ნასვამი უკრაინელები ლაღობენ, საუდელებს კი არც ალკოჰოლური სასმელი იზიდავთ და არც ტრადიციული საფეხბურთო გართობა.

ერთ-ერთმა ჰამბურგელმა ქირურგმა საიდუმლოდ ისიც მითხრა, რომ ახლო აღმოსავლეთის მდიდარ სტუმრებს ჰამბურგის კლინიკებში მკურნალობის სურვილიც აქვთ.

მოკლედ, უყურე ფეხბურთს, იმკურნალე, გააფორმე გარიგება და იყიდე საფეხბურთო კლუბი.

ასეთია მსოფილო ჩემპიონატის გამოცდილება.“

# კლოზეს ცხრიანი

გერმანელთა თავდასხმის უპირობო ლიდერმა მიროსლავ კლოზემ ეკვადორთან შესრულებული დუბლის შედეგად ქვეყნის საფეხბურთო ელიტაში საპატიო ადგილი დაიკავა.

წარმოშობით პოლონელი ფორვარდი მსოფლიო ჩემპიონატებზე გატანილი 9 გოლით ისეთი ლეგენდების გვერდით აღმოჩნდა, როგორებიც არიან კარლ-ჰაინც რუმენიგე და უვე ზეელერი (9-9). მათგან განსხვავებით, მიროსლავ კლოზეს რეალური შანსი აქვს გერდ მიულერის (14), იურგენ კლინსმანისა (11) და რან ჰელმუტის (10) მიღწევები გაიმეოროს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მსოფლიო პირველობა მიროსლავ კლოზეს „მეორე სამშობლოში“ ტარდება, უნდა ვივარაუდოთ, რომ გერმანელი ფორვარდი ნაკრებთან ერთად ფინალშიც გააღწევს. გზად კი საკუთარ შედეგს კიდევ უფრო გააუმჯობესებს.

ის, რომ მიროსლავ კლოზე გერმანელთა დარად სიტყვაძუნწი აღმოჩნდა, მის თანამემამულე ჟურნალისტს არ გაჰკვირვებია. გასაკვირი ის იყო, რომ ბუნდესნკარების გოლეადორი კითხვებზე პასუხის გაცემაშიც ისეთი სწრაფი აღმოჩნდა, როგორც მოედანზე გოლების გატანაში.

**- მირო, შეგვიძლია მოგილოცოთ, მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირი ხართ...**

- ია ია, ნათურლიხ... - უპასუხა თანამემამულეს გერმანულ ენაზე და გაჩუმდა. პრინციპში, სხვა რა უნდა ეთქვა.

**- კიდევ რამდენჯერ აპირებთ მეტოქეთა დამწუხრებას?**

- რაც შეიძლება, ბევრჯერ. რა თქმა უნდა, კონკრეტული ციფრი არ მაქვს მიზნად დასახული, მაგრამ მიღწეულზე გაჩერებას არ ვაპირებ.



**- როგორ ფიქრობთ, შეძლებთ წელს ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი გახდეთ?**

- არ ვიცი, ახლა ვერაფერს გიპასუხებთ. მომავალი გვიჩვენებს. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანი გუნდთან ერთად მსოფლიო ჩემპიონობაა.

**- ჯგუფური ტურნირიდან გასვლის შემდეგ ბუნდესნაკრების ფინალში გასვლის შანსებს როგორ შეაფასებთ?**

- ვფიქრობ, ჩვენს მიერ ნაჩვენები სამი მატჩის ჯამში უკმაყოფილო არავინ დარჩენილა. ფინალამდე, რა თქმა უნდა, უფრო რთული გზა გველის, ვიდრე ჯგუფური ეტაპი იყო, მაგრამ არა მგონია, გაგვიჭირდეს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, მეტოქე ვინ გვეყოლება.

**- თქვენ ვის ისურვებდით?**

- ფავორიტებთან შეხვედრა რაც შეიძლება გვიან ჯობს. სიმართლე გითხრათ, ძალიან გამიხარდა, რომ ინგლისელებს მერვედფინალში არ გადავეყრებით.

**- მეოთხედფინალური საგზურისთვის შვედებს შეებრძოლებით. ეს კარგია თუ ცუდი?**

- ჩემი აზრით, ინგლისი და შვედეთი დაახლოებით ერთი დონის გუნდებია. უბრალოდ, ინგლისელებს დიდი საფეხბურთო წარსული აქვს. ამიტომაა, რომ მათ უფრო უფრთხიან, ვიდრე შვედებს.

**- ისევ თქვენს ბომბარდირობას დავუბრუნდეთ. ვის შეუძლია კონკურენცია გაგიწიოთ?**

- ვფიქრობ, მას, ვისი ნაკრებიც ტურნირზე უფრო შორს გააღწევს. ვიცი, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ ბომბარდირთა დავაში ფავორიტებად ადრიანოსა და რონალდოს ასახელებდნენ, მაგრამ ბრაზილიელთა მიღწევების შესახებ ყველამ კარგად იცით.

## გია ფირცხალავა: „ჩემპიონატმა ანგარიში დაიწყო“

„ჯგუფური ეტაპის მესამე ტურის მთავარი მახასიათებელი ის არის, რომ გუნდების უმეტესობამ ანგარიში დაიწყო. მეორე ტურის შემდეგ გუნდების რეკორდულმა რაოდენობამ - რვა ნაკრებმა შეძლო პლეი-ოფის საგზურის მოპოვება, რამაც მესამე ტურის იმ თამაშებს, რომელშიც ეს გუნდები მონაწილეობენ, ერთგვარად ინტერესი დაუკარგა. მესამე ტურში უკვე ჩატარებული შეხვედრებიდან თავისი რეალური სახე მხოლოდ გერმანიამ წარმოაჩინა. ამ გუნდს „საკუთარი კედლები“ და გულშემატკივრები არ აპატიებენ ძალების დაზოგვას და კომპრომისს თუნდაც ისეთ თამაშში, რომელსაც არანაირი სატურნირო და პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. შედეგად ის მივიღეთ, რომ გერმანია-ეკვადორის მატჩში მხოლოდ ერთმა გუნდმა ითამაშა. სამხრეთამერიკელებმა ეს თამაში მოედანზე გამოსვლამდე წააგეს, რაც უშუალოდ შეხვედრის დროს მათ მოქმედებაშიც აისახა. გერმანიის ნაკრები რომ უფრო მაღალი კლასის გუნდია, ვიდრე ეკვადორი, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. თუმცა, კლასში სხვაობა იმდენად დიდი არ არის, რომ სამბურთიან სხვაობას იძლეოდეს.

ასევე დიდი სპეციალისტობა არ სჭირდება იმის თქმას, რომ ინგლისმა და შვედეთმა ურთიერთშეხვედრისას ძალები დაზოგეს. ისე არ გამიგოთ, თითქოს ან ერთ, ან მეორე გუნდს მოლაპარაკებულ თამაშში ბრალს ვდებდე. უბრალოდ, ძნელია მოსთხოვო ფეხბურთელებს მაქსიმალურად მობილიზებულად და კონცენტრირებულად, ძალების დაუზოგავად თამაში ისეთ მატჩში, რომელიც მხოლოდ მორალურ კმაყოფილებას მოგიტანს. ამიტომ ამ გუნდებმა, ასე ვთქვათ, „ღია ვარჯიში“ ჩაატარეს, იხალისეს და მერვედფინალს მშვენიერ გუნებაზე შეხვდებიან. სამწუხაროა, რომ ინგლისს, რომელსაც თავდასხმის ხაზში ისედაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა, კიდევ ერთი თავსატეხი გაუჩნდა. ვერ წარმომიდგენია, რითი უნდა შეავსოს სვენ გორან ერიქსონმა მაიკლ ოუენის ტრავმით მიღებული დანაკლისი. ორი მერვედფინალური წყვილი უკვე მივიღეთ: გერმანია-შვედეთი და ინგლისი-ეკვადორი. ვფიქრობ, ამ წყვილებში ფავორიტების ვინაობა ეჭვს არ იწვევს. ინგლისს და გერმანიას, წესით, არ უნდა გაუჭირდეთ მეოთხედფინალში გასვლა. და მაინც, უფრო მეტ წინააღმდეგობას მასპინძელთა გუნდი წააწყდება. გერმანიის ნაკრები ჯერ შვედეთის ეროვნული გუნდის მსგავს მეტოქეს ამ ჩემპიონატზე არ შეხვედრია. თითქმის ანალოგიური რამ გამეორდა მექსიკა-პორტუგალიის შეხვედრაშიც. სანამ პარალელურ მატჩში ირანსა და ანგოლას შორის ვითარება გაურკვეველი იყო და ანგოლა იგებდა კიდეც, რის გამოც მექსიკა მერვედფინალში ვერმოხვედრის საშიშროების წინაშე იდგა, თამაში კიდევ რაღაცას ჰგავდა. თუმცა, როგორც კი ირანმა ანგარიში გაათანაბრა და საბოლოოდ ცნობილი გახდა, რომ მექსიკას საფრთხე აღარ ელოდა, ტემპი საბოლოოდ დაეცა და თამაშმა ერთგვარად კომიკური ელფერი მიიღო. თუმცა, ორივე გუნდს წილისყრამ ურთულესი მეტოქეები არგუნა. გაცილებით მაღალი ოსტატობა გამოავლინეს ქვეჯგუფში არგენტინამ და ჰოლანდიამ, რის გამოც C და D ჯგუფებიდან შედგენილ მერვედფინალურ წყვილებში ფავორიტებად სწორედ არგენტინის და ჰოლანდიის ნაკრებები მიმაჩნია.

ხვალ და ზეგ კი გაცილებით სერიოზული თამაშები გველის. გამოვყოფ ორს - ჩეხეთი-იტალიას და საფრანგეთი-ტოგოს. ჩეხეთს შემდეგ ეტაპზე მოხვედრისთვის მხოლოდ გამარჯვება სჭირდება, იტალიას კი ფრეც აძლევს ხელს. ამ ფსიქოლოგიურიმა ფაქტორმა, შესაძლოა, იტალიელთათვის ცუდი როლი ითამაშოს. თუმცა, არა მგონია, ლიპის დონის სპეციალისტს ეს შეეშალოს და თავისი გუნდი მოედანზე ფრის შესანარჩუნებლად გაიყვანოს. ფრანგებს კი აშკარად არ მისდით თამაში. პირველ რიგში მათ სწორედ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ. ზედიზედ რვა წელია, საფრანგეთის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე თამაში არ მოუგია. თან, ზიდანიც არ ეყოლებათ და ეს გარემოება მათ ხვედრს კიდევ უფრო ამძიმებს. გუნდში ვითარებაც საკმაოდ არეულია, მწვრთნელს აშკარად არ სცემენ პატივს, რაც საფრანგეთი-კორეის მატჩის დროს ნათლად გამოჩნდა ზიდანისა და ტრეზეგეს ჟესტიკულაციაში. ნებისმიერ სხვა ვითარებაში ფრანგთათვის ტოგოს ნაკრების თანაბარსაპირწონე მეტოქედ მოხსენიება სასაცილო იქნებოდა. ახლა კი სხვა ვითარებაა და „სამფეროვნებს“ უამრავი დაბრკოლების გადალახვა მოუწევთ მერვედფინალში თამაშის უფლების მოსაპოვებლად.“

## ფერდინანდი ითამაშებს

ინგლისის ნაკრების სამედიცინო პერსონალის განცხადებით, გუნდის მცველი რიო ფერდინანდი, რომელმაც შვედეთთან მატჩში დაჭიმული კუნთის გამო მოედანი დროზე ადრე დატოვა, კვირის ბოლომდე ფორმას აღიდგენს. 25 ივნისს ინგლისის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის მერდვეფინალში ეკვადორს დაეჯახება.

## უიმბლდონზე ჩოგბურთელები განთესეს

მართალია, ამჟამად მთელი სამყაროს ყურადღება ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატისკენ არის მიპყრობილი, მაგრამ ორშაბათს არანაკლებ საინტერესო ტურნირი დაიწყება. სტრტს აიღებს 2006 წლის უიმბლდონის ტურნირი. ორგანიზატორებმა უკვე განთესეს ჩოგბურთელები.

| ვაჟები: | ქალები: |
|---|---|
| 1.როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 1.ამელი მაურესმო (საფრანგეთი) |
| 2.რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 2.კიმ კლაისტერსი (ბელგია) |
| 3.ანდი როდიკი (აშშ) | 3.ჟუსტინ ენინ არდენი (ბელგია) |
| 4.დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) | 4.მარია შარაპოვა (რუსეთი) |
| 5.ივან ლუბიჩიჩი (ხორვატია) | 5.ნადია პეტროვა (რუსეთი) |
| 6.ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 6.სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) |
| 7.მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 7.ვენუს უილიამსი (აშშ) |
| 8.ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 8.ელენა დემენტიევა (რუსეთი) |
| 9.ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 9.პატი შნიდერი (შვეიცარია) |
| 10.ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 10.ანასტასია მისკინა (რუსეთი) |
| 11.ტომი რობრედო (ესპანეთი) | 11.ნიკოლ ვაიდასოვა (ჩეხეთი) |
| 12.ტომას იუჰანსონი (შვედეთი) | 12.ფრანჩესკა სკიავონე (იტალია) |
| 13.ტომაშ ბერდიჩი (ჩეხეთი) | 13.მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) |
| 14.რადეკ სტეპანეკი (ჩეხეთი) | 14.ანა-ლენა გრონფელდი (გერმანია) |
| 15.სებასტან გროჟანი (საფრანგეთი) | 15.დინარა საფინა (რუსეთი) |
| 16.გასტონ გაუდიო (არგენტინა) | 16.დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) |
| 17.რობი გინეპრო (აშშ) | 17.ფლავია პენეტა (იტალია) |
| 18.ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 18.მარია კირილენკო (რუსეთი) |
| 19.მარკოს ბაგდატისი (კვიპროსი) | 19.აი სუგიამა (იაპონია) |
| 20.ტომი ჰაასი (გერმანია) | 20.ანა ივანოვიჩი (სერბეთი) |
| 21.დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 21.სარა პერი (ისრაელი) |
| 22.ჟილ მონფისი (საფრანგეთი) | 22.კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) |
| 23.იარკო ნეიმინენი (ფინეთი) | 23.ნატალი დეუ (საფრანგეთი) |
| 24.დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 24.ანაბელ მედინა გარიგესი (ესპანეთი) |
| 25.ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 25.მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) |
| 26.ანდრე აგასი (აშშ) | 26.ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) |
| 27.ოლივიე როში (ბელგია) | 27.ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) |
| 28.დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) | 28.ნა ლი (ჩინეთი) |
| 29.ფერნანდო ვერდასკო (ესპანეთი) | 29.სოფია არვიდსონი (შვედეთი) |
| 30.კრისტოფ ვლეგენი (ბელგია) | 30.ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) |
| 31.ნიკოლა მასუ (ჩილე) | 31.ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) |
| 32.პოლ-ანრი მატეუ (საფრანგეთი) | 32.ჟიზელა დულკო (არგენტინა) |

## 2000 გოლი

1930 წელს საფრანგეთისა და მექსიკის ნაკრები გუნდების შეხვედრაში ფრანგმა ლუსიენ ლორანმა მსოფლიო ჩემპიონატების პირველი გოლი გაიტანა და სამუდამოდ შევიდა ფეხბურთის ისტორიაში. სამშაბათს ინგლისისა და შვედეთის ნაკრები გუნდების შეხვედრაში მარკუს ოლბაკმა მსოფლიო ჩემპიონატების მე-2000 გოლით ასევე დაიმკვიდრა ადგილი საფეხბურთო ისტორიაში. ქვემოთ გთავაზობთ ყველა საიუბილეო გოლის ავტორებს:

1 ლუსიენ ლორანი (საფრანგეთი) - 1930 წელს მექსიკასთან
100 ანჯელო სკიავიო (იტალია) - 1934 წელს აშშ-სთან
200 ჰანსი კელერი (შვედეთი) - 1938 წელს კუბასთან
300 ჩიკო (ბრაზილია) - 1950 წელს ესპანეთთან
400 მაქს მორლოკი (გფრ) - 1954 წელს თურქეთთან
500 ჯონ კოლინზი (შოტლანდია) - 1958 წელს პარაგვაისთან
600 დრაჟენ იერკოვიჩი (იუგოსლავია) - 1962 წელს ურუგვაისთან
700 ჯი სეუ პარკი (კორეა) - 1966 წელს ჩილესთან
800 გერდ მიულერი (გფრ) - 1970 წელს ბულგარეთთან
900 ექტორ იასალდე (არგენტინა) - 1974 წელს ჰაიტისთან
1000 რობი რენსენბრინკი (ჰოლანდია) - 1978 წელს შოტლანდიასთან
1100 სერგეი ბალტაჩა (სსრკ) - 1982 წელს ახალ ზელანდიასთან
1200 ჟან-პიერ პაპენი (საფრანგეთი) - 1986 წელს კანადასთან
1300 გარი ლინეკერი (ინგლისი) - 1986 წელს პარაგვაისთან
1400 ჯონი ექსტრიომი (შვედეთი) - 1990 წელს კოსტა რიკასთან
1500 კლაუდიო კანიჯა (არგენტინა) - 1994 წელს ნიგერიასთან
1600 პიერ ისა (სარ) - 1998 წელს საფრანგეთთან (საკუთარ კარში)
1700 ოლივერ ბირჰოფი (გერმანია) - 1998 წელს ირანთან
1800 ბეტუ (პორტუგალია) - 2002 წელს აშშ-სთან
1900 კრისტიან ვიერი (იტალია) - 2002 წელს კორეასთან
2000 მარკუს ოლბაკი (შვედეთი) - 2006 წელს ინგლისთან

## ბლაზი „ფიორენტინაში" განათხოვრდა

ტურინის „იუვენტუსის" ნახევარმცველი მანუელე ბლაზი კლუბმა ფლორენციის „ფიორენტინაში" ერთი წლით გაანათხოვრა.

26 წლის ფეხბურთელი, რომელსაც „სკუადრა აძურას" შემადგენლობაში რვა შეხვედრაში უთამაშია, იტალიელთა თავკაცმა მარჩელო ლიპიმ გერმანიაში არ წაიყვანა.

„იუვენტუსის" გარდა, მანუელე ბლაზის „რომას", „პერუჯასა" და „პარმაში" უთამაშია. თუმცა, სერია ა-ში ერთი გოლიც არ გაუტანია. 2003-04 წლების სეზონში, მას შემდეგ, რაც სისხლში აკრძალული პრეპარატი ნანდროლონი აღმოუჩინეს, ხუთთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს.

თავის მხრივ, „ფიორენტინას" ხელმძღვანელობამ ტურინელებს 7 მილიონი ევრო შესთავაზა რუმინელი თავდამსხმელის ადრიან მუტუს სანაცვლოდ. თუმცა, ტურინელთა წარმომადგენლ ალესიო სეკოს საბოლოო პასუხი ჯერ არ უთქვამს.

ცნობისთვის: განახლებულ სეზონში „ფიორენტინა" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდში ითამაშებს.

## გერმანელი ხულიგნები

კიოლნის ადგილობრივმა პოლიციამ ინგლისი-შვედეთის მატჩის მიმდინარეობისას 50 გერმანელი ხულიგანი დააკავა. ხელჩართული ბრძოლა ნასვამ ინგლისელ, შვედ და გერმანელ ქომაგებს შორის გაიმართა. გერმანელმა ფანებმა, რომლებიც ბუნდესნაკრების ეკვადორთან გამარჯვებას ზეიმობდნენ, ვერ აიტანეს ინგლისელი და შვედი ქომაგების კიოლნში ყოფნა და მათ ლუდის ქილები დაუშინეს.

გერმანელების გარდა, პოლიციელებმა სტადიონზე ხუთი ინგლისელი ფანიც დააკავეს, რომლებიც ხულიგნობდნენ. „რეინენერგშტადიონზე" კი პოლიციელებმა აიყვანეს გადამყიდველი, რომელსაც ინგლისი-შვედეთის მატჩზე დასასწრები 32 ყალბი ბილეთი აღმოუჩინეს.

## იანკულოვსკიმ იტალიური ფეხბურთის საიდუმლო გათქვა

იტალიური „მილანისა" და ჩეხეთის ნაკრების მცველი მარეკ იანკულოვსკი გამოტყდა, რომ „სკუადრა აძურასთან" შეხვედრის წინ გუნდის თავკაცმა კარელ ბრიუკნერმა სერია ა-ში მოთამაშე ჩეხ ფეხბურთელებს რჩევისთვის მიმართა.

ბრიუკნერმა მცირე კრებაც კი გამართა მარეკ იანკულოვსკისთან, პაველ ნედვედთან და ტომაშ უიფალუშისთან, რათა მათგან უფრო დაწვრილებით შეეტყო იტალიელთა შესაძლებლობები და თამაშის ტაქტიკა.

„ვფიქრობ, მწვრთნელს მაქსიმალური და საჭირო ინფორმაცია მივაწოდეთ მარჩელო ლიპის გუნდზე", - განაცხადა მარეკ იანკულოვსკიმ.

შეგახსენებთ, რომ მერვედფინალში გასასვლელად ჩეხეთის ნაკრებმა იტალიას უნდა სძლიოს.

## ფეხბურთი ინვალიდებისთვის

მსოფლიო ჩემპიონატის ორგკომიტეტის გადაწყვეტილებით, მუნდიალის მასპინძელ თორმეტივე ქალაქის სტადიონებზე ინვალიდებისა და მათ თანმხლებთათვის საგანგებოდ დამონტაჟდა 1380 ადგილი, რაც საშუალოდ თითოეულ არენაზე 115 სკამია.

## ვინც მოიგებს, ის დაისვენებს

ავიაკომპანია „ვირჯინ ატლანტიკის" მფლობელმა, ინგლისელმა მულტიმილიონერმა სერ რიჩარდ ბრენსონმა ქვეყნის პირველი გუნდის ყველა ფეხბურთელს კარიბის ზღვაზე მდებარე საკუთარ კურორტზე ორკვირიანი დასვენება შესთავაზა. ოღონდ ერთი პირობით - ნაკრების მოთამაშეები კარიბის ზღვაზე იმ შემთხვევაში დაისვენებენ, თუ ბექჰემი და კომპანია მსოფლიო ჩემპიონები გახდებიან.

## სანიოლს ეჭვება

საფრანგეთის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის" მცველი ვილი სანიოლი საჯაროდ გამოთქვამს ეჭვს, რომ გერმანია საშინაო სარბიელზე მსოფლიო ჩემპიონი გახდება.

„ბუნდესნაკრები ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, პიკს ევრო 2008-ზე თუ მიაღწევს. მსოფლიო ჩემპიონატის მოგების იმედი კი ჯერ არ უნდა ჰქონდეთ", - განაცხადა ფრანგმა სანიოლმა.

გერმანელების რა მოგახსენოთ, მაგრამ მუნდიალის მოგების იმედი სანიოლის ნაკრებს ნამდვილად არ უნდა ჰქონდეს.

# „სპორტული დიდების მუზეუმის" ახალსახლობა

გიგა გურასაშვილი

„სპორტული დიდების მუზეუმი", რომელსაც აქამდე სპორტის სასახლეში ჰქონდა ნავსაყუდელი, გუშინ ახალგაზრდობისა და სპორტის დეპარტამენტში ახალსახლობას ზეიმობდა.

„იდეა, რომ „სპორტული დიდების მუზეუმს" ჩვენთან დაედო ბინა, პრობლემური იყო ფინანსური თვალსაზრისით, მაგრამ უკან არ დაგვიხევია, - განაცხადა გუშინდელი თავყრილობის მასპინძელი ახალგაზრდობისა და სპორტის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარემ დავით ნამგალაურმა, - ტარიელ ხეჩიკაშვილის („ფოლკსვაგენის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში) დახმარებით მუზეუმმა დეპარტამენტში დაიდო ბინა".

საქართველოს სპორტული დიდების მუზეუმში, სადაც წლების განმავლობაში 10 ათასამდე უნიკალურმა ექსპონატმა მოიყარა თავი, ყოველი ფოტო და ლიტერატურული მასალა, დიპლომი, მედალი თუ თასი ასახავს ქართული სპორტის ისტორიას.

„მუზეუმი ამტკიცებს, რომ სპორტული თვალსაზრისით საქართველო პატარა ქვეყანა არ არის, - გახსნის ცერემონიალის დაწყებამდე აცხადებდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი გოკა გაბაშვილი, - მუზეუმი სტიმულია მომავალი თაობებისთვის, რათა მათაც წვლილი შეიტანონ ექსპონატების გამდიდრებაში".



„სპორტული დიდების მუზეუმი" მზია ჭუღელმა და გიორგი ასანიძემ გახსნეს.

რას არ ნახავთ აქ. დავით ციმაკურიძის, რაფაელ ჩიმიშკიანის, ქეთევან ლოსაბერიძის, ავთანდილ ქორიძის, მიხეილ ქორქიას, ზურაბ საკანდელიძის, რობერტ შავლაყაძის, ვლადიმერ რუბაშვილის, შოთა ჩოჩიშვილის ოლიმპიურ, მსოფლიოს, ევროპის როგორც გუნდურ, ისე ინდივიდუალურ მედლებსა თუ თასებს. მათ შორისაა თბილისის „დინამოს" მიერ სხვადასხვა წლებში მოპოვებული თასები. მუზეუმშია გიორგი ასანიძისა და ზურაბ ზვიადაურის ოლიმპიური მედლებიც.

ცალკე აღნიშვნის ღირსია 1677 წელს დასტამბული სალვატორე ფაბრის „იარაღის მეცნიერება და პრაქტიკა". ეს სქელტანიანი წიგნი მუზეუმის ყველაზე ხანდაზმული და ძვირფასი ექსპონატია. ერთი სიტყვით, იმდენად მდიდარი კოლექციაა, რომ მათ ჩამოსათვლელად საგაზეთო გვერდიც არ გვეყოფოდა.

მუზეუმი, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 1965 წელს და რა სახითაც დღეს გვაქვს, ორი ქალბატონის - ლილი ლომსაძისა და აზა მოგელაძის დამსახურებაა. ისინი დღემდე დაჰფოფინებენ წლების განმავლობაში შეგროვებულ კოლექციას.

# „მაიამი" ჩემპიონია

11 წლის წინ პატ რაილი დაჰპირდა მაიამელებს, რომ მათ გუნდს NBA-ს ჩემპიონის ტიტულს მოუტანდა. ორი წლის წინ ანალოგიური დაპირება „ჰიტის" გულშემატკივრების წინაშე შაკილ ო'ნილმაც დადო.

ამ ორი ლეგენდარული პიროვნების დანაპირები ლიგის ახალმა ვარსკვლავმა დუეინ უეიდმა შეასრულა. ფინალური სერიის მეექვსე მატჩში ვეიდმა კიდევ ერთხელ გაიბრწყინა და „მაიამიმ" 95:92 დაამარცხა „დალასი". სერია კი პატ რაილის გუნდმა 4:2 მოიგო.

„ასეთი განცდა არასოდეს მქონია. ის მხოლოდ შვილის დაბადების გრძნობას შემიძლია შევადარო", - განაცხადა მატჩის შემდეგ დუეინ უეიდმა, რომელიც NBA-ს ფინალის MVP-დ დაასახელეს.

ალბათ, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ მაიამელთა გამარჯვების შემთხვევაში ფინალის ყველაზე საუკეთესო კალათბურთელი ვეიდი გახდებოდა. ის რომ არა, „დალასი" იოლად მოიპოვებდა ჩემპიონის ტიტულს.

სერიის ბოლო მატჩში დუეინმა ორმაგი დუბლით გამოიჩინა თავი. მის ანგარიშზე 36 ქულა და 10 ფარიდან მოხსნილი ბურთია. ამას დავუმატოთ 5 შედეგიანი გადაცემაც და ცხადი გახდება, ვინ მოიგო თამაში.

აღსანიშნავია, რომ „დალასს" მატჩის გადარჩენა შეეძლო. შეხვედრის დასრულებას 5 წამი აკლდა, როდესაც ჯეისონ ტერიმ სამქულიანი ზონიდან შეუტია მაიამელთა კალათს. დალასელი კალათბურთელის ტყორცნა ზუსტი არ აღმოჩნდა. უეიდმა კი ფარქვეშ ბრძოლა მოიგო და დარჩენილი წამების განმავლობაში ბურთიც შეინარჩუნა.

მოკლედ, უეიდმა „მაიამის" არსებობის მანძილზე პირველი ტიტული მოუტანა. შაკილ ო`ნილი კი ჩემპიონის მეოთხე ბეჭედს მოირგებს.

რაც შეეხება „დალასს", ამ გუნდში ისევ დირკ ნოვიცკი იყო საუკეთესო. გერმანელმა კალათბურთელმა თავის გუნდს 29 ქულა შესძინა და 15-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი.

# პომები კვლავ გააპამპულეს

რაგბის სამხრეთული ტესტების მეორე უიკენდზე ბრიტი სტუმარი მეორედვე ძლია ოთხივე მასპინძელმა: ავსტრალიამ გააპამპულავა ინგლისი და ქუქის თასი შინ დაიტოვა; განახევრებულ ზელანდიას ისევ მაგრად დაუდგა ჯიუტი ირლანდია; შოტლანდიამ აფრიკას ბურთი შეუნელა, მაგრამ მსაჯმა არ გაახარა; არგენტინამ უელსი გაანადგურა და საფრანგეთმაც გაკვეთილი ჩაუტარა რუმინეთს.

მსოფლიო თასის მფლობელმა ინგლისმა 1984 წლის აქეთ პირველად წააგო ზედიზედ მეხუთე თამაში, გურუ ენდი რობინსონის ხელში კი პომებმა მე-18 ტესტში მეათე მარცხი იგემეს. ოზთა უბობოლესი ჰავბეკი, ბებერი მულატი ჯორჯ გრეგანი ბრძოლაში 56-ე წუთზე 20 ნომრად ჩაება, მაგრამ 120-ე კეპი კი მიითვალა და ნამსახურობის მსოფლიო რეკორდი ჩამოართვა ინგლისელ ბურჯ ჯეისონ ლენარდს.

ინგლისს ზედ თამაშის წინ გამოაკლდა ფლანკერი ლუის მუდი. ბრიტებს დროის 63 პროცენტი ეპყრათ ბურთი, მაგრამ 27 თერნოვერი შეემთხვათ. მეორე ტაიმზე რომ ველარ გამოვიდნენ პომი ბურჯები, ტვინშერყეული გრემ რაუნთრი და კისერმტკივანი ჯულიან ვაითი, კივმა რეფმა შერკინებაში მიწოლა აკრძალა. ამით ინგლისს ბოლო თულფიც გამოეცალა ხელიდან, ოზებმა კი იაზრეს, სათადარიგო მლეტელი ფილ ვო პირველ ხაზში შეუშვეს და მეტოქე მთლად გაწეწეს.

სტუმრებმა ანგარიში არეკნით გახსნეს, მაგრამ უმალ ფორტუნამ ზურგი შეაქციათ: თითქო ყინულის ჰოკეიაო, სტივენ ლარქემისა და ჯორჯ სმითის მიერ გაგორებული ბურთები ენდი გუდისა და ტომ ვარდნელისგან უკუღმართად ასხლტნენ და დალალა სმითმა გაიჯეჯგილა. მალე ლარქემმა საფირმო აზრაგანი აუწია მარკ ჯერარდს და ამან ოზი-რულზის ყაიდაზე ჰაერში „ძალუმი ალალი" მოუხსნა მეთიუ ტეიტს (11), 27-ე წუთზე კი ვოლაბიზს გამოაკლდა 130-კილოიანი ბურჯი როდნი „როძილა" ბლეიქი, ვინც კოჭი იღრძო.

ლელოსკენ გაჭრილი მოშვიდკაცე ვარდნელი კრის ლეითემმა (15) შეაჩერა. ზედ შესვენების წინ იმავე „ლეითომ" ერთბაშად ოთხი მბოჭავი გააბითურა და ბურთი ლოტე ტუნქირს გაატანა. მეორე ტაიმის დასაწყისში გუდის პასი მსაჯმა დაიჭირა და მთელი სტადიონი გაამხიარულა. მერე ლარქემმა მარკ ჩიზომი ღრეჩოზე დაგეზა; მერე კიდევ გრეგანთან წაიპასავა და კუთხისკენ ჯერარდი გაისტუმრა, სულ ბოლოს კი ტუნქირისა და კამერონ შეპარდის (22) შემწეობით გააპამპულავა ინგლისი, რომლის ახალი კაპიტანი პეტ სანდერსონიც ტუნქირს ეჩხუბა და თმა ბლუჯა-ბლუჯა დააგლიჯა.



ავსტრალიამ ინგლისი ძალიან დაჩაგრა.

### გურუს ბოიკოტი გამოუცხადეს

ირლანდიამ ვერც ამჯერად გატეხა 101-წლიანი ზელანდიური ნავსი. ჰაკას წვეროსანმა ბურჯმა კარლ ჰეიმანმა უწინამძღვრა. თამაშის დაწყებისთანავე მაგრად გაწვიმდა. რონან ოგარამ მოედნის შუა ხაზიდან დაარტყა ჯარიმა, მაგრამ ცოტა დააკლდა. არონ მეიჯერის (12) დაგორებულზე კელტები გორდონ დარსმა (12) იხსნა, მაგრამ დერეფნიდან ტროი ფლეველი (5) მიეძალა და ბაირონ კელეჰერი რაქის გვერდით შეერჭო ლელოში.

კელეჰერმა მერეც სისხლი გაუშრო სტუმრებს. მეორე ლელოზე დერეფანი როდნი სოიალომ მოიგო (კივებმა მატჩში ხუთი მხტომელი დაასაქმეს), კრის ჯექი ზედ ხაზთან შებოჭეს, მაგრამ კლარკ დერმოდმა უკან დაგდებული ბურთი ხაზს იქით გადადო. ირლანდიამ ამაზე ბევრი იდავა, გამწარდა, ჯარიმის უცებ გათამაშების შემდეგ ვეება პოლ ოკონელმა კელეჰერი დაიფრინა, შესვენების წინ წითურმა კელტმა ლომმა დერეფანიც მოიგო და სამყურებმა სხვაობა შეამცირეს.

მეორე ტაიმში ბრაიან ოდრისკოლს (13) ფლეველი კისერში წაეტანა და „ბოდიც" ისე წამოწვა, რომ ნამატჩევს ოლ ბლექსის შერკინების გურუმ სთივ ჰანსენმა წამოაყვედრა, თავი გერმანიაში, ფეხბურთის მსოფლიო თასზე ხომ არ ჰგონიაო. ოგარამ ჯარიმა შეაგდო, მერე კი არეკნი დაახაია და ანგარიში ვერ გაათანაბრა; მერე კიდევ შეინ ჰორგანს (14) ფრთაზე გადაუკიდა, მაგრამ ეს მალილი მულიაინამ (15) შებოჭა, სულ ბოლოს კი იმავე ოგარას წინ გაუვარდა გამოსაქცუნებლად შეგულვებული ოვალი.

ამით ზელანდიას ეშველა. კივებმა 5-მეტრა შერკინებაში სამჯერ შეაგდეს ბურთი, კელეჰერმა ლუკ მაკალისტერი ოგარაზე მიუშვა და კივთა პივოტიც ძელებშუა ეწია მიზანს. თამაშის ბოლოსკენ ჰორგანს წარბი გაუსკდა. ნამატჩევს ირლანდიის გურუ ედი ოსალივანი ბევრს ეცადა, რათა „სქაი ტივის" ვიდეოჩანაწერი ეშოვა და ეჭვმიტანილი კივი ტრიბუნალზე დაებარებინებინა, მაგრამ ტელემუშაკებმა ბოიკოტი გამოუცხადეს მწვრთნელს, ვინც ოპერატორი თამაშამდე გასახდელში არ შეუშვა.

### სპრედბერი ძლიერებს ელიქნება

უშაროდ ვერც აფრიკა-შოტლანდიის თამაშმა ჩაიარა. ერთი რომ, ძალიან პროვინციულ პორტ-ელიზაბეთში მოედანი 90 გრადუსითაა მიბრუნებული და ჩამავალმა მზემ ბოკე დააბრმავა. მეორე ის, რომ სქოთებმა ბოჭვაზე განგებ მიიღეს ბლომად ჯარიმა და მასპინძლებს რიტმულად ბურთაობა არ დაანებეს; და მესამეც, ისედაც ძლიერ ბოკეს, მსოფლიოს მეორე გუნდს, ურცხვად შეეშველა ტონი სპრედბერი, ვინც ორი კვირით ადრე ვაკეში, ბარბაროსებსაც მხარში ამოუდგა.

შოტლანდიამ მეტოქეზე მეტი ლელო გაიტანა, მაგრამ პერსი მონთგომერმა ჯარიმები ბითუმად შეაგდო, იაკო ფანდერვესტჰეიზენმა კი თავისი ნახევრიდან ძალუმად დაჰკრა. სტუმრებმა პირველ ტაიმშივე გამოიჩინეს თავი: გორდონ როსის (10) შეგორებული საიმონ ვებსთერმა იხელთა. შესვენების წინ მაიკ ბლერმა (9) ვებსთერი კიდევ გააჭენა, ამან გადაიკიდა, სდია, აილო და ბრაიან ჰაბანასგან (11) შებოჭილი ლელოშიც გადაგორდა, მაგრამ ინგლისელმა ტელი-რეფმა, რობ დიბნმა დამიწება ვერ აღნუსხა.

სქოთებს მეორე ლელო სპრედბერმა 8:18-ზე არ ჩაუთვალა. კრის პატერსონმა თავის 22-ში პასი რომ ჩაჭრა და გაინავარდა, რეფმა 50 მეტრის გარბენის შემდეგ უკან მოაბრუნა, ესაო და რამდენიმე ფაზის წინ შენს გუნდს ბურთი წინ გაუვარდაო. იმავე შერკინებიდან ჯო ფანიკერკმა მოკლეზე შეუტია და ფური დიუპრე საწადელს ეწია. მერე ერთ-ერთ რაქში ჰავბეკად ბრეიტონ პოლსე (14) მივიდა და იაკოს ისე უხეიროდ უპასა, რომ სქოთი დონი მაკფედიანი ოვალს მეტოქის ლელოში დააცხრა, სულ ბოლოს კი მონთგომერმა ახლოდან შეაგდო ორი ჯარიმა.

ორშაბათს გაცხადდა, რომ ბოკეს დამტვრევია მსოფლიოს 2004 წლის საუკეთესო მორაგბე, ძალიან ქერა ფლანკერი სხალკ ბერგერი. ბიჭს კისერი აქვს საოპერაციო და არა მარტო სამ ერს გამოტოვებს, არამედ მსოფლიო თასის წლამდე საერთოდ ვერ ითამაშებს.

### ფურდუი-იანკუ ამღერეს

არგენტინას უელსთან 11 გოლით 30 ქულა მოუნაგრა ფედერიკო ტოდესკინმა. პუმებმა თავიდანვე დაადგეს თვალი „მომავალ ბარი ჯონს", 20 წლის ჯეიმზ ჰუქს, ვისაც ტესტ-დებიუტი ჰქონდა. ინგლისის პრემიერშიპში მოთამაშე არგენტინელმა ვუნდერკინდმა, გონსალო ტიესმა (13) სტუმართა ჯილას მოგერიებაზე მალევე დაუფარა და დაალელოვა, მაგრამ მერე და მერე ჰუქი დაწყნარდა და რიგიანად ათამაშდა, თუმცა სინბინში ყოფნაც მოახერხა.

ნამატჩევს ტრიბუნალზე დაიბარეს უელსელი მეორეხაზელი იან ევანსი და პუმათა კაპიტან აგუსტინ პიჩოტზე ურჯუკად თავდასხმისთვის 6 კვირით აუკრძალეს რაგბის თამაში. არგენტინა დამდეგ უქმეებზე ზელანდიას მასპინძლობს. კივთა გურუმ გრემ ჰენრმა შავი კვართი ისე გააუფასურა, რომ სეზონის საწყის სამ ტესტში 39 მოთამაშეს ცდის. ამერიკაში თადარიგიანად გაგზავნილ 15-ეულს კვირასღა ჩააკითხეს მარქაფამ და უფროსობამ.

საფრანგეთი რუმინეთს ექვსი წლის შემდეგ ეწვია. წინა სტუმრობაზე ლე ბლემ 67:20 მოიგო. მას აქეთ სტეჟარი, ირბ-ის გრანტებისა და ფრანგი მოძღვრების წყალობით, უნდა გაძლიერებულიყო, მაგრამ ისევ უწინდელ ყაიდაზე დამარცხდა. თამაში ფეხბურთის მომცრო სტადიონზე, 14-ათასა კოტროჩენზე იყო, მაგრამ ტრიბუნები სანახევროდ ძლივს შეივსო. მატჩამდე ცოცხლად იმღერა ნიკოლაე ფურდუიანკუმ, მერე კი ცხრა ფრანგმა თითო ლელო გაუტანა კარპატელებს, რომელთა უკანა და მესამე ხაზებიც ერთობ გამოუცდელი იყო.

**ზაფხულის ტესტები.**
**მეორე უიკენდი**

| | | |
|---|---|---|
| ზელანდია | 27:17 | ირლანდია |
| ავსტრალია | 43:18 | ინგლისი |
| აფრიკა | 29:15 | შოტლანდია |
| რუმინეთი | 14:62 | საფრანგეთი |
| არგენტინა | 45:27 | უელსი |

*მასალა მომზადებულია ვებგვერდზე rugby.ge*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს **კავშირგაბმულობის საშუალებების შესყიდვისა და მისი შემდგომი დამონტაჟების მიზნით** და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მისაწოდებელი საქონლის დასახელებები და რაოდენობა:

| ლოტი | საქონლის დასახელება | საქონლის ძირითადი მახასიათებლები | რაოდენობა |
|---|---|---|---|
| №1 | რეტრანსლიატორი | ბიდერექტუალური რეჟიმისათვის | 15 |
| | რეტ. კონტროლერი | ბიდერექტუალური რეჟიმისათვის | 15 |
| | რადიოსადგური | MDC 403-430 45W | 30 |
| | სტაციონალური ანტენა | 5დბ 403-430 მჰც 100ვტ | 30 |
| | კოაქსიალური კაბელი | 50 ომიანი დაბალი კარგვის კაბელი | 900მ |
| | აკუმულატორის დასამუხტი | 12ვ 120ამ/სთ | 15 |
| №2 | რეტრანსლიატორი | ჩვეულებრივი რეჟიმისათვის | 15 |
| | რადიოსადგური | MDC 440-470 45W | 30 |
| | სტაციონალური ანტენა | 5 დბ 440-470 მჰც 100 ვტ | 30 |
| | კოაქსიალური კაბელი | 50 ომიანი დაბალი კარგვის კაბელი | 900მ |
| | აკუმულატორის დასამუხტი | 12ვ 120ამ/სთ | 15 |
| | აკუმულატორი | 12ვ 200 ამ/სთ | 15 |
| №3 | სტაციონალური რადიოსადგური | MDC 403-430 25W 8ch | 18 |
| | სტაციონალური რადიოსადგურის ანტენა | 3დბ 403-430 მჰც 100 ვტ | 18 |
| | სტაციონალური რადიოსადგურის კვების წყარო | 220V/12V | 18 |
| | სტაციონალური რადიოსადგურის სარეზერვო კვება | 12V | 18 |
| | აკუმულატორი | 12V 70Ah | 18 |
| | კოაქსიალური კაბელი | 50 ომიანი დაბალი კარგვის კაბელი | 550მ |
| №4 | საავტომობილო რადიოსადგური | MDC 403-430 25w 8ch | 35 |
| | საავტომობილო ანტენა | 403-430 მჰც | 35 |
| | რადიოსიხშირული კონექტორი | BNC | 35 |
| №5 | ხელის რადიოსადგური | MDC 403-430 4W 4-16ch | 100 |
| | ხელის რადიოსადგური | MDC 32 არხიანი LCD ეკრანით | 6 |

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სპეციალურ ანგარიშზე. **საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000,** 2006 წლის 23 ივნისიდან 2006 წლის 14 ივლისამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქ. თბილისი გორგასლის ქ. 83ა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

**მიწოდებისა და დამონტაჟების ადგილია ქ. თბილისი, ქ. ქუთაისი, ქ. რუსთავი, ქ. ბათუმი, ქ. ზუგდიდი, დაბა გეგუთი, ქსანი.**

მიწოდების საბოლოო ვადა განისაზღვრება შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 30 ოქტომბრამდე. მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს საქონლის მიწოდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქ. თბილისი გორგასლის ქ.N83ა 2006 წლის 14 ივლისის 13 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 14 ივლისს 13 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

ა) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.
ბ) ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
ე) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
ვ) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
ზ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირებისაათვის:**

ა) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
ბ) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ;
ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

**როგორც ფიზიკური ასევე იურიდიული პირებისათვის**:

ა) პრეტენდენტებმა უნდა წარმოადგინონ მისაწოდებელი პროდუქციის მწარმოებელი ფირმის მიერ გაცემული დისტრიბუციის სერთიფიკატი.

წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის ზემოაღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 14 ივლისის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სახელშეკრულებო საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.

ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს: მისამართზე ქ. თბილისი გორგასლის ქ.83ა. ტელ: 99-60-68; 8-99 11-71-23 ვახტანგ მჭედლიშვილი.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი აცხადებს ტენდერს სხვადასხვა დასახელების უნიფორმების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მისაწოდებელი საქონლის დასახელებები და რაოდენობა:

| ლოტი | საქონლის დასახელება | რაოდენობა |
|---|---|---|
| №1 საბადრაგო სამსახურის უნიფორმა | შარვალი | 400 |
| | პერანგი | 400 |
| | ქუდი (კეპი) | 400 |
| | სპეც ქამარი | 420 |
| | ქურთუკი (ზამთრის) | 550 |
| | მაისური | 400 |
| №2 სპეცსამსახურის უნიფორმა | შარვალი შავი | 150 |
| | შარვალი კომუფლირებული | 150 |
| | მაისური შავი | 100 |
| | მაისური კომუფლირებული | 100 |
| | პერანგი შავი | 150 |
| | პერანგი კომუფლირებული | 150 |
| | სპეც-ჟილეტი | 60 |
| | ზამთრის ქურთუკი კომუფლირებული | 150 |
| | სპეც ფეხსაცმელი | 100 |
| | სპეც ქამარი | 120 |
| | პულოვერი შავი | 100 |
| | ქუდი შავი | 100 |
| | ქუდი კომუფლირებული | 100 |
| | ნიღაბი ზამთრის შავი | 100 |
| №3 პატიმრის უნიფორმა | შარვალი | 7000 |
| | პერანგი | 7000 |

ზემოაღნიშნული უნიფორმა დამზადებული უნდა იყოს ბუნებრივი ქსოვილისაგან, საერთაშორისო სპეციალური ნორმების დაცვით.

პრეტენდენტმა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად უნდა წარმოადგინოს ნიმუში.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეეძლებად 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ სპეციალურ ანგარიშზე. **საქართველოს ეროვნული ბანკი, ანგარიშსწორების ანგარიში 200122900, კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000,** 2006 წლის 23 ივნისიდან 2006 წლის 14 ივლისამდე სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ქ. თბილისი გორგასლის ქ. 83ა. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მისაღებად უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი.

მიწოდების ადგილია ქ. თბილისი ჟორესის ქ.N10. მომარაგების განყოფილების მატერიალურ-ტექნიკური და საინდენტანტო უზრუნველყოფის ცენტრალური საწყობი.
მიწოდების ვადა განისაზღვრება ეტაპობრივად შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნის შესაბამისად 2006 წლის 31 დეკემბრამდე. მიმწოდებელმა უნდა დაიწყოს საქონლის მიწოდება მოთხოვნიდან არაუგვიანეს 20 დღის განმავლობაში.

პრეტენდენტებმა საკვალიფიკაციო მონცემები და სატენდერო წინადადება შედგენილი ქართულ ენაზე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი ორიგინალი, ერთი ასლი) დალუქული კონვერტით უნდა წარმოადგინონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში მდებარე ქ. თბილისი გორგასლის ქ.N83ა 2006 წლის 14 ივლისის 13 საათამდე.

საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება 2006 წლის 14 ივლისს 13 საათზე.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

a) ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ ადევს ყადაღა.
b) ცნობა შინაგან საქმეთა სამინიტროდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივი დანაშაულისათვის.
g) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
d) ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება;
e) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია.
v) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
z) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ.

**ფიზიკური პირებისაათვის:**

a) უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია.
b) ცნობა, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.
გ) ცნობა საგადასახადო დეპარტამენტიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არ არსებობის შესახებ.
დ) ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური მიწოდების შესახებ
ე) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

უცხო ქვეყნის ფიზიკური ან იურიდიული პირებისათვის ზემოაღნიშნული ცნობები წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი დაწესებულებებიდან.

წარმოდგენილი უნდა იყოს სუბკონტრაქტორის (არსებობის შემთხვევაში) შესაბამისი საკვალიფიკაციო მონაცემებიც.

პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ ჩაითვლება მისაღებად და არ დაიშვება შეფასებისთვის, თუ იგი 14 ივლისის 13 სთ-მდე არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ზემოთ ჩამოთვლილ ყველა ცნობას და ინფორმაციას და/ან სატენდერო წინადადებას ან წარმოდგენილი ცნობებიდან და ინფორმაციიდან რომელიმე ყალბი აღმოჩნდება ან იქნება შეუსაბამობა წინამდებარე განცხადების მოთხოვნებთან და/ან სატენდერო წინადადება არ იქნება შესაბამისობაში სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან ან არ იქნება შესაბამისობაში "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან და "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებასთან.

ტენდერში გამოიყენება ხელშეკრულების უზრუნველყოფის მექანიზმი სახელშეკრულებო საერთო ღირებულების 2 (ორი) პროცენტის ოდენობით.
ტენდერში შესაძლებელია გამოვლინდეს ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

დაინტერესებულმა პირებმა შესაძენი უნიფორმების ტექნიკური მახასიათებლებისა და ვიზუალური მხარის შესახებ ინფორმაცია შესაძლებელია მიიღონ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში, მისამართზე გორგასლის ქ N83ა მე-3 სართული. სატენდერო კომისიის აპარატში.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიმართონ სატენდერო კომისიის აპარატს: მისამართზე ქ. თბილისი გორგასლის ქ.83ა. ტელ: 99-60-68; 8-99 11-71-23 ვახტანგ მჭედლიშვილი.

# განცხადება

**ქალაქ თბილისის მერიის ადგილობრივი ქონების მართვის საქალაქო სამსახური** (მისამართი: თბილისი. გ.ტაბიძის ქ. N4. მე-3 სართული)

ქ.თბილისის საკრებულოს 2003 წლის 27 ივნისის N10-6 გადაწყვეტილების, ამ გადაწყვეტილებით დამტკიცებული "ქ.თბილისის მთავრობის წილობრივი მონაწილეობით შექმნილ საწარმოთა ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების აუქციონის ფორმით განკარგვის წესის შესახებ" დებულების და ქალაქ თბილისის მთავრობის 2006 წლის 20 იანვრის N01.20.20 დადგენილების საფუძველზე

**აცხადებს აუქციონს**
შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების:

**ა) სატვირთო ავტომობილი "მმზ-45021"-ის (სახ.ნომერი ADX - 688)**
**ბ) მსუბუქი ავტომობილი "ვაზ-21061"-ის (სახ. ნომერი IVA - 431)**
**გ) "მაზ-9397"-ის ნახევარმისაბმელის (სახ. ნომერი AA - 879)**
ნასყიდობით აუქციონის ფორმით რეალიზების თაობაზე
**სარეალიზებო ავტოსატრანსპორტო საშუალებების საწყისი ფასი:**
ა) სატვირთო ავტომობილი "მმზ-45021"-ის საწყისი ფასი 1100 ლარი;
ბ) მსუბუქი ავტომობილი "ვაზ-2106"-ის საწყისი ფასი 700 ლარი;
გ) "მაზ-9397"-ის ნახევარმისაბმელის საწყისი ფასი 800 ლარი.
**ბიჯის ოდენობა:**
ა) სატვირთო ავტომობილი "მმზ-45021"-ის - 50 ლარი;
ბ) მსუბუქი ავტომობილი "ვაზ-2106"-ის - 50 ლარი;
გ) "მაზ-9397"-ის ნახევარმისაბმელის - 50 ლარი.
**"ბე"-ს სიდიდე**: სარეალიზებო ძირითადი საშუალებების საწყისი სარეალიზებო ღირებულების 40%-ის ოდენობით, კერძოდ:
ა) სატვირთო ავტომობილი "მმზ-45021"-ის - 440 ლარი;
ბ) მსუბუქი ავტომობილი "ვაზ-2106"-ის - 280 ლარი;
გ) "მაზ-9397"-ის ნახევარმისაბმელის - 200 ლარი.
გადახდილი "ბე"-ს თანხა ჩაითვლება საბოლოო ანგარიშწორების ანგარიშში.
**აუქციონში მონაწილის ბილეთის** ღირებულებაა 100 ლარი. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულებას აუქციონში მონაწილეობის მსურველი იხდის შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"-ს საბანკო ანგარიშზე. აუქციონში მონაწილეობის მსურველი განაცხადთან და "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტთან ერთად სამსახურს (რეგისტრატორს) წარმოუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის შემდგომაც ტარდება რეგისტრაციაში და იღებს აუქციონში მონაწილის ბილეთს. აუქციონში მონაწილის ბილეთის ღირებულება არ შედის სარეალიზებო ქონების ღირებულებაში და გამოქვითვას არ ექვემდებარება.

**თანხის ("ბე"-ს, აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის, ქონების საფასურის) გადახდის საბანკო რეკვიზიტები:**
სს "საქართველოს ბანკი"-ს ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: N 220 101 502
ანგარიშსწორების ანგარიში: N 200 467 165
საიდენტიფიკაციო კოდი: N 202 163 8359
შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმო"

**აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ:**
- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი,
- "ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- აუქციონში მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ფიზიკური პირის შემთხვევაში: პირადობის მოწმობა (პრეტენდენტი სხვა დოკუმენტაციასთან ერთად წარმოადგენს პირადობის მოწმობის დედანს, რომლის ასლიც რჩება რეგისტრატორთან);
- იურიდიული პირისათვის: ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან და სადამფუძნებლო დოკუმენტაცია: პარტნიორთა (აქციონერთა ან სხვა) კრების ოქმი და წესდება (ან სადამფუძნებლო დოკუმენტაციის სანოტარო წესით დამოწმებული ასლები);
- სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილიბა, თუ აუქციონში მონაწილეობს სხვა პირის სახელით.

**განაცხადები მიიღება:** 2006 წლის 17 ივლისის 18:00 საათამდე.
**აუქციონი გაიმართება:** 2006 წლის 18 ივლისს 12:00 საათზე.
**აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია**

- შემაჯამებელი ოქმის სამსახურის მიერ დამტკიცებიდან 20 დღის ვადაში დაფაროს გადასახდელი საბოლოო ფასი, გააფორმოს შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი.
- ნასყიდობის ხელშეკრულებისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე საკუთარი სახსრებით უზრუნველყოს სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაცია ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარ სამმართველოში.

აუქციონში დამარცხებულს გადახდილი "ბე" დაუბრუნდება აუქციონის შედეგების შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, აუქციონში მონაწილის მოთხოვნით.

განაცხადების წარმოდგენა და დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. გ.ტაბიძის ქ. N4 მე-3 სართული. ტელ.: 93 61 09 (ზურაბ ლომინაძე)

## ს.ს. "პროკრედიტბანკი აცხადებს ტენდერს ავეჯის დამზადებაზე (მაგიდა, კარადა, ტუმბო, და სხვა)

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე:
ს.ს. "პროკრედიტბანკი"
სათაო ოფისი
ადმინისტრაციული განყოფილება
დ. აღმაშენებელის 154.
თბილისი, ტელ: 202222

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დამიკავშირდით

ელ. ფოსტაზე: r.katsarava@procreditbank.ge

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 5 ივლისი

## ს.ს. "პროკრედიტბანკი აცხადებს ტენდერს შენობა-ნაგებობების სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებზე

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი შემოთავაზებები დალუქული კონვერტით შემდეგ მისამართზე:
ს.ს. "პროკრედიტბანკი"
სათაო ოფისი
ადმინისტრაციული განყოფილება
დ. აღმაშენებელის 154.
თბილისი
ტელ: 202222

დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დამიკავშირდით
ელ. ფოსტაზე: r.katsarava@procreditbank.ge
განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 5 ივლისი

## ინფორმაცია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულების დადების თაობაზე

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ'' დებულების მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად აქვეყნებს ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2004 წლის 22 დეკემბრის N1-1/282 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი ეკონომიკური საქმიანობის სახეები სეკ 001-2004-ის K სექციის 74.20.1 და 74.20.5 კოდით გათვალისწინებული შენობა-ნაგებობათა აზომვითი ნახაზების შედგენა და მიწის ნაკვეთის ახალი მიწათმფლობელობებისა და მიწათსარგებლობების შექმნის, არსებულის მოწესრიგების და საზღვრების დადგენისათვის საჭირო აზომვითი ნახაზების დამზადების (ინტელექტუალური მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვის ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტებთან ხელშეკრულებების დადების თაობაზე.**

| ლოტის № | ლოტის დასახელება | მიმწოდებელი | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| ლოტი 1 | ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მდებარე შენობა ნაგებობათა აზომვითი ნახაზების შედგენა და მიწის ნაკვეთის ახალი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობების შექმნის არსებულის მოწესრიგების და საზღვრების დადგენისათვის საჭირო აზომვითი ნახაზების დამზადება | შპს გის & დზ საკონსულტაციო ცენტრი „გეოგრაფიკი" | 20 000 ლარი |
| ლოტი 2 | ქობულეთის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობა ნაგებობათა აზომვითი ნახაზების შედგენა და მიწის ნაკვეთის ახალი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობების შექმნის არსებულის მოწესრიგების და საზღვრების დადგენისათვის საჭირო აზომვითი ნახაზების დამზადება | შ.პ.ს. „არქმშენსერვისი+" | 28 000 ლარი |
| ლოტი 3 | ხელვაჩაურის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობა ნაგებობათა აზომვითი ნახაზების შედგენა და მიწის ნაკვეთის ახალი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობების შექმნის არსებულის მოწესრიგების და საზღვრების დადგენისათვის საჭირო აზომვითი ნახაზების დამზადება | შ.პ.ს. „გეო" | 28 000 ლარი |
| ლოტი 4 | ქედის, შუახევისა და ხულოს რაიონის ტერიტორიაზე მდებარე შენობა ნაგებობათა აზომვითი ნახაზების შედგენა და მიწის ნაკვეთის ახალი მიწათმფლობელობისა და მიწათსარგებლობების შექმნის არსებულის მოწესრიგების და საზღვრების დადგენისათვის საჭირო აზომვითი ნახაზების დამზადება | შ.პ.ს. „პრივატსერვისი" | 20 000 ლარი |

## საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი მოწვევა ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე (ტენდერზე)

**საიდენტიფიკაციო ნომერი: N 06.07.14**
**მსოფლიო ბანკის კრედიტი N IDA- 37580-GE**
**ვანის რაიონის, სოფელ მთისძირის სკოლის რემონტი**

საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ განვითარების საერთაშორისო ასოციაციისგან (IDA) მიიღო სესხი და აპირებს სესხის ნაწილით დააფინანსოს **ვანის რაიონის, სოფელ მთისძირის სკოლის რემონტი.**

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება ვანის რაიონის, სოფელ მთისძირის სათემო კავშირთან "მთისძირი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, ვანის რაიონის, სოფელ მთისძირის სათემო კავშირი "მთისძირი", იწვევს დაინტერესებულ სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ **2006 წლის 22 ივნისიდან** ყოველ დღე (შაბათ-კვირის გარდა) 10-დან 18 საათამდე **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი) ლარს,** რომელიც გადახდილი უნდა იქნას ბანკში, შემდეგ რეკვიზიტებზე:

**ბანკის სახელწოდება: ს.ს. ბანკი "რესპუბლიკა"**
**მისამართი: ქ. თბილისი, გრ. აბაშიძის ქუჩა N2**
**ა/ა: 34080001**
**კოდი: 220 101 757**
**საიდენტიფიკაციო კოდი: 206 074 193**
**ბენეფიციარი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი**

თანხის გადახდის დამადასტურებელი საბუთი უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო პაკეტის მოთხოვნისას.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან **60 დღის** განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **3 500 ლარის** ოდენობის საკონკურსო გარანტია.

საკონკუსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება. კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ კონკურსანტებს შეუძლიათ მიიღონ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს **2006 წლის 20 ივლისს 15:00** - მდე, **საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში. საკონტაქტო პირი: კლარა მოსულიშვილი, სოციალური ინვესტიციების დეპარტამენტის მენეჯერი.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში საკონკურსო წინადადების წარმოდგენის ვადის დასრულების დღეს, **2006 წლის 20 ივლისს 15:00** საათზე, დაინტერესებული პირების თანდასწრებით. დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეობის მსურველებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი. აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში, კონკურსანტს შეუძლია მიმართოს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში შიდა აუდიტის სამსახურს.

**საკონტაქტო პირი: ნიკოლოზ გაგუა, შიდა აუდიტის სამსახურის უფროსი.**
**ngagua@mdf.org.ge**

**საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მისამართია:**
**ქ. თბილისი, 0105, იეთიმ გურჯის ქუჩა N7ბ**
**ტელ: (995 32) 94 32 40; 94 29 47; 92 34 70**
**ფაქსი: (995 32) 94 04 39**
**www.mdf.org.ge**

## გაზეთ 24 საათის 6 ივნისის N123-ში გამოქვეყნებულ საკონკურსო პირიროებეში, რომელიც შეეხებოდა შპს "საქართველოს რკინიგზის" ბალანსზე რიცხული ვაგზალი "თბილისი-საკვანძოს" შენობის და შენობაზე დამაგრებული მიწის ფართის დროებით სარგებლობაში, იჯარის ფორმით, გადაცემას, შეტანილ იქნა ცვლილება. ამასთან დაკავშირებით შპს "საქართველოს რკინიგზა" ხელახლა აცხადებს კონკურსს შემდეგი პირობებით

*1. ძირითადი საინფორმაციო მონაცემები*

**- საიჯარო ქონების იურიდიული მისამართი** ქ. თბილისი მოსკოვის გამზირი N2

**- შენობის საერთო ფართი შეადგენს** 6741,56 კვ/მ, შენობაზე დამაგრებული მიწის ფართი - 5592 კვ/მ.

**- იჯარით გასაცემი შენობის საერთო ფართი შეადგენს** 6651,74 კვ/მ.

**- საიჯარო ქონების (შენობის) დახასიათება -** ექსპლუატაციაში შესულია 1978 წელს, შედგება 4 სართულისა და სარდაფისაგან.

**- საწყისი თვიური საიჯარო ქირა 29 670** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში, დღგ-ს გარეშე.

**- "ბე" 29 670** აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში.

**- იჯარის ვადა** 20 წელი.

**- განაცხადების მიღების ადგილი -** ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ტელ.: 56-33-48, 56-3-18.

**- განაცხადების მიღების ვადა -** 2006 წლის 22 ივნისიდან 2006 წლის 6 ივლისის ჩათვლით, 12.00 საათიდან 17.00 საათამდე.

**- კონკურსის ჩატარების თარიღი (მონაწილის წინადადებების შემცველი კონვერტების გახსნის თარიღი) ადგილი და დრო -** 2006 წლის 7 ივლისი, ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზირი N15, შპს "საქართველოს რკინიგზის" ადმინისტრაციული შენობა, 14.00 საათი.

**- შპს "საქართველოს რკინიგზის" საბანკო რეკვიზიტები -** "ბანკი რესპუბლიკა", ცენტრალური ფილიალი, ა/ა N3407003205, ბანკის კოდი N220101757, საიდენთიფიკაციო კოდი N202886010.

**- კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ -** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

*2. კონკურსის პირობები*

- მოიჯარის მიერ საიჯარო ქირის ყოველთვიურად გადახდა.
- მოიჯარის მიერ ქონების (მათ შორის მიწის), კომუნალური და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახადების, აგრეთვე საიჯარო ქონების დაცვის ხარჯების დროულად და სრულად გადახდა.
- მოიჯარე ვალდებულია, კანონმდებლობის დადგენილი წესით შეათანხმოს (დაამკიცოს) "მეიჯარის" მიერ მოწონებული მთლიანი შენობის სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პროექტი უფლებამოსილ სახელმწიფო სტრუქტურებთან იმის გათვალისწინებით, რომ ამ ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 3 თვის ვადაში დაიწყოს და 8 თვის განმავლობაში დაასრულოს არანაკლებ 500 000 ა.შ.შ დოლარის ღირებულების სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შპს "საქართველის რკინიგზის" მიერ მოწონებული პროექტის მიხედვით (პროექტი მოიჯარემ თან უნდა დაურთოს საკონკურსო განაცხადს. პროექტში სავალდებულოა განსაზღვრული იქნეს სამუშაოების შესრულების გრაფიკი). თუ მოიჯარე დაარღვევს სამუშაოების დაწყების ვადას, სამუშაოების შესრულების გრაფიკს ან სამუშაოების დასრულების ვადას, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს "ბე", გადახდილი საიჯარო ქირა და საგარანტიო თანხა არ დაუბრუნდება, აგრეთვე არ აუნაზღაურდება ამ პერიოდში სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე გაწეული ხარჯები.
- მოიჯარე მოვალეა წარადგინოს საბანკო გარანტია არანაკლებ საინვესტიციო თანხის 10%-ისა.
- იჯარის ხელშეკრულების დადებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში მოიჯარემ სრულად უნდა გადაუხადოს შპს "საქართველოს რკინიგზას" ის დებიტორული დავალიანება, რომელიც ამ უკანასკნელის მიმართ გააჩნიათ შენობაში არსებული ფართების სხვა მოქმედ მოიჯარეებს ან იმ მოიჯარეებს, რომელთაც იჯარის ვადა ამოეწურათ, მაგრამ არ გამოუნთავისუფლებიათ დაკავებული ფართები. თუ მოიჯარე არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, კონკურსის შედეგები გაუქმდება და მოიჯარეს "ბე" არ დაუბრუნდება. დავალიანების ზუსტი ოდენობა დგინდება იჯარის ხელშეკრულების დადების დღის მდგომარეობით და წერილობით ეცნობება მოიჯარეს იმავე დღეს. ამასთან, შპს "საქართველოს რკინიგზა" გადასცემს მოიჯარეს უფლებას რეგრესის წესით ამოიღოს ეს თანხა შესაბამისი დავალიანების მქონე მოიჯარეებისაგან.
- მოიჯარემ უნდა უზრუნველყოს საიჯარო ვადის მოქმედების პერიოდში სამგზავრო სადგურის ნორმალური ფუნქციონირება, მათ შორის ვაგზლის შენობაში გამოყოს სათანადო ფართები მოსაცდელი დარბაზის, ბარგის შესანახი საკნის, ვაგზლის მორიგის ოთახის, კავშირგაბმულობის კვანძისა და სამედიცინო პუნქტის მოსაწყობად და უზრუნველყოს მათი შეუფერხებლად მუშაობა, აგრეთვე გამოყოს ფართი დაცვის პოლიციის განსათავსებლად. ამასთან აღნიშნული ფართები გათვალისწინებული უნდა იქნეს საკონკურსო კომისიისათვის წარმოდგენილ სარემონტო-სარეკონსტრუციო პროექტში. მოიჯარეს უფლება არა აქვს არამიზნობრივად გამოიყენოს ვაგზლის ბაქნები და მასთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა და ამით ხელი შეუშალოს მგზავრთა მომსახურებას.
- მოიჯარე უზრუნველყოფს ვაგზალ "თბილისი-საკვანძოს" შენობის გამონთავისუფლებას შენობაში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირებისაგან მათთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემით, რომელიც არ შედის ინვესტიციის მოცულობაში. კომპენსაციის ოდენობას განსაზღვრავს მოიჯარე აღნიშნულ პირებთან მოლაპარაკებით.
- მოიჯარემ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად უნდა დაიცვას ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები, უზრუნველყოს საიჯარო ქონების მოვლა-პატრონობა, აგრეთვე იმგვარად ისარგებლოს აღნიშნული ქონებით, რომ საფრთხე არ შეუქმნას სარკინიგზო მოძრაობასა და მოქალაქეთა უსაფრთხო გადაადგილებას შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. თუ მოიჯარის ბრალეული ქმედებით შენობასა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ზიანი მიადგა მესამე პირებს, მოიჯარე ვალდებულია აუნაზღაუროს მათ ეს ზიანი.
- მოიჯარეს ეკრძალება, შპს "საქართველოს რკინიგზის" წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, მოახდინოს შენობის რეკონსტრუქცია ან განახორციელოს მნიშვნელოვანი მიშენებები, გარდა იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოებისა, აგრეთვე ქვეიჯარით გასცეს ან სხვაგვარად უფლებრივად დატვირთოს საიჯარო ქონება.
- იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საიჯარო ქონება უბრუნდება შპს "საქართველოს რკინიგზას" ნორმალური ფუნქციონირებისათვის ვარგის მდგომარეობაში. ამასთან, შენობის (მ.შ. მეიჯარის საკუთრებაში დარჩენილი 89,82 კვ.მ. ფართი) სარემონტო-სარეკოსტრუქციო სამუშაოებზე დახარჯული თანხები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება.

*3. საუკეთესო წინადადებების გამოვლენის კრიტერიუმები*

- საუკეთესო წინადადების გამოვლენის კრიტერიუმია მაქსიმალური საწყისი საიჯარო ქირის შემოთავაზება, რომელიც უნდა აღემატებოდეს გამოცხადებულ საწყის საიჯარო ქირას და ვაგზლის საუკეთესო სარემონტო-სარეკონსტრუქციო პროექტის წარმოდგენა.
- თუ კონკურსში მონაწილე რამდენიმე პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებული წინადადება ფასისა და სხვა კრიტერიუმების მიხედვით დააკმაყოფილებს კონკურსის პირობებს, მაშინ კომისია უფლებამოსილია რიგითობის მიხედვით (წინადადებების ხელსაყრელობის გათვალისწინებით) დაადგინოს საუკეთესო წინადადებები და შემდგომში მათ ავტორებთან აწარმოოს მოლაპარაკებები დადგენილი რიგითობის მიხედვით. ამასთან, პრეტენდენტი ვალდებულია, გაუმჟღავნებელი ფინანსური წინადადების წარმოდგენისას შემოთავაზებაში ქონების იჯარით ასაღებად მიუთითოს ფიქსირებული თანხა.

*4. იჯარის ხელშეკრულების დადება*

- კონკურსის ჩატარებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში გამარჯვებული მონაწილე ვალდებულია შპს "საქართველოს რკინიგზასთან" გააფორმოს იჯარის ხელშეკრულება, რომელიც უნდა დამოწმდეს ნოტარიული წესით. ხელშეკრულების ნოტარიულად დამოწმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯებს ფარავს მოიჯარე.
- მოიჯარე ვალდებულია, ყოველ 6 თვეში ერთხელ, შპს "საქართველოს რკინიგზას" წარუდგენს ანგარიში იჯარის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების თაობაზე.
- სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში მოიჯარე იღებს გაფრთხილებას წერილობითი ფორმით, სადაც მიეთითება ვადა დარღვევის აღმასაფხვრელად. ამასთან, თუ მოიჯარე დაარღვევს საიჯარო ქირის გადახდის ვადებს იგი ჯარიმდება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე თვიური საიჯარო ქირის 5%-ის ოდენობით (ჯარიმა მოიჯარეს ეკისრება წინასწარი გაფრთხილების გარეშე).
- თუ გაფრთხილებით გათვალისწინებულ ვადაში მოიჯარე არ აღმოფხვრის დარღვევას ან უარს განაცხადებს ჯარიმის გადახდაზე შპს "საქართველოს რკინიგზას" უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს იჯარის ხელშეკრულება. ამ შემთხვევაში მოიჯარე ჰკარგავს გაწეული ხარჯებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

*5. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტები*

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს საიჯარო ქონების დასახელება და კონკურსანტის თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე.
- კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება მის მიერ. წინადადებები საიჯარო ქირის შესახებ მოცემული უნდა იყოს კონკრეტული რიცხვის სახით. დაუშვებელია აპელირება სხვის წინადადებაზე (ასეთი წინადადებები არ განიხილება).
- "ბე"-ს გადახდის ქვითარი ("ბე" გადაიხდება შპს "საქართველოს რკინიგზის" ანგარიშსწორების ანგარიშზე, საზოგადოების საბანკო რეკვიზიტების მიხედვით).
- კონკურსში მონაწილე ფიზიკური პირის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები ან ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.
- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტების ნოტარიულად დამოწმებულ ასლებს.
- კონკურსში მონაწილეთა ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან, განმცხადებელი იძენს კონკურსში მონაწილის სტატუსს.
- კონკურსის მონაწილეს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს უფლება აქვს დაესწროს მხოლოდ კონვერტის გახსნას. ამასთან, მონაწილეთა წინადადებებს საკონკურსო კომისია იხილავს მათი დასწრების გარეშე.
- გადაწყვეტილება კონკურსში საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ ცხადდება, როგორც წესი, კონვერტის გახსნის დღეს. ამასთან, საკონკურსო კომისიას უფლება აქვს გადაწყვეტილება საუკეთესო წინადადების გამოვლენის შესახებ გამოაცხადოს კონვერტის გახსნიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღის განმავლობაში.
- კონკურსი ითვლება არშემდგარად, თუ კონკურსის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარმოდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ შეესაბამება კონკურსის პირობებს.

*6. შენიშვნები და დათქმები*

- იჯარით გასაცემ ფართში არ შედის შენობის I სართულზე არსებული 89,82 კვ.მ. ფართი (ფართის განლაგება მითითებულია შენობის ტექნიკურ პასპორტში), რომელშიც განთავსებული იქნება შპს "საქართველოს რკინიგზის" ბილეთების სარეალიზაციო სალაროები. ამასთან, მოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს ვაგზლის მთლიანი შენობის რემონტი-რეკონსტრუქცია, მათ შორის იმ ფართისა (89,82 კვ.მ.), რომელიც რჩება მეიჯარის საკუთრებაში.
- შენობაში განთავსებული ზოგიერთი ფართი დატვირთულია მოქმედი იჯარის ხელშეკრულებებით. კონკურსში გამარჯვებულ პირს გადაეცემა ამ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით შპს "საქართველოს რკინიგზის" არსებული უფლებები და ვალდებულებები.
- თვიური საიჯარო ქირის ოდენობა, მეიჯარის მოთხოვნით, შეიძლება გადაიხედოს ყოველ 2 წელიწადში ერთხელ.
- საიჯარო ქირის გადახდა ხორციელდება ანგარიშსწორების მომენტისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო კურსის მიხედვით. ამასთან, პირველი 8 თვის განმავლობაში (სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების პერიოდი) "მოიჯარეს" უფლება აქვს გადაიხადოს ყოველთვიური საიჯარო ქირის ნახევარი, ხოლო შემდგომი 8 თვის განმავლობაში იგი ვალდებულია სრულად დაფაროს საიჯარო ქირის გადახდასთან დაკავშირებით წარმოქმნილი სხვაობა.
- მოიჯარეს გადახდილი "ბე" ჩაეთვლება ბოლო თვის საიჯარო გადასახადში იმ დროისათვის არსებული სავალუტო კურსის შესაბამისად.
- დადგენილი ვადის შემდეგ შემოსული საკონკურსო განაცხადი არ მიიღება.
- განაცხადის შემოსვლის თარიღი განისაზღვრება მისი რეგისტრაციის თარიღით.
- თუ განაცხადების მიღების ბოლო დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის იმავე საათზე.
- მეიჯარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს იჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების გრაფიკი, ვაგზალზე ტექნიკური უსაფრთხოების, ხანძარსაწინააღმდეგო და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მდგომარეობა.

**საიჯარო ქონებისა და კონკურსის პირობების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შპს "საქართველოს რკინიგზაში".**

*შპს "საქართველოს რკინიგზა"*

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. ზესტაფონის გამგეობა დ. აღმაშენებლის ქ. N11, აცხადებს ზესტაფონის ტენდერს, სამუშაოების შესასყიდად ქალაქის ქუჩების ქაპიტალურ შეკეთებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს

**I ლოტი. დ. აღმაშენებლის ქუჩა**

| დასახელება | ორფენოვანი ა/ბ. ორმოული შეკეთება | ბორდიურის მოწყობა | ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელის მოწყობა | ღერძულა ხაზის დახაზვა | შემასწორებელი წვრილმარცვლოვანი ა/ბ. 3 სმ. სისქით | ერთი ფენა ა/ბ. წვრილმარცვლოვანი 5 სმ სისქით |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოცულობა | 150 $მ^2$ | 120 გრ/მ | 8 ერთ. | 1845 მ. | 1500 $მ^2$ | 20210 $მ^2$ |

**II ლოტი. ა. წერეთლი ქუჩა**

| დასახელება | ორფენოვანი ა/ბ. ორმოული შეკეთება | ბორდიურის მოწყობა | ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელის მოწყობა | ღერძულა ხაზის დახაზვა | შემასწორებელი წვრილმარცვლოვანი ა/ბ. 3 სმ. სისქით | ერთი ფენა ა/ბ. წვრილმარცვლოვანი 5 სმ სისქით |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოცულობა | 80 $მ^2$ | 150 გრ/მ | 3 ერთ. | 240 მ. | 1200 $მ^2$ | 3650 $მ^2$ |

**III ლოტი. ს. ზაქარიაძის ქუჩა**

| დასახელება | ორფენოვანი ა/ბ. ორმოული შეკეთება | ბორდიურის მოწყობა | ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელის მოწყობა | ღერძულა ხაზის დახაზვა | ერთი ფენა ა/ბ. წვრილმარცვლოვანი 7 სმ სისქით |
|---|---|---|---|---|---|
| მოცულობა | 20 $მ^2$ | 25 გრ/მ | 2 ერთ. | 207 მ. | 350 $მ^2$ |

2. სამუშაოების შესრულების ვადა - 2006 წლის 30 აგვისტომდე.

გასაწევი სამუშაოების შესახებ სრული ინფორმაცია მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში.

3. დაინტერესებულ იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის მიღება (ქართულ ენაზე) შეეძლებათ 200 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ (რეკვიზიტები:

ქალაქ ზესტაფონის გამგეობა.
სახალხო ბანკი.
საიდენტიფიკაციო კოდი 230071962
ბანკის ანგარიში N 33030037
ბანკის კოდი 220101433)
2006 წლის 22 ივნისიდან.

4. დაინტერესებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადებები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დალუქული პაკეტებით 2006 წლის 11 ივლისის 9 საათიდან 18 საათამდე 2 ეგზემპლიარად (1 დედანი 1 ასლი) შემდეგ მისამართზე: ქ. ზესტაფონი, დ. აღმაშენებლის ქ. N11, 2 სართული, სატენდერო კომისია.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

5.1 ცნობები:

5.1.1 იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას სასამართლოდან, ან საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და ცნობა სასამართლოდან რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

ბ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ მისი ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები) უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის (მათ) მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიურ ან სამსახურურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

5.1.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, შესაბამისი უფლებამოსილი, ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არ აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური სამმართველოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკური ან სამსახურებრივ საქმესთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

5.1.3. როგორც ფიზიკურ,ისევე იურიდიული პირისათვის:

- ცნობას სამუშაოების შესასრულებლად საჭიროა მანქანა-მექანიზმის შესახებ. მონაწილეს ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების შესასრულებლად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება, ა.შ.) სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული მანქანა-მექანიზმები.

შენიშვნა:

ა. ცნობა წარმოდგენელი უნდა იქნას ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად და უნდა აკმაყოფილებდეს სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს.

| № | მანქანა მექანიზმების დასახელება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი,მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთრება: მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა |
|---|---|---|---|---|---|
| 1.<br>2.<br>და ა.შ. | | | | | |

ბ. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის კანონიერ ფლობელობაში, ან სარგებლობაში, ან საკუთრებაში, წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტები (კერძოდ: იმ შემთხვევაში, თუ მანქანა-მექანიზმები და დანადგარები იმყოფება მის ბალანსზე, წარმოდგენელი უნდა იქნას შესაბამისი აუდიტორიული დასკვნა; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარი აყავს იჯარით, წარმოდგენელი უნდა იქნას შესაბამისი საიჯარო ხელშეკრულება; თუ რომელიმე მანქანა-მექანიზმი და დანადგარის შეძენა ხდება ქვეყნის გარედან, წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი(ები) და ცნობა, თუ როდის იქნება ეს მანქანა-მექანიზმი და დანადგარი საქართველოში, და ა.შ.) ასევე აუცილებლად მითითებული უნდა იქნას სამუშაოების შესასრულებლად საჭირო მანქანქ-მექანიზმების და დანადგარების ადგილმდებარეობა, იურიდიულ ან/და ფიზიკურ პირს გამარჯვების შემთხვევაში რა დრო დასჭირდება მათი სამუშაოს შესრულების ადგილზე მობილიზაციისათვის.

-- ცნობას ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორის მიერ განსახორციელებელი მიწოდების შესახებ.

შენიშვნა:

ა. ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| გასაწევი სამუაშოს სახე | ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | ქვე-კონტარქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტარქტორის სპეციალისტთა მიერ ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება | ქვე-კონტრაქტორის სპციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| და ა.შ. | | | | |

ბ. ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური სამუშაოები.

გ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილების გრაფაში მითითებული უნდა იქნას იმ ძირითადი ობიექტების ჩამონათვალი, რომელზეც ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური) შესრულებული აქვთ ანალოგიური სამუშაოები (წლების ჩვენებით).

დ. ქვე-კონტრაქტორის სპეციალისტთა ბიოგრაფიული მონაცემების გრაფაში აღნიშნული უნდა იქნას: ქვე-კონტრაქტორის თითოეულ სპეციალისტს (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება წლების მითითებით.

ე. ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება იურიდიული ან/და ფიზიკური პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში.

-- ცნობას, 2006 წლის 1 აპრილის მდგომარეობით დებიტორულ-კრედიტრული დავალიანების შესახებ. მითითებული იქნას მსხვილი დებიტორულ-კრედიტრული და დავალიანების წარმოშობის თარიღი.

5.2. ინფორმაციები (მონაწილის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნეს წერილობითი სახით):

-- ინფორმაცია იურიდიული სტატუსის შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს: ორგანიზაციულ-სამართლებლივ ფირმას, რეგისტრაციის ადგილს,საქმიანობის ფაქტობრივ ადგილს (წესდება, სასამართლოს დადგენილება). მიუთითეთ საკონტაქტო ტელეფონები.

-- ინფორმაცია ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტთა კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ, დაურთეთ ბიოგრაფიული მონაცემები.

ტენდერში მონაწილე იურიდიული ან/და ფიზიკური პირების სპეციალისტებს უნდა გააჩნდეს ანალოგიური სამუშაოს შესრულების გამოცდილება.

შენიშვნა:

ა. ინფორმაცია,წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| თანამდებობა, სპეციალობა | გვარი,სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება (წელი) | ბიოგრაფიული მონაცემები |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| | | | | |
| | | | | |

ბ. ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილების გრაფაში აღნიშნული უნდა ბქნას: თითოეული პერსონალის (ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნა ამ ტენდერიYგათვალისწინებულ სამუშაოზე) მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ჩამონათვალი (კონკრეტული ობიექტების მითითებით),დაკავებული თანამდებობა და ფუნქცია. ანალოგიური სამუშაოებზე მუშაობის წლები.

გ. ბიოგრაფული მონაცეების გრაფაში აღნიშნლი უნდა იქნას: თითოეული პერსონალის (იმ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებულ სამუშაოებზე), დაბადების თარიღი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით, ანალოგიურ სამუშაოზე მუშაობის გამოცდილება, წლების მითითებით დეტალურად.

-- ინფორმაცია, იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (ცალ-ცალკე 2003, 2004, 2005 წლები) განმავლობაში შესრულებული ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების შესახებ. შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენით (ხელშეკრულების ასლები)

შენიშვნა:

ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად.

| № | სამუშაოს დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით) | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | წარმოდგენილი იქნას ხელშეკრულებების ასლები |
| 2. | | | | |
| და ა.შ. | | | | |

6. იურიდიული ან/და ფიზიკური პირის მიერ წარმოდგენილი ცნობები და ინფორმაცია, გამგეობის სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით შეიძლება იქნას გადამოწმებული ინდივიდუალურად.

7. იურიდიული ან/და ფიზიკურის პირის ხელმძღვანელი მის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების და სატენდერო წინადადებების სიზუსტეს ადასტურებს თავისი ხელმოწერითა და ბეჭდის დასმით.

8. საკვალიფიკაციო მონაცემების შეფასებას სატენდერო კომისია ახდენს საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენი ფიზიკური და იურიდიული პირების მონაცემების საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის გზით.

9. იურიდიული ან/და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი არ წარმოადგენს მე-5 მუხლში მოცემულ ყველა ცნობასა და ინფორმაციას, ვერ დააკმაყოფილებს ქ. ზესტაფონის გამგეობის სატენდერო კვალიფიკაციის მოთხოვნებს, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

10. დაინტერესებული იურიდიული ან/და ფიზიკური პირის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს სატენდერო დოკუმენტაციის მე-9 მუხლის მე-9.1 პუნქტით და საბაზისო მონაცემებით განსაზღვრულ დოუმენტებს.

11. სატენდერო წინადადებების შერჩევა (რომელი სატენდერო წინადადება დაიშვება შესაფასებლად და რომელი არა), განხორციელდება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულების" მე-15 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად.

12. გამარჯვებულმა იურიდიულმა ან/და ფიზიკურმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს:

a. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, გაცემული ბანკის ან საქართველოში ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ. საგარანტიო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არანაკლებ 1% ოდენობით.

b. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.

g. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან, ან ცნობა სასამართლოდან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის შესახებ.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ ქ. ზესტაფონის გამგეობის სატენდერო კომისიაში.

ტელ: (899) 71-57-44 (8292) 5-20-35 ნონა ძიძიგური.

სატენდერო კომისია

## განცხადებისშესწორება

**გაზეთ "24 საათის" ა.წ. 21 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა:**

განცხადება

2006 წლის 7 სექტემბერს, 15:00 სთ-ზე, ქ. ფოთში, აღმაშენებლის ქ. N12 მერიის ადმინისტრაციული შენობის სააქტო დარბაზში გაიმართება "ღროული"-ს წყაროების ბაზაზე, ქ. ფოთის თვითდენითი წყალმომარაგების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა.

დაგეგმილი საქმიანობის მიზანია ქ. ფოთის მოსახლეობის ხარისხიანი სასმელი წყლით უზრუნველყოფა, რისთვისაც გათვალისწინებულია მარტვილის რაიონში მდებარე ე.წ. "ღროული"-ს წყაროების ბაზაზე თვითდენითი სისტემის მოწყობა და არსებული წყალსადენის კომუნიკაციების რეაბილიტაცია.

საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:

- ფოთის წყალკანალის სამსახურის ოფისში - ქ. ფოთი, ლოლუას ქ. N8;
- საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ოფისში - ქ. თბილისი, იეთიმ გურჯის ქ. N7ბ;
- სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ოფისში - ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქ. N9

საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 5 სექტემბერს, 18:00 საათამდე.

## შესწორება

**ზემოაღნიშნულ განცხადებაში,**

"ღროული"-ს წყაროების ბაზაზე, ქ. ფოთის თვითდენითი წყალმომარაგების პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თარიღად აღნიშნულია 2006 წლის 7 სექტემბერი 15:00, **რომლის ნაცვლად უნდა იყოს 2006 წლის 8 აგვისტო, 15:00.**

საზოგადოების წარმომადგენელთა მიერ საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადა განცაზღვრულია 5 სექტემბრის 18:00 საათით, **რომლის ნაცვლად უნდა იყოს 7 აგვისტო, 18:00.**

## საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისიის განცხადება

საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია აცხადებს, რომ თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის 2005 წლის 21 ივნისის N 141 ბრძანებით დამტკიცებული დებულებისა "საქართველოს ეროვნული ბანკის ქონების აუქციონის ფორმით რეალიზაციის შესახებ" 2006 წლის 6 ივლისს საქართველოს ეროვნული ბანკის შენობაში "ბ" კორპუსში (დადიანის ქ. 2) საკონფერენციო დარბაზში დღის 12 საათზე ჩატარდება აუქციონი საქართველოს ეროვნული ბანკის ოზურგეთის ყოფილი ფილიალის შენობის გასხვისებასთან დაკავშირებით:

**ლოტი N 1 ოზურგეთის ყოფილი ფილიალის შენობა.**

***მიწის ნაკვეთი:***

მიწის ნაკვეთი უზურფრუქტითაა დატვირთული, ანუ ობიექტის მფლობელს აქვს მიწის ნაკვეთის სარგებლობის სრული უფლება, გასხვისების ან განკარგვის უფლების გარეშე.

ნაკვეთის ფორმა: ნაკვეთს მთლიანობაში გააჩნია წახნაგოვანი ფორმა,

ნაკვეთის ფართი: მიწის ნაკვეთის საერთო ფართია 780 $მ^2$ . აქედან 58მ2 განაშენიანებულია, ნაკვეთის რელიეფი: სწორია მცირე ქანობით,

სატრანსპორტო მიღწევადობა: მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. ოზურგეთში ი. შემოქმედელის ქ. N3

კომუნალური და სხვა კვანძები: მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილია კანალიზაციის, ელ. მომარაგების, წყალმომარაგების და სატელეფონო ცენტრალური სისტემებით, აგრეთვე არსებობს გაზგაყვანილობა.

***შენობა:***

ობიექტი აშენებულია XX-ე საუკუნის 80-იან წლებში. შენობის წინ მოწყობილია მანქანების სადგომი დაახლოებით 20-30 ავტომანქანისთვის. 2002-2005 წლებში შენობას ჩაუტარდა მაღალი ხარისხის კაპიტალური რემონტი და მოსაპირკეთებელი სამუშაოები. შენობა 1 სართულიანია, გააჩნია სარდაფი, მოშენების ფართია 589მ2 საერთო ფართია 675,92მ2, საიჯარო ფართია 350მ2 , შენობაში მოწყობილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სასო კვანძი, გაკეთებულია კაპიტალური გადახურვა, შემოყვანილია დამატებითი სამფაზიანი ელექტროკვება ქალაქის მომარაგების მთავარი წყაროდან, შენობა აგრეთვე აღჭურვილია გათბობის სისტემით და დიზელ გენერატორით. **ლოტის საწყისი სააუქციონო ფასია 68 000 ლარი.**

აუქციონში მონაწილეობისათვის შესატანი "ბე-ს" მოცულობა შეადგენს საწყისი ფასის 10-%-ს რომელიც ჩარიცხულ/შეტანილი უნდა იქნეს საქართველოს ეროვნულ ბანკში (საიდენტიფიკაციო კოდი 203824148, ბანკის კოდი 220101107) ანგარიშის N 117904101. განაცხადი და "ბე"-ს შეტანის ქვითარი (აგრეთვე საჭიროა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა) წარედგინება სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გ. ნატროშვილს რეგისტრაციისათვის, რის შემდეგაც გაიცემა "მონაწილის ბილეთი".

აუქციონში მონაწილეობაზე განცხადების მიღებას კომისია იწყებს აუქციონის გამოცხდების დღიდან და ამთავრებს აუქციონის დაწყებამდე 24 საათით ადრე. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ განცხადებები არ მიიღება. დაინტერესების შემთხვევაში, დაწვრილებითი ინფორმაციის მიღების მიზნით შეგიძლიათ მიმართოთ სააუქციონო კომისიის მდივანს ბატონ გიორგი ნატროშვილს, (საკონტაქტო ტელეფონის ნომერი 44-21-42) ელ. ფოსტა gnatroshvili@nbg.gov.ge .

**საქართველოს ეროვნული ბანკის სააუქციონო კომისია.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს მთავრობის კანცელარია, იურიდიული მისამართი ინგოროყვას ქ. №7, აცხადებს ღია ტენდერს საქართველოს მთავრობის კანცელარიის ბალანსზე რიცხული სამსახურებრივი ავტომანქანებისათვის საწვავის შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

| № | საწვავი | რაოდენობა | მიწოდების ადგილი | ვადა |
|---|---|---|---|---|
| 1 | პრემიუმ-აი-95 | 210 000 ლიტრი | ტალონებით მომსახურება | 31.12.2006 წელი |

2. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, 2006 წლის 17 ივლისამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 საქართველოს მთავრობის კანცელარია, ოთახი №403. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.

3. სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორას) ლარს. მოსაკრებელი გადახდილი უნდა იყოს შემდეგ ანგარიშზე: ანგ. №200122900, ეროვნული ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: 302003000. დამატებითი ინფორმაცია: საქართველოს მთავრობის კანცელარია კოდი - 2.

4. პრეტენდენტებმა განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და სატენდერო წინადადება ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ დახურული კონვერტით 2006 წლის 17 ივლისიდან 21 ივლისის 16 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ინგოროყვას ქ. №7 საქართველოს მთავრობის კანცელარია, ოთახი №403. სატენდერო წინადადების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით საქართველოს მთავრობის კანცელარიაში, 2006 წლის 21 ივლისის 16.20 საათზე.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებია:

იურიდიულ პირთათვის:

1. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან მის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;

2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება და არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

3. ცნობა შსს-დან, რომ მისი ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყვნენ მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

ფიზიკურ პირთათვის:

1. ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

2. ცნობა სასამართლოდან და/ან საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

3. ცნობა შსს-დან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდადებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული ან სამოხელეო დანაშაულისათვის.

თუ პრეტენდენტი არ წარმოადგენს საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელ ყველა დოკუმენტს ან პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელ/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს.

7. დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირებისაგან: გრძელიშვილი გიორგი, გაგუა დავითი, მელიქაძე ლაშა მისამართზე: საქართველოს მთავრობის კანცელარია, ინგოროყვას ქ. №7, ოთახი 403, ტელეფონი 98-40-06, 99-04-53.

სატენდერო კომისია

# საერთაშორისო განათლების ცენტრი
# CENTER FOR INTERNATIONAL EDUCATION

ქ. თბილისი 0108, ჭოველიძის ქ. 10. ტ.: 252615, 250463 ფ.: 252615 ელ.ფოსტა: cie@osgf.ge
10 Chovelidze st., Tbilisi 0108, Georgia. T.: (+995 32) 252615, 250463 F: (+995 32) 252615; E-mail: cie@osgf.ge

**ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტი (CEU)**
**აცხადებს მიღებას 2007/2008 სასწავლო წლისთვის მაგისტარატურასა და დოქტორანტურაში შემდეგ აკადემიურ ფაკულტეტებსა და პროგრამებზე:**

**უნგრეთი, ბუდაპეშტი:**
- ეკონომიკა (MA, PhD)
- გარემოს დაცვა და პოლიტიკა (MS, PhD, MS - გარემოს დაცვაში, პოლიტიკასა და მენეჯმენტში )
- გენდერული სწავლება და კულტურა (MA, PhD)
- ისტორია (MA, PhD)
- საერთაშორისო ურთიერთობები და ევროპული მეცნიერებები (MA, PhD)
- სამართალი (LLM, MA, SJD)
- მედიევალისტიკა (MA, PhD)
- ნაციონალიზმის სწავლება (MA,PhD)
- ფილოსოფია (PhD)
- პოლიტიკური მეცნიერება (MA, PhD)
- მათემატიკა (PhD)
- სოცილოგია და სოციალური ანთროპოლოგია ( M A , PhD)
- საზოგადოებრივი პოლიტიკა (MA) - MPP
- ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა ( BBA/Laurea, IMM, MBA , MS in ITM )

**ძირითადი მოთხოვნები:**
სწავლის გაგრძელების მსურველებს უკვე უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება ან უნდა იყვნენ უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელ კურსზე და კარგად ფლობდნენ ინგლისურ ენას.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში მიღება იწარმოებს კონკურსის საფუძველზე.

ფილოსოფიისა და მატემატიკის PhD ფაკულტეტებზე სასწავლებლად აგრეთვე მიიღებიან სტუდენტები ბაკალავრის დიპლომით.

ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის საგანაცხადო ფორმა შეგიძლიათ მოიპოვოთ უნივერსიტეტის საიტზე: www.ceu.hu ( მიიღება მხოლოდ online ფორმა )

თანდართული საბუთების მიღება იწარმოებს ჩვენს ოფისში.

საერთაშორისო განათლების ცენტრში განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა: 1 ნოემბერი, 2006 წელი, მათთვის ვისაც სურს ამ ცენტის მიერ ადმინისტრირებული ინსტიტუციონალური ინგლისური ენის (TOEFL) ტესტის ჩაბარება. ხოლო მათ ვინც აპირებს ოფიციალური ინგლისური ენის (TOEFL) ტესტის ჩაბარებას საბუთების გაგზავნის ბოლო ვადა ცენტრალურ ევროპის უნივერსიტეტში არის 5 იანვარი 2007 წელი.

დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

საერთაშორისო განათლების ცენტრი
ფონდი "ღია საზოგადოება საქართველო"-ს შენობა
ჭოველიძის 10
საკონტაქტო ტელეფონები: 25 26 15, 25 04 63
ჯგუფური კონსულტაციები ჩატარდება ყოველ სამშაბათს და ხუთშაბათს
14:00 საათზე.

# გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს განცხადება

## ტყიბულის რაიონში, ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადოზე სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის ჩატარების შესახებ

| | |
|---|---|
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის კონკრეტული ობიექტები | ტყიბულის რაიონში, ტყიბული-შაორის ქვანახშირის საბადო |
| ქვანახშირის მოპოვება წლების მიხედვით | პირველ წელს არანაკლებ 200 000 ტ.<br>ლიცენზიის მოქმედების დანარჩენ წლებში წლიური არანაკლებ 350 000 ტ. |
| აუქციონის ჩატარების თარიღი და დრო, ადგილი | აუქციონში მონაწილეობაზე განცხადებების მიღება მოხდება ა/წ 22 ივნისიდან 6 ივლისის ჩათვლით. აუქციონი ჩატარდება ა/წ 21 ივლისს 11 საათზე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს შენობაში. გულუას ქ .№6 ტელ. 27-57-60 |
| აუქციონზე გამოსატანი ობიექტის საწყისი ფასი | 100 000 ლარი<br>„ბე“ შეადგენს საწყისი ფასის 20%-ს – 20 000 ლარი |
| დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი | „ბე“-ს გადახდის ანგარიში: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის №200122900, მიმღების ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი, ბანკის კოდი 220101107, სახაზინო კოდი 302003000 |
| თანხის გადახდის პირობები | აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხა გადაიხადოს ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 დღისა. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადაუხდელობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების სალიცენზიო მოსაკრებელი და მისი ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი | ლიცენზიის მაძიებელი პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ დოკუმენტაციას. სალიცენზიო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 1 300 ლარს. სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო (მთაწმინდა-კრწანისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი:საქართველოს ეროვული ბანკი, ბანკის კოდი: 220101107, სახაზინო კოდი 300033022 |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია | 1) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი; ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები<br>–საჯარო სამართლის იურიდიული პირისთვის –სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები.<br>2) სალიცენზიო მოსაკრებლის და საწყისი ფასიდან „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. |
| მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ლიცენზიის მაძიებელი უნდა ფლობდეს სასარგებლო წიაღისეული მოპოვებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას. |
| სალიცენზიო პირობები | წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“ და „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები. |
| სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მოქმედების ვადა | 30 წელი |
| აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს | |
| გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები | გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს. |

# საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს
# განცხადება

საქართველოში რეგისტრირებულ რუსეთის
ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან
ლტოლვილ პირთა საყურადღებოდ!

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო აცხადებს ლტოლვილთა ყოველწლიურ სავალდებულო რეგისტრაციას, რომელიც ჩატარდება 2006 წლის 26 ივნისიდან 9 ივლისამდე ახმეტის რაიონის სოფელ დუისში რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან "prima facie" პრინციპით ლტოლვილ პირთათვის.

2006 წლის 10 ივლისიდან 25 ივლისის ჩათვლით რეგისტრაცია გაგრძელდება საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში (თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N16), როგორც რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან "prima facie" პრინციპით ლტოლვილ პირთათვის, ასევე საქართველოში რეგისტრირებული ინდივიდუალური ლტოლვილებისათვის.

მოცემულ ვადებში ლტოლვილთა გამოცხადება სავალდებულოა. თუკი ლტოლვილის სტატუსის მქონე პირი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება რეგისტრაციაზე, ვალდებულია მიმართოს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს 2006 წლის 31 ივლისიდან 30 სექტემბრამდე.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქ. თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური ატარებს ღია ტენდერს ქ. თბილისში ავტოავარიების შედეგად დაზიანებული ელექტრო გადამცემი ბოძების აღდგენისა და შეცვლისათვის საჭირო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის საფუზველზე ბოძების აღდგენა, შეცვლა და სადენების მონტაჟი, სავარაუდო რაოდენობა 500 ცალი ბოძი.

2. სამუშაოების დასრულების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2006 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

3. განაცხადი, სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე და წარმოდგენილ იქნას სატენდერო კომისიის აპარატში 2006 წლის 17 ივლისის 12 საათიდან 17 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

4.პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიული პირისათვის:**
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობებს, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება (ცნობა წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოდან, საგადასახადო ინსპექციიდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას საჯარო რეესტრის სააგენტოს ადგილობრივი ორგანოს მიერ);

**ფიზიკური პირისათვის:**
- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება;
- შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, საბანკო რეკვიზიტები);

**როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
- ინფორმაციას უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ პერიოდში მიმდინარე ანალოგიური მიწოდების შესახებ;
- ინფორმაციას ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;
- ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6.სატენდერო მოსაკრებლის 200 ლარის გადახდის შემდგომ (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის (რაიონების მიხედვით) ა. N 200122900, საქართველოს ეროვნული ბანკი, კოდი: 220101107, სახაზინო კოდი: გლდანი-ნაძალადევის რაიონი 300014040; დიდუბე-ჩუღურეთის რაიონი 300024040; მთაწმინდა-კრწანისის რაიონი 300034040; ვაკე-საბურთალოს რაიონი 300044040; ისანი-სამგორის რაიონი 300054040; დანიშნულება - ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2006 წლის 22 ივნისის 12 საათიდან 2006 წლის 17 ივლისის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, III-ე სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

7.ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

8.დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნუგზარ კალაძე საკონტაქტო ტელეფონი 99-04-39, 92-07-86 მისამართზე: ქ.თბილისი, კოსტავას I შესახვევი N33, V სართული, ქ.თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახური.

**სატენდერო კომისია**

## პროექტი "ილია ჭავჭავაძე"
## საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
## საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი
# აცხდებს კონკურსს ვაკანსიაზე



**ადმინისტრაციული თანაშემწე**
**განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრისთვის**

**შესავალი**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საერთაშორისო განვითარების ასოციაციის კრედიტის ფარგლებში ახორციელებს პროექტს „ილია ჭავჭავაძე (შემდგომში - პროექტი)". პროექტის საკოორდინაციო ცენტრი დახმარებას უწევს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტის ზოგადი მართვის პროცესში, კერძოდ, კი პროექტის კოორდინაციაში, ადმინისტრირებაში, ანგარიშგებაში, შესყიდვებსა და ფინანსებში.

**ძირითადი მოვალეობები:**
- კორესპონდენციის წარმართვა (მისი რეგისტრაცია და გავრცელება პროექტის საკოორდინაციო ცენტრის დირექტორის ინსტრუქციების თანახმად, მისი ფაილებად ორგანიზება);
- დოკუმენტების სისტემატიზაცია, მათი ფაილებად ორგანიზება და არქივში შესანახად მომზადება;
- კორესპონდენციის თარგმნა ქართულიდან ინგლისურად და პირიქით, საჭიროების შემთხვევაში ზეპირი თარგმანის უზრუნველყოფა;
- ყოველდღიური კორესპონდენციის წარმოება და კონტროლი;
- დირექტორის ინსტრუქციების მითითებულ ვადებში შესრულებაზე კონტროლი;
- სატელეფონო კავშირის ორგანიზება, ზარების და ფაქსების მიღება;
- პროექტთან დაკავშირებული შეხვედრების დაგეგმვა, სემინარების და კონფერენციების დაგეგმვა, სემინარების და კონფერენციების მოწყობა;
- შეხვედრების, სემინარების და კონფერენციების ოქმების მომზადება, მასალების და დოკუმენტების ასლების გავრცელება დირექტორის ინსტრუქციების თანახმად;
- ოფიციალური შეხვედრების ჩატარებაში დახმარების გაწევა;
- პროექტის ინტერნეტ გვერდის პერიოდული განახლება;
- დირექტორის ინსტრუქციების მიხედვით სხვა ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულება.

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**
- უმაღლესი განათლება;
- ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- საერთაშორისო ორგანიზაციაში ანალოგიური ხასიათის საქმიანობის გამოცდილება;
- კომუნიკაბელურობა;
- ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციის კარგი უნარი;
- გუნდური პრინციპით მუშაობის უნარი;
- კომპიუტერთან მუშაობის გამოცდილება და უნარ-ჩვევები.

**აღნიშნული თანამდებობა სრულგანაკვეთიანია.**

თქვენთვის საინტერესო ვაკანტური ადგილის დასაკავებლად გთხოვთ წარმოადგინოთ განაცხადები ქართულ და ინგლისურ ენებზე შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს განათლების პროექტის საკოორდინაციო ცენტრი**
0102 თბილისი, უზნაძის ქ. N52, ოთახი N102.
ტელეფონები: 95-98-37; 95-83-13 F
ელ-ფოსტა: GEP@mes.gov.ge
საკონტაქტო პირი: ქ-ნი **სოფო გორგოძე**

წარმოსადგენი განაცხადების ფორმების ელექტრონული ვერსიები განთავსებულია პროექტ "ილია ჭავჭავაძის" ინტერნეტ გვერდზე:

www.reform.edu.ge
ვაკანსიები და განცხადებები
განაცხადის ფორმა

**განაცხადების წარმოდგენის საბოლოო ვადაა 2006 წლის 30 ივნისი.**

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს ღია ორეტაპიან ტენდერს საარჩევნო კამპანიის განხორციელების სტრატეგიის შემუშავების და განხორციელების საშუალებების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 200 (ორასი) ლარის ოდენობით ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურში, რომლის რეკვიზიტებია: საქართველოს ეროვნული ბანკი კოდი N220101107, ხაზინის ერთიანი ანგარიში N200122900, სახაზინო კოდი N300033133; მიუთითეთ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო მოსაკრებელი და წარმოადგინეთ თანხის დამადასტურებელი ქვითარი, რის შემდეგაც გადმოგეცემათ ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო დოკუმენტაცია შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი,

3. 200 ლარიანი ქვითრის გადახდის შემდეგ ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა თავიანთი განაცხადი, საკვალიფიკაციო მონაცემები და პირველადი სატენდერო წინადადება (ღირებულების გარეშე) დალუქულ კონვერტში უნდა წარმოადგინონ 2006 წლის 12 ივლისი 16:00-მდე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. ქ.N29, მე-3 სართული. ცენტრალური საარჩევნო კომისიის სატენდერო კომისიის აპარატი.

4. როგორც ფიზიკური პირის ასევე იურიდიული პირის საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

ა) ცნობა შესაბამისი რაიონული საგადასახადო ინსპექციიდან, რომ მათ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხებათ დავალიანება;

ბ) ტენდერში მონაწილეობის მსურველის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, საკონტაქტო ტელეფონს, ფაქსს, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმძღვანელის სახელს, გვარს.

5. წარმოდგენილი პირველადი სატენდერო წინადადება უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგ ინფორმაციის წარმოდგენას:

ა) ცხელი ხაზის პრომო და პირველადი საარჩევნო სიის გადამოწმება;

ბ) არჩევნების სახეობისა და დანიშნული თარიღის შესახებ ამომრჩეველთა ინფორმირება.

გ) ერთიან საარჩევნო სიაში ამომრჩეველების საკუთარი თავის გადამოწმების აუცილებლობის პოზიციონირება.

დ) არჩევნების დროს საპროცედურო საკვანძო მომენტების გაშუქება.

ე) ემოციურად დატვირთული, არჩევნებში მონაწილეობის აგიტაცია.

ვ) ყველა სახის რეკლამა მზად უნდა იყოს ეთერში გასაშვებად 25 ივლისიდან 5 აგვისტომდე.

6. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვლიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-4 მუხლში მოცემული ყველა ცნობას და ინფორმაციას, ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

7. ტენდერის შედეგად შეიძლება გამოვლინდეს ერთი გამარჯვებული.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ნათია ჭიკაძე, მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. .N29 ტელ: (8-22) 987005.